

ეპსირტის კრიმინალი
იური პაპასძეა
„რევოლუციური“ კოდექსის მოლიპული ზიგზაგები ----- 3
ივალისაზრისი
პოლის ჭიშინაპა
ძველის ბუნდოვანება ახალსაც „გადაედო“ ----- 9
ოფიციალური
უნდა ავირჩიოთ პრიორიტეტები----- 12
თამაზ აქცენტი
ეკონომიკური დანაშაული და სამართლებრივი დევნის სახელისუფლებო მიზანშეწონილობა -- 18
კოგა გითაცე
რა ელის დოლარს, ევროს, ლარს... ----- 21
ვასიანი ქადაღების ბაზარი
ნანა მონია
გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ფასიანი ქალალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები ----- 25
საღაზღვეო ბიზნესი
ნატო კაპავილი
სადაზღვევო ბიზნესის ფინანსური ასპექტები ---31
ქრისტიანული მართვა
სალომა გითაცე
კორპორაციული მართვა და საქართველო ----- 34
ნინი ადამია
სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა ----- 38
PR
ეკა ჯიმშებაც
„გორგასალი“ – მშვიდი გარემო, კონკურენტუნარიანობის გარანტი ----- 44
როცა დამკვეთი გენდობა!.. ----- 46

ეპრარული სექტორი
ააატა კოდულაშვილი
როგორ ავალორძინოთ ქართული სოფელი ----- 47
თამარ მარგარიტა
აგროდაკრედიტების ძირითადი თავისებურებები ----- 52
ელექტრი ანგარიშგება
მარინე მაისურაძე
როგორ მოვახდინოთ რეგულირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე ----- 54
აცხელი ხორავა
როგორ მოვამზადოთ და წარვადგინოთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება----- 58
მეცნერული აღრიცხვა
ნატო გეპიაშვილი
მენეჯერული აღრიცხვის მნიშვნელობა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას ----- 70
ბიზნეს-გარემო
დავით კბილაძე
ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობა საქართველოში ----- 72
დემოგრაფია
მარაპ ხმალაძე
საქართველო დემოგრაფიულ სარკეში ----- 75
საერთაშორისო ურთიერთობები
თამაზ კირტახიძე
საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ანალიზი თანამედროვე ეტაპზე ---- 77
რეცენზია ----- 80 – 82
„ბიზნეს-მაცნე“ – ურნალი ურნალში

რევოლუციური კოდექსის მოლიკული ზიგზაგები



იური კაპასჩავა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

აფგილობრივი არჩევნების დასრულებისთანავე, ხელისუფლებამ მოქმედი საგადასახადო კოდექსის დაუყოვნებლივ შეცვლა გადაწყვიტა. აურ კიდევ არ იყო ცნობილი ახალი აქტის კონტერები, რომ მას ნომენკლატურული ბიზნესის ნარმომადგენლებმა რევოლუციური კოდექსი უწოდეს.

საგადასახადო გარიგების სანაცვლოდ, რომელსაც ზუსტად 30 ვერცხლის წონა აქვს, ამ მორიგ საეტაპო გადაწყვეტილებას ცნობილმა ოდიოზურმა სახეებმა ფონი შეუქმნეს: გვეშველა, ბიზნესი ამოსუნთქავს, ამიერიდან გადამხდელს ბუზიც არ აუფრინდება. ისინი ეკრანიდან, პრესის ფურცლებიდან, თუ იმპროვიზირებული შეხვედრების დროს დამაჯერებლად აფრქვევდნენ სარფიანად გაყიდულ აღფრთოვანებას ჯერ არ არსებულ, ზეპირ განაცხადებში ლაშვარდფერებად წარმოდგენილ დოკუმენტზე. კანონპროექტმა ელვის სისწრაფით შემოირჩინა პარლამენტის საკომიტეტო დერეფები, თითქმის ცარიელ სხდომათა დარბაზში პრინციპულ პოზიციებსაც (პირველი განხილვა) უყარეს კენჭი და უკვე მეორე მოსმენითაც (მუხლობრივად) მიიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას საშემოდგომო სესიაზე, ფაქტობრივად, არსებული სახით დაამტკიცებენ. ექსპერტთანაწილი თავიდანვე გულცივად შეხვდა ამ ფაქტს და დღემდე გამოხატავს მქვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას.

ასეთი რეციდივი სულაც არ არის ჯერანახული. სახელისუფლებო გუნდი ცდილობს გაიმყაროს თავისი „უპირატესობა“, ოპონენტმა კი, როგორც ყოველთვის, უნდა შენიშნოს შავი ლაქებიც. ამ „იდოლის“ ლოგიკური შედეგი კონსესუსამდე უნდა მიდიოდეს, თუმცა, ზოგადდ აღიარებული პრაქტიკისგან განაცხადით, აქ „ქარავანი

მიღის“, არავისი მოსმენა არ სურს, შევზე - თეთრიაო, გაიძხის და დაიჯერეო - ძალადობს.

გასაკვირი ისაა, რომ აგვისტოს ნაცვლად, ახალი კოდექსის მიღება სექტემბრამდე გადაიდო - ისეთი ტემპით იყო სტარტი აღებული, დაპირების თანახმად, ფინიში კვირიკობისთვეს არ უნდა გასცდებოდა. ერთის მხრივ, ეს კარგია, შემოდგომა ჯერ კიდევ შორს არის - აგვისტოს ცხელმა (ყველანაირი გაგებით) დღეებმა უნდა გადაიაროს, მანამდე კი შეიძლება, როგორც პროექტზე, ისე ვიმსჯელოთ, აღვნიშნოთ ამ აქტის ნაკლოვანი, თუ კატეგორიულად მიუღებელი მხარები.

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას!

აქედან ის შვება შეიძლება მივიღოთ, რომ იქ, ზევით, ვინებ მაინც ჩაფიქრდება - ყველაფერი კარგად ვერ არის; სხვებმა შეიძლება საღათას ძილ-ბურანს თავი წართვას, გამოფხიზლდეს, დაინახოს: როგორ აყრიან თვალებში ნაცარს; გადამხდელი კი, პირში წყალს თუ ჩაიგუბებს, მერე მიხვდება რა საკენკიც დაუყარეს, ყულფის რკალი სუნთქვას რომ გადაუკეტავს.

საქმე იმაშია, რომ ახალი კოდექსის პროექტი კონდიციური, დასრულებული სახით ფაქტობრივად არავის უნახავს: უკვე რევოლუციურად იყო მონათლული, როცა ავტორმა - ფინანსთა სამინისტრომ, პირველად სამუშაო ვარიანტი მო.გე-ზე განათვასა და

გაიძახოდა: ეს ის არ არის!.. ბიზნესმენებთან და გადამხდელებთან შეხვედრებზე გამოიტემულ შენიშვნებს შევიტანთ, თქვენს წინადადებებსაც გავითვალისწინებთ და ორ-სამ კვირაში საბოლოო ვარიანტს გამოვაქვეყნებთო; მოგვიანებით, კანონპროექტის ინიციატორმა - საქართველოს მთავრობამ ახალი ინტერპრეტაცია განათვასა თავისა ვებგვერდზე. აქ უკვე ჩანდა, რა სატყუარაც მიმოაპნია მთავარმა შემოქმედმა ამ დოკუმენტის მოლიპულ კლაკნილები, მაგრამ ისიც აცხადებდა, პარლამენტს გადამუშავებულ, დახვენილ ვარიანტს წარუდგენთო; პარლამენტში ვინ რა განიხილა (თუ წაიკითხა ვინმემ საერთოდ), პირადად ჩემთვის უცნობია, ის კი დავინახე (და საგულისხმოა), რომ მეორე მოსმენაზე ოპონენტების (ოპოზიციას, გასაგები მიზნების გამო, არ ვახსენებ) ცხარე წინააღმდეგობის მიუხედავად, მხოლოდ 5 ხმა არ დაეთანხმა უმრავლესობის ნებას. ეს კოდექსი ამოქმედდება 2011 წლის 1 იანვრიდან. ამავე სხდომაზე (უმრავლესობამ 6 ხმის წინააღმდეგ) ამ კოდექსიდან მნიშვნელოვანი სიახლეები მესამე მოსმენითაც მიიღო და ცალკეული მუხლები 1 აგვისტოდან უკვე ამოქმედდა, ზოგიერთი მუხლი კი 1 სექტემბრიდან შევა ძალაში.

ერთი კი ცხადია, განმარტებით ბარათში, რომელმაც კანონპროექტი შეაცილა პარლამენტში, სხვა რამ წერია (თუ აქვს ძალა ამ დოკუმენტს საერთოდ), დაანონსე-

ბულ განაცხადებს გამაბრუუბელი
დაპირებები მოჰქონდა მსმენე-
ლამდე, ფაქტობრივ შედეგებს კი
ეშაპოტზე აცყავართ თვალებას-
ვეულნი.

არაფერი ახალი და რაციონალური, ქვეყნის აღმშენებლობას რომ ნარუძლვება და გადამხდელს მაღამოდ მოეცხება, ამ პროექტში (ფაქტობრივად მიღებულ ახალ საგადასახადო კოდექსში) არ არის: დღეისთვის ნარმოდგენილ ვარიანტში, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი ისეთი ხარვეზია, რომელიც ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას უარესობისკენ მიაქანებს. ის ახლოსაც არ მიდის ბოლო პერიოდში ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მცირე მენარმეობის განვითარების, ინვესტიციების შემოსვლის ნახალისების მიმართულებით გაცხადებულ პრიორიტეტებთან. ამ სფეროების მდგომარეობა ფაქტობრივად მძიმდება, მოსახლეობისა და სამეწარმეო სუბიექტების საგადასახადო ტვირთი იზრდება - ცალკეული მიმართულებით უარესდება საშემოსავლო გადასახადითა და აქციზით დაბეგვრის რეჟიმი, უფრო მკაცრი (ულმობელი) ხდება ადმინისტრირების მექანიზმი, გამარტივების ნაცვლად, კოდექსის დებულებები გართულდა და არც ორაზროვანი (ურთიერთგამომრიცხავი) მუხლებისგან განთავისუფლდა, მკვიდრდება ახალი ინსტიტუციები (თუ სტრუქტურები), რომლებიც აღმინისტრირების დანამატი უფროა, ვიდრე, გადამხდელის ინტერესების დაცვის მუხტის მატარებელი ნოვაცია.

ერთი სიტყვით, ცვლილებები შეეხო როგორც ფისკალურ სივრცეს, ასევე, გადასახადების ადმინისტრირების ინსტიტუციონალურ საკითხებს და საბოლოო შედეგებზე ექსპერტთა ვარაუდი ორივე მიმართულებით არაოპტიმისტურია. მათი ასეთი განწყობა არ გახლავთ ახირება, დაუსახაობა, დაპირისპირების ჟინი, თუ

განჭვრების უუნარობა. ცხადია, არსებობს საკმარისი არგუმენტა-ციაც, თუმცა, შორს წასვლა არაა საჭირო, თავად დოკუმენტია ისე-თი: თვითონ ყვირის რაცაა; ისეთ ფერებშია გადაწყვეტილი, წელი-წადის არც ერთ დროს არ შეჰვე-რის; შეფუთულია ისე, შიგთავსიც კარგად ჩანს და ფართო ჭურუ-ტანიდან შეტენის წერიც იმზირე-ბა – ერთს გაიძახიან და მეორე კეთდება. ხელისუფლება თუ ვერ გრძნობს ამას, არ ნიშნავს: სხვას ლიბრი გადაეკრა თვალებზე; თუ იკის და მაინც დგამს ამ ნაბიჯს, შეგნებულ, მიზანმიმართულ ინტ-რიგასთან (სხვა სიტყვას არ ვიხ-მარ) გვაქვს საქმე და თუ ეს ასე არაა, მაშინ, მით უკრესი...

ერთი გადაკითხვაც საკიარო-სია, რომ ახალ საგადასახადო კო-დექსს რევოლუციურის იარღიყო ჩამოსცილდეს და თუ ოდნავ მა-ინც მიატან სიფხნიზე, ვირტუ-ალური სამყაროდან თავადვე და-ეშვები დაბლა, სხვისგან შეშველე-ბა არ დაგჭირდება.

ზემოაღნიშნული ვინწეს რომ
არ მოეჩვენოს გადამლაშებად, მო-
დით, ერთად მივადევნოთ თვალი
(და ყურიც), რასთან გვაქვს საქმე
სინამდვილეში. დავიწყოთ იქიდან,
თუ რამ განაპირობა ახალი კო-
დექსის მიღება.

განმარტებითი ბარათის შე-
სავალში (ზოგადი ინფორმაცია
კანონპროექტის შესახებ) მისი აკ-
ტორი და ინიციატორი აცხადდებს:
„დღეისათვის მოქმედი საგადა-
სახადო კოდექსის მიღებიდან
ჩამოყალიბდა გარკვეული ხარ-
ვეზები როგორც დაბეგვრის,
ისე ადმინისტრირების კუთხით,
ამასთან, აუცილებლობას წარ-
მოადგენს დაბეგვრის ახალი რე-
ჟიმის შემოღება მიკრო და მცირე-
ბიზნესისთვის. საგადასახადო და
საპაურ სამსახურების გაერთია-
ნებამ კი განაპირობა საგადასა-
ხადო და საპაურ ნორმების ერთ
კანონში გაერთიანება.“

ყოველივე ზემოაღნიშნული-
დან გამომდინარე, მოქმედი სა-
გადასახადო კოდექსი საჭირო-
ებულ მუხლების 95%-ში (კვლი-

ლეპბების შეტანას, რამაც განაპირობა საგადასახადო კოდექსის ახალი ვერსიის მომზადება.

კანონის პროექტის მიზანია
მოხდეს არსებული ხარვეზე-
ბის აღმოფხვრა და არსებული
რეალობის გათვალისწინებით
არსებული სისტემის დახვეწა
და ოპტიმიზაცია. ამასთან, იქმ-
ნება ერთიანი უნიფიცირებული
დოკუმენტი, რომელშიც განე-
რილია, საზღვრის გადაკვეთი-
დან დაწყებული ლიკვიდაციით
დასრულებული, გადასახადის
გადამხდელი საქმიანობის მარე-
გულირებელი ყველა საგადასა-
ხადო პროცედურა თუ ნორმა.”

თუ ტექსტის გამართულობას
არ ჩაუკინდებით, აქედან ფრი-
ად საინტერესო (სასიკეთო, სა-
ყურადღებო) განზრახვას ამოი-
კითხავს კველაზე კრიტიკულად
განწყობილი ოპონენტიც კი. თუმ-
ცა, აյ პრობლემა სწორედ იმაში
ვლინდება, რომ ასე მოწოდებული
რაციონალური აზრიდან შემდგომ
სულ სხვა, საპირისპირო მოქმედე-
ბები, გარკვეული წრის, ან პირთა
ჯგუფის ინტერესების უზრუნ-
ველყოფის ღონისძიებები თუ გა-
დაწყვეტილებები იხლართება.

მოქმედი საგადასახადო კოდექ-
სი მართლაც საჭიროებს ხარ-
ვეზებისგან განთავისუფლებას,
დახვეწასა და ოპტიმიზაციას.
სავსებით მისაღებია ერთიან
უნიფიცირებულ დოკუმენტში
მოექცეს გადასახადის გადამ-
ხდელის საქმიანობის მარეგუ-
ლირებელი ყველა საგადასახა-
დო პროცედურა თუ ნორმა. ამ
მხრივ, ახალი კოდექსის მიღების
განზრახვის ვერ დაიწუნებ. მაგ-
რამ ამასთან, უნდა გვესმოდეს,
რომ საგადასახადო კოდექსი არ
არის რიგითი დოკუმენტი, რო-
მელიც არეგულირებს მხოლოდ
საგადასახადო ვალდებულების
შესრულებასთან დაკავშირე-
ბულ სამართლებრივ ურთიერ-
ობებს. მის გამართულობაზე
ბევრადა დამოკიდებული სა-
ხელმიწოდო ფუნქციების უზ-
რუნველყოფა, ქვეყნის მდგრა-

დი, ეკონომიკური განვითარება, სოციალური კეთილდღეობის ამაღლება და მრავალი სხვა.

ზოგადად, საგადასახადო კოდექსს შემდეგი სამი ფუნქცია აკისრია: ფისკალური; ბაზრის დაცვა; მენარმეობის ხელშეწყობა. საგადასახადო კოდექსი, როგორც ამ ფუნქციების აღმსრულებელი, არის სტრატეგიული, შორს გამიზნული დოკუმენტი. ის არ უნდა ემსახურებოდეს მიმდინარე პრობლემების გადაჭრას, საშუალო და მოკლევადანი პერსპექტივის ამოცანების გადაწყვეტას. ამდენად, მის მიმართ დამოკიდებულება განსაკუთრებულად ფაქტი, პრაგმატული, რაც მთავარია, განვითარებაზე და სტაბილურობაზე ორიგინტირებული უნდა იყოს!

ჩვენს შემთხვევაში, აგერ უკვე რიგით მესამე კოდექსი სადაცაა ამოქმედდება. მუდმივმა, დაუფიქრებელმა ექსპერიმენტებმა, ათასობით ცვლილებებმა და გაუმართლებელმა დამატებებებმა მისი ორი წინამორბედი უფრო და უფრო დააშორა ძირითად დანიშნულებას, პოლიტიკური სპეციალისტის საგნად, სადამსჯელო და მორჩილების უზრუნველყოფით ინსტრუმენტად გადააქცია, გააუბედურა და ბიზნესს ჩამოაშორა ათასობით მენარმე. არა და, ყოველი მორიგი სახეცვლილების შემდეგ ცხადდებოდა, რომ ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობა არის უაღრესად რევოლუციური, ულტრალიბერალური, სწორუპოვარი მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში.

საგადასახადო კოდექსის ახალი ვერსია უფრო მეტ ხარვეზებს და პრინციპულად მიუღებელ დებულებებსაც შეიცავს. ამდენად, მალევე გახდება საჭირო მისი სრულყოფა და დახვეწა. წავა და წავა კვლავ ცვლილებების ნიაღვარი. ოქტომბერში თუ არა, წლის ბოლომდე მასშიც ვიხილავთ არაერთ „რევოლუციურ ნოვაციას“. მით უმეტეს, ქვეყნის ძირითადი კანონის ახალი რედაქციის მიღების შემდგომ ისედაც საჭირო

გახდება მისგან გამომდინარე კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების გადახალისება.

საგადასახადო კანონმდებლობის არასტაბილურობა, მასში ყოველდღიურად ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ძირიდ გვიჯდება, უარყოფითად აისახება ბიზნეს გარემოზე, გადამხდელის საქმიანობაზე, საერთოდ - ეკონომიკის განვითარებაზე, ამის ათასობით მაგალითიც გვაქვს და მწარე გამოცდილებაც (ცუდი ისაა, რომ სხვისი მოსმენა არ გვინდა და საკუთარ წამორიგებაზეც ვერ ვახერხებთ შესაბამისი დასკვნების გაკეთებას).

საგადასახადო კოდექსის ახალი ვერსიის შემუშავებაში თურმე (როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული), მონაწილეობდნენ მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები და როგორც ირკვევა, მასში სხვა (ექსპერტები, არასამთავრობო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციები) არ ჩარეულა. საქმეც ამაშია... თავისთავად ეს ფაქტი, რომ კანონპროექტი ვინრო უწყებრივი (მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს) მეცადინეობის შედეგია, მეტყველებს მის ცალმხრიობაზე. ფინანსთა სამინისტროს ნაკლებად ანუხებს რამდენად ცუდია საგადასახადო კოდექსი ბიზნესისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის, რაც ლოგიკური ცაა. მისი უმთავრესი მიზანი საშემოსავლო გეგმის შესრულებაა და რა გასაკვირია, ყველა ნაბიჯი, წინადადება თუ ბწყარედი ამ სულისკვეთებით იყოს გაუღენითილი. ამიტომ, განეიტრალუებისთვის, სულ ცოტა, ამ საქმეში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მაინც უნდა იყოს ჩართული.

ასეთი დოკუმენტი კულუარებში არ უნდა იქმნებოდეს!

დაუშვებელია ცალმხრივი, უდიერი, გაუაზრებელი, იმპულსური დამოკიდებულება საგადასახადო კოდექსის (და არა მარტო მის) მიმართ!

ვატყობ, გაგვიგრძელდა ზოგად-თეორიულ ასპექტზე მსჯე-

ლობა, უფრო კონკრეტულზე შევჩერდეთ: ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მთავარ პრიორიტეტებად საგადასახადო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება, გონივრული ადმინისტრირების განხორციელება, სტაბილური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება, ბიზნესის მაქსიმალურად ლეგალიზება, მცირები ბიზნესისთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება და კანონის ორმაგი ინტერპრეტირების გამორიცხვა სახელდება. ვნახოთ, რა მივიღეთ ამ მიმართულებით.

საგადასახადო კოდექსის ახალი ვერსიის შემუშავებაში თურმე (როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული), მონაწილეობდნენ მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები და როგორც ირკვევა, მასში სხვა (ექსპერტები, არასამთავრობო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციები) არ ჩარეულა. საქმეც ამაშია... თავისთავად ეს ფაქტი, რომ კანონპროექტი ვინრო უწყებრივი (მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს) მეცადინეობის შედეგია, მეტყველებს მის ცალმხრიობაზე. ფინანსთა სამინისტროს ნაკლებად ანუხებს რამდენად ცუდია საგადასახადო კოდექსი ბიზნესისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის, რაც ლოგიკური ცაა. მისი უმთავრესი მიზანი საშემოსავლო გეგმის შესრულებაა და რა გასაკვირია, ყველა ნაბიჯი, წინადადება თუ ბწყარედი ამ სულისკვეთებით იყოს გაუღენითილი. ამიტომ, განეიტრალუებისთვის, სულ ცოტა, ამ საქმეში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მაინც უნდა იყოს ჩართული.

ჩვენც მივყვეთ თანმიმდევრულად და ვნახოთ: „რა სიკეთე მოაქვს მამალს“?

კოდექსის პროექტით შემდის მობუდსმენის ინსტიტუტი - მუხლი 42, რომელშიც აღნიშნულია: „საგადასახადო მობუდ-

მენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. საგადასახადო ომბუდმენის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“.

როგორც აქედან აშკარად ჩანს, ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებობის არსი ისაა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაუპირისპირდეს მთავრობასაც კი და მისი გადაწყვეტილებები გააპროტესტოს. მაგრამ თუ კი ომბუდსმენს უფლებებს განუსაზღვრავს და დანიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება, მაშინ, ის მის დაკრულზე იცევებს, რათემაუნდა, ან რატომ უნდა დანიშნოს პრემიერმა ისეთი კადრი, ომბუდსმენის თანამდებობაზე, რომელიც მისი ნაბიჯების წინააღმდეგ წავა, ან რატომ მიანიჭებს მას ისეთ უფლებებს, რომ სერიოზულად შეუქმნას პრობლემები?! ამდენად, ეს მუხლი ფაქტობრივად ვერ იმუშავებს. ცხადია, შეიძლებოდა ამ მუხლის სხვა რედაქციით მიღება, ვთქვათ, უფლება-მოსილების და დანიშვნა-განთავისუფლების საკითხი გადაწყვეტიტა პარლამენტს, კანდიდატურის წარდგენის კვლება გადაცემოდა ოპოზიციას (რაც მორჩილი უმრავლესობის პირობებში ფაქტობრივად არარეალურია, მაგრამ მაინც...).

განსაკუთრებული ოვაციები დამისახურა შემოსავლების სამსახურისთვის წინასწარი გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭებამ (მუხლი 47). ადრე და ახალი ვერსიითაც, საგადასახადო ორგანოს წერილობით განმარტებას არ ჰქონდა ნორმატიული აქტის ძალა და წარმოადგენდა რეკომენდაციას (რაც სავსებით სწორია: ვის მიერაც არ უნდა იყოს განმარტება გაცემული, ის კანონზე მაღლა ვერ დადგება). ამდენად,

ასეთი ჩანაწერი გადამხდელებს უქმნიდა პრობლემას. გამოსავალი მოიძებნა იმაში, რომ გადამხდელის წერილობით მიმართვაზე შემოსავლების სამსახურს შეუძლია გასცეს დასკვნა (წინასწარი გადაწყვეტილება) თუ როგორ უნდა დაიბეგროს დაგეგმილი, ან უკვე განხორციელებული ოპერაციები და თუ პირი იმიტებულებს წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ მის მიმართ სანინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის ან/და სანქციის დარიცხვა არ განხორციელდება. ამ გადაწყვეტილებას ზუსტად ასე (ან ამ შინასწით)

აანონსებდნენ და იქმნებოდა შთაბეჭდილება,

რომ ხელისუფლებას უზრუნია გადამხდელის ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ჩემის აზრით, ეს არის ერთ-ერთი პრინციპულად მიუღებელი სატყუარა: ჯერ ერთი - საგადასახადო კოდექსი მარტივი, ყველასთვის გასაგები, ადვილად აღსაშელი უნდა იყოს და არ საჭიროებდეს დამატებით განმარტებებს; მეორე - წინასწარი გადაწყვეტილების მოპოვება პროცედურულად დროში განელილი „ფუფუნება“ - უნდა გამოიცეს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 60 დღისა. ის არ ვრცელდება პირის მიერ განხორციელებული იმ ოპერაციის მიმართ, რომლის მხედვითაც, წარდგენილია დეკლარირების ვადები; წინასწარი გადაწყვეტილება საჭიროებს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებას. ამასთან, ამ გადაწყვეტილების გამოცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრი. წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს: თუ პირის მიერ წარმოდგენილი ფაქტები არასრულია ან/და არასწორია; თუ ნორმა შეიცვალა და მესამე - წინასწარი გადაწყვეტილების მოპოვება ფასინია და თანაც ის იაფი არ ღირს (ეს ბევრმა არ იცის). ეს ნორმა ჯერ კიდევ არ იყოს. ეს ნორმა ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის

31 მაისის №149 დადგენილებით, შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განევისთვის საფასურებისა და მათი განაკვეთების შესახებ 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები და საგადასახადო ორგანოს წინასწარი დასკვნა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, 10 დღეზე მეტ ვადაში, 1 000 000 ლარზე მეტი კაპიტალის მქონე ან/და 10 000 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე პირებისთვის ღირს 30 000 ლარი, ხოლო სხვა პირებისთვის კი - 15 000 ლარი.

ხომ ხედავთ, ამ ნორმის შემოღებას ფაქტობრივად შედეგი არ მოაქვს. ამ ნორმით ვერ ისარგებლებს მიკრო და მცირე მეწარმე, ვერც საშუალო ფენის ბიზნესი - უბრალოდ, ძვირია. გარდა ამისა, ორი თვე თუ უცადე პასუხს, შესრულებული ოპერაციის დეკლარირების დრო მოვა და ისედაც გაიჭყლიტები; რომც მიიღო სანატრელი პასუხი, შეიძლება შეგიცვალონ, ან, თუნდაც გაგიუქმონ. დააკვირდით, გაუქმების საფუძველს: რატომ უნდა მიიღონ წინასწარი გადაწყვეტილება ბრმად, არასრულ ან/და არასწორ ფაქტიზე დაყრდნობით? შემოსავლების სამსახურმა არ უნდა იცოდეს, შეიცვლება თუ არა ნორმა? გაიძახოთ: ნორმის ინტერპრეტაციის საშუალება არ იქნება, ამაზე მეტი გინდა? ჯერ ფულს გადაგახდევინებენ, წინასწარ გადაწყვეტილებას მოგცემენ, მოგვიანებით გეტყვიან, რა ვქნათ ბატონო, ნორმა შეიცვალაო. მოკლედ - როგორც ნახეთ, წინასწარი გადაწყვეტილება გადამხდელის სამარტინი 2010 წლის აპრილიდან სა-

სიტყვამ მოიტანა და მომსახურების ანაზღაურების საკითხი იდნავ უნდა განვაგრუცო: ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, რაც „საგადასახადო სისტემის დახვენამ“ მოიტანა, ისაა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 2010 წლის აპრილიდან სა-

ჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა. იგი დაადგა, „კომერციალიზაციის“ და თვითდაფინანსების გზას: საგადასახადოს ჩინოვნიკები საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, დამატებით ხელფასს მათ მიერ მენარმებზე დარიცებული და ამოღებული გადასახადებიდან პროცენტის სახით მიიღებენ. შემოსავლების სამსახურს, სხვა სახელმწიფობრივი მნიშვნელობისა და დანიშნულების ამოცანების შესრულების გარდა, სხვა „მომსახურების“ განვის ფუნქციაც მიენიჭა და არქივიდან ცნობების გაცემა, წლიური დეკლარაციის ასლის აღება, ნარმოშობის სერთიფიკაციის გაცემა და ა.შ. ამიერიდან უკვე უფლოდ არ ხდება - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განვისთვის დაწესებულია საფასურები და განაკვეთებიც სოლიდურია.

ის წოვაციები, რომლებსაც აანონსებდნენ როგორც რევოლუციურს და გადამხდელის ხსნას, მათ შორის: პირადი აგენტის მომსახურება, გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემონმების ჩატარება, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამონერის აქტის შედგენაში შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობა, საგადასახადო ორგანოს წინასწარი დასკვნა საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, დღეს ფასიანია - ფულს იღებენ დღისით, მზისით... რა უბედურება?!..

ეს, ვფიქრობ, ყველაზე ცუდი, არაეფექტური და არარაციონალური გადაწყვეტილებაა. გადასახადების გადამხდელები გადასახადებს იმიტომ იხდიან, რომ სახელმწიფო თავისი ფუნქციების შესრულება, სახელმწიფო აპარატის გამართული საქმიანობა უზრუნველყოს და არა დამატებითი შემოსავლების მისაღებად სავაჭრო ბუტიკი გახსნას. საგადასახადო ორგანოს თუნდაც ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე გადაყვანა

არალეგალური საკუთარი სარჩო-საბადებლის მოპოვების უფლების დაკანონებას, მოტივაციის გაჩენას, რეკეტის „თანამედროვე“ ფორმების აღმოცენებას და დამკიდრებას უფრო ჰგავს, ვიღრე საგადასახადო სისტემის დახვენას.

მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებებზეც (მუხლები 83-95) უნდა შევჩერდე.

გადაჭარბებულია მოლოდინი იმისა, რომ ამ მხრივ გადამხდელებმა რაღაც ახალი და ხელშეწყობა მიიღეს. სპეციალური დაბეგვრის რეაგიმი ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე (და არა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამენარმეო სუბიექტზე), რომლებიც მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსს მიიღებენ. იურიდიულ პირებს ამ კატეგორიაში მოხვედრის შესაძლებლობა არ ექნება. საქმიანობის სახეები ჯერ უცნობია და მას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ამასთან, ალმასრულებელ ხელისუფლებას ენიჭება უფლება აკრძალოს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ცალკეული საქმიანობის განხორციელება ან არ მიანიჭოს მათ შესაბამისი სტატუსი ასეთი საქმიანობის ფარგლებში. მეტიც, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განსაზღვროს შემოსავლის სახეები ასეთი საქმიანობის ფარგლებში.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ენევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს. ეს თანხა ძლიერ მცირეა - დღიური ერთობლივი შემოსავალი ასეთი პირებისა 80-82 ლარი შეიძლება იყოს განეული ხარჯების ჩათვლით. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისგან საქონლის ან მომსახუ-

რების მყიდველ მენარმეს არ შეეძლება ამ თანხის ხარჯად გატარება, თუნდაც დანახარჯი დოკუმენტურად იყოს დადასტურებული. ამდენად, ბიზნესის ეს წრე (თუ კი ბიზნესი ქვია ლუკმაპურის შოვნას) ფაქტობრივად, გარიყულია, მცირე და მსხვილი ბიზნესმენები თავს შეიკავებენ მიკრო მენარმებთან ეკონომიკური ურთიერთობისგან.

მიკრო მენარმები არ იბეგრებიან და მათ არ ექნებათ სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება, მაგრამ ისინი ცალსახად არ არიან თავისუფალნი ალრიცხვისგან და კონტროლისგან. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს მისი სტატუსი და სტატუსის სერთიფიკატის ნომერი. მან, მისთვის, ან მის მიერ გამოწერილი დოკუმენტი, სავალდებულოა, რომ შეინახოს.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით, ანუ, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლობით მიერ მიკრო მენარმეთა ბრუნვა შესაძლებელია სუბიექტურად შეფასდეს.

ზოგადად, ასეთი მიდგომისას, ცუდი ისაა, რომ ამ რეჟიმიდან გამოსვლის მოტივაციაც ნაკლებად მიმზიდველია და კორუფციული გარიგების შესაძლებლობები მატულობს. სხვათა შორის, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მართალია, მიკრო მენარმის სტატუსი არ ჰქონდათ, მაგრამ სავარაუდოდ, ამ წრისთვის მისაკუთხებელი კატეგორია (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით, ან კომბაინებით, მესაათე, მკერავი, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი, სამდივნო და მთარგმენლობითი მომსახურების განევა, თმის

დაბანა, შესწორება და კრეჭა,
დაწყობა, შეღებვა, შეფერადება,
დახვევა, გასწორება და ანალოგი-
ური სამუშაოები მათგაცებისთ-
ვის და ქალებისათვის, აგრეთვე
გაპარსვა და წვერის შესწორება
და სხვა (ჩამოთვლია 168-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილის „ლ“ პუნქტში)
ადრე უკეთეს დაბეგვრის რეჟიმში
იყვნენ, არ იხდიდნენ გადასახადს
და არც არავინ აწუხებდა.

ბევრად უფრო გაუკეველი
სიტუაციაა მცირე მენარმებ-
თან დაკავშირებითაც: ეს სტა-
ტუსი შეიძლება მიენიჭოს მე-
ნარმე ფიზიკურ პირს, რომლის
ჯამური ბრუნვა კალენდარული
წლის განმავლობაში არ აღმა-
ტება 200000 ლარს. ისინი გადა-
სახადს იხდიან შემოსავლის 3-5
%-ის ფარგლებში და თურმე ეს
შემოსავალი, არც მეტი, არც ნაკ-
ლები, შედგება საქართველოში
არსებული წყაროდან მიღებული
ერთობლივი შემოსავლებისგან,
გარდა ხელფასის სახით მიღებუ-
ლი შემოსავლებისა (ჩ. მუხლი
90/3). სხვა რაიმე შეღავათი მათ-
ზე არ ვრცელდება. მცირე სანარ-
მო ექვებდებარება განსაკუთრე-
ბულ კონტროლსა და საგადასა-
ხადო ვალდებულების აღმინისტ-
რირების მკაცრ რეჟიმს.

კოდექსში 92.1-ე მუხლი გვეუძნება, რომ მცირე ბიზნესს უფლება აქვს, არ ანარმონს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტში კი წერია, რომ მცირე ბიზნესმა უნდა ანარმონს ხარჯების აღრიცხვის უურნალი, რომლის წარმოების წესს ადგენს ფინანსთა მინისტრი (ხომ არის ეს „ჭრელო პეპლა?!“.).

მცირე ბიზნესს მიერ საგადა-
სახადო წლის განმვალობაში მი-
ღებული ზარალი მომდევნო წელს
არ გადაიტანება, თუ არ ხდება სპე-
ციალური დაბეგვრის რეჟიმიდან
გამოსვლა. ამდენად, განსაკუთრე-
ბულ პრივილეგიებს მცირე მენარ-
მე ვერ იგრძნობს, პირიქით, მისია
ამ სტატუსის გამო, მას მუდმივად
დაყვედრებული ყურადღების ქვეშ
მოუწევს თავისი პრობლემების
დემონსტრირება და დაცვა.

ახალ საგადასახადო კოდექსში
განსაკუთრებულად თვალშისა-
ცემია მენარმის და სახელმწი-
ფოს ურთიერთობა. სახელმწი-
ფოს მენარმის მიმართ თითქმის
არანაირი ვალდებულება არ გა-
აჩნია. მენარმეს კი უმნიშვნელო
წვრილმანიც, უნებლივ შეც-
დომა, მცირედი დაგვიანება არ
ეპატიება. ვერც თავს დაიცავს,
რამდენადაც დავის განხილვის
მექანიზმი, აუდიტორული საბ-
ჭოს კომპეტენციის და უფლება-
მოსილების ჩათვლით, აღმასრუ-
ლებელი ხელისუფლების სრულ
კონტროლქვეშაა. მაგალითად,
მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა
განვიხილოთ: თუ სახელმწიფოს
მენარმის მიმართ რაიმე დავა-
ლიანება დაუდგინდა, მას თავი-
სუფლად შეუძლია განერილ ვა-
დაში ეს თანხა არ გადაიხადოს,
თუნდაც ეს საკითხი სასამართ-
ლოს მიერ მენარმის სასარგებ-
ლოდ იყოს გადაწყვეტილი. სა-
ხელმწიფოს მენარმისთვის და-
საბრუნებელი ზედმეტად გადახ-
დილი თანხის უზრუნველყოფის
ვალდებულება არ აკისრია!

პროექტი დეტალურადაა აღნერილი, თუ რა შემთხვევაში, რა ვადებში უბრუნდებათ მენარმე-ებს ზედმეტად გადახდილი თანხა სახელმწიფოსგან, მაგრამ არსად არ ჩანს – რითა უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ვალი მენარმის მიმართ. თუ სახელმწიფო არ ენდობა მენარმეს და რისკების შემცირებისთვის მის გადასახადს სხვადასხვა ქონებით უზრუნველყოფს, მენარმე სახელმწიფოს სიტყვაზე უნდა ენდოს.

სახელმწიფოსგან განსხვა-
ვებით, მენარმის საგადასახადო
დავალიანების უზრუნველყო-
ფის პირობები მეტად მკაცრია
და სასტიკი. სახელმწიფო გადა-
სახადის გადახდის ვალის მიხედ-
ვითაც პრივილეგირებულ მდგო-
მარეობაშია. თუ იგი მოვალეა
მენარმეს, ზედმეტად გადახდი-
ლი თანხა, 3 თვის განმავლობა-
ში დაუბრუნოს, მენარმეს ახალი
საგადასახადო კოდექსის 61-ე
მუხლის მეორე პუნქტის მიხედ-

ვით, ეკისრება ვალდებულება, რომ გადასახადი დეკლარაციის წარდგენისთვის დადგენილ, ან საგადასახადო მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯარიმდება და თუ ჯარიმასაც არ გადაიხდის, მისი დავალიანება უზრუნველყოფის სახით სახელმწიფოს ქონებაში გადავა.

კიდევ ერთი - საყურადღებო
და მნიშვნელოვანი. საგადასახადო
კოდექსის ახალი ვერსიიდან კარ-
გად ჩაას, რომ აღმასრულებელი
ხელისუფლების უფლებამოსილე-
ბა მკვეთრად იზრდება. საკანონ-
მდებლო და სასამართლოს ფუნ-
ქციებიც კი მის ხელში გადადის.
ჭრის და კერავს კიდეც, სახელური
უკულმა რომ მიაკეროს პერანგს,
მოდის მიმართულებად ჩაითვლება
და პოდიუმზე წარმატებითაც ჩაა-
ტარებენ მკერდასე მოდელებს,
ამიეროდან ყევლა გადამზდელმა
ასეთი სახელური უნდა ატარონო,
იტყვიან და უნდა დავივეროთ (შე-
ვასრულოთ) კიდეც!

შენიშვნებს ეს ნაწილი ძალიან
მცირეა იმასთან, რაზეც შეიძლება
შეტერდეთ, თუმცა, საუკრალო
შეზღუდული ფორმატი ამ ჯერ-
ზე მეტის თქმის შესაძლებლობას
არ იძლევა. ჩვენ კონკრეტულ დე-
ტალებს კიდევ დაუბრუნდებით.
ექსპერტებთან ერთად, დეტალუ-
რად განვიხილავთ პრობლემურ
საკითხებს და შემდევ ნომრებში
მოგანაცით.

ამ ჯერზე კი, ერთგვარი შეჯაა-
მების სახით, შეიძლება ვთქვათ,
რომ აშკარაა ახალი ხედვა, ზემო-
ალნიშნული რევოლუციური ხოვა-
ციების დამკვიდრება „გადამხდე-
ლის ბენიერებისთვისაა“ მო-
გონილი. საგადასახადო კოდექსი
გაუღენთილია სეთურის სულის-
კვეთებით – გადამხდელს ერთი
გოჭი უნდა დაუტოვო მარტო, არ
გაზულუქდება მერე და მორჩი-
ლად იწიბა!

არავის უნდა ჰქონდეს იმის
ილუზია, რომ ოდესმე ხელისუფ-
ლება იოტისოდენა დათმობაზე წა-
ვა და გადამხდელის მორჩილების
აღვირს ზომაზე მეტად მოუშვებს.

პველის პუნდოვანება ახალსაც „გალავალი“

**რამდენიმე მოსაზრება ანალ
საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით**

ყველა ქვეყნის სახელმწიფოებრივად მთავრობის ძირითადი სურვილია (მიზანია) რაც შეიძლება ბევრი მენარმე იყოს ქვეყანაში, ჰქონდეთ მათ ბიზნესის დაუბრუკოლებლად კეთების საშეალება და არ ხდებოდეს ხელოვნური ჩარევები სხვადასხვა სტრუქტურების მხრიდან, მართალია, ბიზნესის კეთების პრიორიტეტზე, ჩვენი მთავრობის მიერ გაცხადებულია, მიღებულია შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარები ნორმატიული აქტები ბიზნესის ხელშეწყობის თაობაზეც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო არ ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს და განსხვავებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს. ასეთი გადაწყვეტილებები კი ხშირად ლეგალური ბიზნესის ნარმოების შეფერხებას იწვევს და ბიზნესს ჩრდილოვანი (აღურიცხავი) ეკონომიკისკენ უბიძებებს.



პორის ჭიჭინაძე,
სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის
სახელობის ეკონომიკურ-ჰუ-
მანიტარული უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი

პირდაპირ ვიტყვი: 1997 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა ვერ უზრუნველყო საქართველოში კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს შექმნა და ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. სწორედ ამიტომ დადგა დღის წერიგში ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, რომელიც 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. მართალია, დროთა განმავლობაში მათში რამდენიმე ათეული ცვლილება შევიდა, მაგრამ მთავრობამ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შედეგ ვერ გაითვალისწინა, ის ყო, რომ არ მთავალი დაგენერირება საგადასახადო კოდექსის მოქმედების შედეგად დაზარალებულ მენარმეთა გათავისუფლება გადასახადებისგან, ანუ, არ გამოცხადდა ტოტალური საგადასახადო ამნისტია (რომელიც ყველა მენარმეს თანაბრად შეხებოდა). ამდენად, მენარმებს დღესაც უხდებათ 1997 წელს მიღებული კოდექსის შედეგად ნარმოშილი ვალების გადახდა (არადა, ხშირად ეს ვალები უიმედო ხასიათს ატარებს). საგადასახადო ორგანოები, მიუხედავად გადამდევლთა უმეტესობის გადახდისუუნარობისა, არ ახდენენ მათ ჩამონერას მოქმედი კოდექსის მიმართ. მათ ჩამონერათ დაახლოებით 20 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება. ვფიქრობ, გადამდევლთა ასე დაყოფა (კატეგორიების მხრივ), ყოვლად დაუშვებელია, რაც საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ნეგატიურად იმოქმედებს. აქვე მინდა და მიითხველის ყურადღება მივაპყრო ერთ გარემოებას: საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას სამართლიანად აღნიშნა, რომ ყოვლად დაუშვებელია ბიზნესის დალუქვა (სამენარმეო საქმიანობის შეჩერება) ფინანსთა მინისტრის წრძანებით თანხმობის (წრძანების) გარეშე. პრაქტიკაში კი საპარისპირო ქმედებები ბევრია. სავაჭრო ობიექტების დალუქვა ხშირ შემთხვევაში ფინანსთა მინისტრის ბრძანების გარეშე ხდება. შემოსავლების სამსახურში განმარტავენ, რომ თითქოსდა, პრეზიდენტმა

2 დღით დალუქვა წებადართულად ჩათვალა. არადა, მას (პრეზიდენტს) 2009 წლის ოქტომბერში პარლამენტში გამოსვლისას, საგაჭრო ობიექტის დალუქვასთან დაკავშირებით არანაირ ვადებზე არ უსაუბრია. აქედან გამომდინარე, ასეთი ხშირი დალუქვები აფერხებს სამენარმეო საქმიანობის წარმართვას და ბიზნესის წარმოების შეფერხებას იწვევს (ხშირ შემთხვევაში ობიექტის დალუქვები თვეობით გრძელდება).

სამენარმეო საქმიანობის ერთერთი შემაფერხებელი ფაქტორია სავარაო რეესტრში დაწესებული მოსახურებლები ბიზნესის დაწყებისას, კერძოდ, ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციისთვის 1 სამუშაო დღის ვადაში საჭიროა 20 ლარის გადახდა, ხოლო, განცხადების შეტანისთანავე დარეგისტრირების შემთხვევაში – 50 ლარი, იურიდიული პირების შემთხვევაში, 1 სამუშაო დღის ვადაში დარეგისტრირების შემთხვევაში – 100 ლარი, განცხადების შეტანისთანავე დარეგისტრირების შემთხვევაში – 200 ლარი. ფასიანია მენარმე სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციაც: 1 სამუშაო დღის ვადაში – 100 ლარი, განცხადების შეტანისთანავე რეგისტრაციის შემთხვევაში კი 200

ლარი. ასევე ფასიანია რეგისტრაციის გაუქმება, ინდივიდუალური მენარმების შემთხვევაში, პირის გარდაცვალების, ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად, ან ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში – საფასურის გარეშე, ხოლო სხვა შემთხვევაში – 100 ლარი, იურიდიული პირების შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში საფასური შეადგენს – 100 ლარს, განცხადების შეტანის დღესვე კი – 200 ლარს. როგორც ვხედავთ, სამენარმეო საქმიანობის როგორც დაწყება, ასევე მის შეწყვეტი ფასიანია და მენარმის მხრიდან გარკვეული საფასურის გადახდას საჭიროებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მოსაკრებულების ასეთი პრინციპი ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს, მაგრამ არა ყველავან. ჩვენთან დაწესებული საზღაურები კი ამ მხრივ კრიტიკას ვერ უძლებს და საჭიროა მისი დახვენა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემისაზე მორგება, რადგნაც დაწესებული მოსაკრებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება საბიუჯეტო დაწესებულებების არსებულ მინიმალური ხელფასისგან.

საჭიროა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარ-

ტის №96 დადგენილების თაობაზე. კერძოდ, საქმე ეხება კანონს „საფარო სამართლის იურიდიული პირის–შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განვითავის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“, აღნიშნულ დადგენილებაში 2010 წლის 23 ივნისს შევიდა ცვლილებები, რომლითაც გაიზარდა იმ მომსახურების ჩამონათვალი, რომელიც ფასიანია და გადამხდელის მიერ გარკვეული თანხების გადახდას მოითხოვს. საფასურისა და განაკვეთების ჩამონათვალი მეტად ფართოა და სულ 52 პუნქტით განისაზღვრება. საჭიროდ ვთვლი რამდენიმე პუნქტზე გავაკეთო კომენტარი. კერძოდ, ბუნდოვანია აღნიშნული დადგენილების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული საფასურის რაოდენობა. ამ პუნქტით განსაზღვრულია, რომ თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს მოსთხოვს მისი სანარმოს საქმიანობის არაგემოურ შემონმებას, იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ნლიური ბრუნვა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარამდე, მაშინ, მან უნდა გადაიხადოს საფასური აღნიშნული მომსახურებისათვის – 10 000 (ათი ათასი) ლარი, ხოლო, თუ გადამხ-

დელის ნლიური ბრუნვა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე მეტია, მაშინ, უნდა გადაიხადოს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი. გაურკვეველია, რა პრინციპითაა დაწესებული აღნიშნული რაოდენობის საფასური? ხომ შეიძლება მეწარმის ნლიური ბრუნვა იყოს ერთი მილიონი ლარი, ხოლო მოგება 5 000 ათასი ლარი, ან, საერთოდ არ ჰქონდეს მოგება. ამ შემთხვევაში როგორ უნდა ისარგებლოს ასეთმა მეწარმემ მთავრობის მიერ შეთავაზებული მომსახურებით? ან, ხომ შეიძლება მეწარმის ნლიური ბრუნვა იყოს 9 000 (ცხრაათასი) ლარი და მას სურდეს მისი სანარმოს არაგეგმიური შემონმება – როგორ გადაიხდის ის 10 000 (ათიათასი) ლარს? ცხადია, აღნიშნული პუნქტი დახვენს საჭიროებს, რათა მისმა მოქმედებამ არ გამოიწვიოს კეთილსინდისერ მეწარმეთა უფლებების შელახვა. ასევე ბუნდოვანია აღნიშნული დადგენილების მე-18 პუნქტი. კერძოდ, ფასიანისა საგადასახადო ორგანოს წინასარ დასკვნა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. არ არსებობს არანაირი განმარტება, თუ რა იგულისხმება საგადასახადო ორგანოს წინასარ დასკვნაში. უნდა ვივრაუდოთ, რომ აღნიშნულში იგულისხმება საგადასახადო ორგანოს წერილობითი პასუხი გადამხდელის კოთხვაზე ამა თუ იმ საგადასახადო მუხლის მოთხოვნის განმარტებასთან დაკავშირებით. მოქმედი საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი განმარტავს, რომ, თუ საგადასახადო ორგანო წერილობით პასუხს გაუგზავნის გადასახადის გადამხდელს კოდექსის ამა თუ იმ მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით, მაშინ, საგადასახადოს ამ პასუხს იურიდიული ძალა არ აქვს. ხოლო, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში აღნიშნულია, რომ საგადასახადოს წერილს გადამხდელის მიმართ იურიდიული ძალა ექნება. სანაცვლოდ აღნიშნული მომსახურება უკვე ფასიანია და გადასახადის გადამხდელს არც თუ ისე პატარა თანხის გადახდა მოუწევს. თუ მეწარმეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე მეტი კაპიტალი, ან 10 000 000 (ათი მილიონი) ლარზე მეტი ნლიური ბრუნვა აქვს, მაშინ, ის ასეთი დასკვნის 10 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში მიღებისას გადაიხდის 10 000 (ათი ათასი) ლარს,



ხოლო სხვა დანარჩენი პირები კი 5 000 (ხუთათასი) ლარს. ხოლო, თუ ზემოთ აღნიშნული კაპიტალისა და წლიური ბრუნვის მქონე პირებს დასკვნის მიღება უნდათ 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მაშინ, მენარმეები გადაიხდიან 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო, სხვა დანარჩენი მენარმეები 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს. საფასურის დაწესებისას არ არის გათვალისწინებული ე.წ. „მიკრო“ და „მცირე მენარმის“ ინტერესები. რა ქანან აღნიშნული კატეგორიის მენარმეებმა, როცა მათ აინტერესებთა კოდექსის ამა თუ იმ მცხოვრის განმარტება. როგორ გადაიხადონ მათ დაწესებული საფასური? აღნიშნული დაგენერილების 32-ე პუნქტში ნათევამას, რომ გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე დადგებული ყადაღის მოხსნა ფასიანია და ის ერთი სამუშაო დღის განმავლობაში 20 ლარითაა განსაზღვრული. ეს ნიშნავს, თუ გადასახადის გადამზღდელს აქვს საბიუჯეტო დავალინება და მის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილია საინკასო დავალებები, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაფარავს ამ დავალინებას, მას საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალება ექნება მანამ, სანამ არ გადაიხდის დაწესებულ საფასურის. ამასთან, ბუნდოვანია საკონტროლო-საღარი აპარატის რეგისტრაცია (უეტეს შემთხვევაში 1 სამუშაო დღეში უნდა მენარმეს აპარატის რეგისტრაცია, ნინააღმდეგ შემთხვევაში მას დააჯარისებენ აპარატის არქონისთვის – 500 ლარით) მაშინ, მან უნდა გადაიხადოს 20 ლარი, ხოლო 3 სამუშაო დღეში – 10 ლარი. ასევე ფასიანია ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების რეგისტრაცია – იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო მოახდენს მის რეგისტრაციას 1 სამუშაო დღეში, მაშინ, მენარმემ უნდა გადაიხადოს 50 ლარი, 3 სამუშაო დღეში კი 20 ლარი. როგორც ეხედავთ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განვითაოვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ მიღებული დადგენილება ხშირ შემთხვევაში დისკრიმინაცილია

და ის აშკარად არღვევს მენარმეთა უფლებებს. ამასთან, ის წინააღმდეგობაში მოდის პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ „ეკონომიკური თავისუფლების აქტითან“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, თუ რა ხდება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში სამენარმეო საქმიანობის გაუმჯობესების მხრივ. ახალი კოდექსით შემოდის „მიკრო“ და „მცირე მენარმის“ კატეგორიები. ის მენარმე, რომლის წლიური ბრუნვა 30 000 ლარს არ აჭარბებს, ითვლება მიკრო მენარმედ და ის თავისუფლდება ყველანაირი გადასახადიდან. თუმცა, კანონის პროექტში არ არის განმარტებული, თუ როგორ ხდება მენარმის ბრუნვის დაფიქსირება. გამოდის, რომ აღნიშნული კატეგორიის მენარმეებმა კვლავ უნდა ანარმონონ საბუღალტრო აღრიცხვა (აბა ბრუნვას ისე როგორ დაადგენერენ?). კანონმცროებულის ავტორთა განმარტებით კი, მიკრო მენარმეებს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება არ ევალებათ. ახალი საგადასახადო კოდექსით, დღით იბეგრება მიღებული ავანსები, რაც უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, არსებული კოდექსით ავანსი დღით არ იბეგრება, მიუხედავად იმისა, რომ მიკრო მენარმე გადასახადებით არ იბეგრება, საგადასახადო სამსახურებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩაუტარონ აღნიშნული კატეგორიის მენარმეებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარზარი და უზედდებულო საქონლის გამოვლენის შემთხვევაში დაავარიმონ ისინი გამოვლენილი საქონლის 500 პროცენტით (დღეს არსებული კოდექსით მენარმეები აღნიშნულ შემთხვევაში ჯარიმდებიან გამოვლენილი საქონლის 100 პროცენტით), გამოდის, რომ ამ შემთხვევაში საგადასახადო სამსახურები გადამხდელებიდან გადასახადებიდან მიუღებელ თანხებს ამონდების ჯარიმების სახით. მიკრო მენარმეების დაბეგრასათან დაკავშირით მისაღები კანონი დღეს არსებულ საგადასახადო კოდექსთან შედარებით უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, მოქმედი კანონით გარკვეული კატეგორიის მენარმე პირები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 000 ლარს არ აჭარბებს, ისედაც გათავისუფლებულები არიან გადასახადსაგან. (გარდა იმ პირებისა, რომ-

უნიკალური სამუშაოები

საქართველოს რეგიონული სოციალურ-
ეკონომიკური და ეკოლოგიური
პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი

(დასასრული. დასაწყისი იხ. ქურნალში
„პოზნები და პაციენტების გადაღება“, 0360სი, 2010 წ.)

გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის როულ და ნინაულმ-
დევნობრივ პროცესში ახლებურ გააზრებას მოითხოვს სახელმ-
წიფოს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგი-
ური პოლიტიკის ფორმირების კონცეპტუალური და ორგანი-
ზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები. უპირველეს ყოვლისა,
ანალიზს საჭიროებს **ეზოგენური** და **ენდოგენური** ფაქტორე-
ბის გავლენით ფორმირებადი ტენდენციები, ცენტრისა და ტე-
რიფორმის ნანილის (რეგიონის) მრავალმხრივი ურთიერთო-
ბების კანონზომიერებანი, რათა ობიექტურად განისაზღვროს
სახელმწიფო (ცენტრი) - რეგიონის (ტერიტორიის ნაწილი) ინ-
ტერესების შეთანაბრყობის პრინციპები, მეთოდები, მექანიზმები.

ჩემის აზრით, რეგიონის, რო-
გორც ერთიანი ეროვნული ორ-
განიზმის შემადგენელი ნაწილის
განვითარების სწორად განსაზღვ-
რისთვის საჭიროა ინდივიდუალუ-
რი და კომპლექსური მიდგომა. მით
უმეტეს, საქართველოში, სადაც გან-
საკუთრებული მნიშვნელობაა აქვს
მრავალფეროვნებას, როგორც გან-
ვითარების რესურსს. სწორედ რეგი-
ონებშია განთავსებული ეროვნული
ფენომენის მარგალიტები, მისხალ-
მისხალ მათ აკრეფა და მიზნობრი-
ვად გამოყენება და ეროვნულ-სა-
ხელმწიფო ორგანიზაციების მათი
ჩაეყნება სახელმწიფოს სტრატეგი-
ულ ამოცანად უნდა იქცეს.

ରେଗିନାନ୍ଦିଙ୍ ପ୍ଲୋଟିକ୍‌ଜୀର୍ଣ୍ଣ, ସେବା-
ଲ୍ୟୁର୍-କ୍ରୋନିମ୍‌ପିକ୍‌ଚର୍, ତାବିଶେଷଖର୍ଜୀବ୍-
ଦୀ, ସାମ୍ରାଜ୍ୟର୍କ୍‌ବିନ୍‌ ଗାମୋଫିଲେବ୍‌, କ୍ୟାଲ୍-
ଟ୍ୟୁରିସ୍, ର୍ଯୁଲିଗାନ୍‌ ଗ୍ରାଂଗ୍‌ବ୍ୟୁଲିନ୍ କ୍ଷେତ୍ର-
ପିଲ୍ଲିକା ଶୈଳିଲ୍ଲେବ୍‌ ନାରମାତ୍ରେବୀତ ଗାମୋ-
ଗ୍ରୋଫିନ୍‌ର ନିର୍ମାଣ ମେହାନିଥିମିଳି ଶୈଳିମିଳି-
ସତ୍ତ୍ଵିଳି, ରାମେଲିପ୍ ଗାଲ୍ପବାଲିଥାଫିଲିଟ
ଗାମୋନ୍‌ପ୍ରେସ୍‌ଲ୍ ଟ୍ରେନିଙ୍‌କ୍ରିଡ୍‌ ଏବଂ ଆମିତ ତୁ-
ନିନାଲମ୍ଭିତ୍ତିଗ୍ରହଣ୍‌ବ୍ୟେଦ୍‌ ଗାଉର୍ବ୍‌ରେ, ଆମିଧ୍ୟ,
ମାତ ଉପିରାତ୍ମେଶ୍‌ଵରଣ୍‌ବ୍ୟେଦ୍‌ ମାନାର୍ଗ୍‌ବ୍ୟେଦ୍‌ କ୍ଷେତ୍ର-
ନିକି ଗାନ୍ଧିତାର୍ଯ୍ୟକ୍ଷିଳି ସାମ୍ରାଜ୍ୟର ବିକାଶକ୍ରି-
ଗାଲା. ଅଥ ତାବାଲିନ୍‌ଶରୀରିନ୍‌ର, ଶିଳା ରେଗି-
ନିନ୍‌ଲ୍ଲୋଡ୍ ମରାଗାଲ୍ଫ୍‌ର୍‌କ୍ରାନ୍‌କ୍ରିଟ୍‌ ଉନ୍ଦରା
ଗାନ୍ଧିକ୍ଷିଳିତ ରାମାନ୍‌କ୍ରିକ୍‌ଷେବନ୍‌କ୍ଷିଳି ଗାନ୍ଧି-
ତାର୍ଯ୍ୟକ୍ଷିଳି ଏରତ-ଏରତ ବିକାଶକ୍ରି-

ლი რესურსი. ამასთან, ქართული სოფელი, თემი, დაბა, რაიონი, ქალაქი, მხარე, ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც მთელის ნაწილი და თავადაც მთელი მათი შემადგენელი ნაწილების მიმართ ერთიანი გენეტიკური ფესვებით, ტრადიციულისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებით ის ნიშანსვეტია, რომელიც ქვეყნისთვის შეასრულებს ინდიკატორის ფუნქციას. სწორედ ამ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ ქართული რეგიონალიზმის ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრის ფილოსოფიური, პოლიტიკური და ეკონომიკური საწყისია. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ რეალობას, რომ ქვეყანა, მისი ტერიტორიის ნებისმიერი ნაწილი არ შეიძლება წარმატებით განვითარდეს, თუ ყოველმხრივ განალიზებული და განსაზღვრული არ არის ქვეყნის განვითარების ერთიანი მიზანი, ამოცანები, ეტაპები, მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლები, მექანიზმები. განვითარების ყველა ეტაპზე ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეროვნულ-სახელმწიფო ბრივი ინტერესებზე თარიღუნტირებული სტრატეგია, იგი უნდა დაეფუძნოს შემდეგ კონკრეტულურ-მეთოდოლოგიურ მიდგომებს:

ქვეყნის ტერიტორიული მთლი-



ବେଳାର ଜୀବିତାବା,
ଏକନନ୍ଦମଧ୍ୟେ ମେଘନିର୍ଗ୍ରହତା
ଫୁଲଭୂରଣ, ପରାପରାଶୋରଣ,
ଶୁଭରନାଲ୍, „ଦୀର୍ଘେସି ଫା
କାନନ୍ଦମଧ୍ୟେଭଲ୍ଲବ୍ଦିସ“
ସାମେଘନିର୍ଗ୍ରହ ସାଦକଳେ ନେଇବି

ანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა; ტერიტორიის შემადგენელი ნანილების (რეგიონების) სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა; სახელმწიფო-რეგიონის მრავალმხრივი ურთიერთობები უნდა დაემყაროს ორმხრივი ინტერესების კომპრომისს. ცენტრი შეასრულებს ტრანსფორმაციული პროცესების წარმმართველის ფუნქციებს, მან უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი პირობებით ერთმანეთისგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარება. რეგიონი ასრულებს ე.ნ. „ხედის“ ფუნქციას, რომლითაც სახელმწიფოს პოლიტიკით განსაზღვრული მაკრო ეკონომიკური და სოციალური პროცესები გადადის მეზო და მიკრო დონეზე. ეს პროცესი ვითარდება ორმხრივი მოძრაობის პრინციპით მაკროდან მიკროზე, და პირიქით. ცენტრისა და რეგიონსა აერთიანებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. სწორედ მათ გადაკვეთაზე ფორმირდება კომპლექსურობა. ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზანი მაშინ მიღილწევა თუ ორივე მხარე – მთელი და მისი ნანილი მოქმედებს ეროვნულ-სა-

სელმწიფო ობრივი იდეოლოგიით და
ქეყანა ვითარდება ერთიან პოლი-
ტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ
და სამართლებრივ სივრცეში.

გასათვალისწინებულია, რომ
ქვეყანაში ცხოვრების ბუნებრივი
პირობები არათანაბრადაა განაწი-
ლებული. ამიტომას, რომ რეგიო-
ნების სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების დონის (პირობების)
გამოთანაბრების ამოცანა ისტო-
რიულიც არის და საგანგებოც.

სახელმწიფო მმართველობის
ცენტრალურზაციისა და დეცენტ-
რალიზაციის თანამდებროვე ტენ-
დენციების გათვალისწინებით
უზრუნველყოფილი უნდა იქნას
რეგიონული, ადგილობრივი მმარ-
თველობის (თვითმმართველობის)
ნარმობადგენლობითი და აღმას-
რულებელი ორგანოების მაღალი
ადმინისტრაციული ავტონომია
და მეორეს მხრივ, ადგილობრივი
მმართველობა უნდა ფუნქციონი-
რებდეს, როგორც სახელმწიფოს
ერთიანი მმართველობითი სისტე-
მის პოლიტიკური, ეკონომიკური,
ორგანიზაციული და სამართლებ-
რივი საფუძველი. ადგილობრივი
მმართველობა უნდა ჩამოყალიბ-
დეს შართვის რეალურ ინსტიტუ-
ტად. სოფელს განესაზღვროს სტა-
ცუსი. უნდა გაიმიჯვნოს სახელ-
მწიფოსა და ადგილობრივ მმარ-
თველობას შორის საკუთრება,
შესაბამისად მათი კომპეტენციე-
ბი, ადგილობრივ მმართველობას
საკუთრებული უნდა ვადაცეს მის
ცერიტორიაზე არსებული ის სა-
ხელმწიფო საწარმოები (ორგანი-
ზაციები), რომელიც ძირითადად
ადგილობრივი მოთხოვნილებების
დაცვას უზრუნველყოფილებას და
მოსახლე-
ობის სოფელის მომსახურების მოცუ-
ლობის მიწოდებას უზრუნველ-
ყოფება; მომავალში ადგილობრივი
მმართველობისა და ცენტრალური
მთავრობის ურთიერთობა შეიძ-
ლება ჩამოყალიბდეს პარტნიო-
რულ საფუძველზე, რომელიც მო-
იცავს სოციალურ, ეკონომიკურ,
სამართლებრივ, ორგანიზაცი-
ულ-მმართველობითი საკითხებს.
სახელმწიფოსგან ადგილობრივ
ორგანოებზე უფლებამოსილებათა
დელეგირება დაიშვება შესაბამისი
მატერიალური და ფინანსური რე-
სურსასების გადაცემით;

ეფექტიანად უნდა იქნას გა-
მოყენებული რეგიონთაშორისი
კოოპერაციის განვითარების ქვე-

კანაში არსებული შესაძლებლობა-ნი. ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ იგი აჩქარებს სტრუქტურულ გარდაქმნებს, ასტიმულირებს მე-ნარმენით საჯმიანობას შიდა და გარე ბაზრებზე. დღიდან როლის შეს-რულება შეუძლია ფრანგიაზინგის სისტემას (იგი სახელშეკრულებო ურთიერთობებს უფრო და, რო-ცა მსხვილი სტრუქტურა თავის უფლებამოსილებას გადასცემს მცირე სანარმოს, რათა მან გამო-იყენოს მისი სავაჭრო მარკებით სარგებლობის უფლება, ამასთან, ანგარის მას საქონელს, რეკლამას, ტექნიკუროგიებს, აძლევს შეღავა-თიან კრედიტს, ან გამოდის თავ-დებად სესხის აღდისას). ინდივი-დუალურად უნდა შეირჩეს რომელ ტერიტორიაზე ფრანგიაზინგის რომელი ფორმა შეირჩეს (სანარ-მო, სავაჭრო და სხვა).

დღიდი მნიშვნელობა აქვს ერთობლივი სანარმოების შექმნას, როგორც უცხოეთის საპაზრო სუბიექტებთან, ასევე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის სანარმოებთან, ორგანიზაციებთან. ასეთი კოოპერაცია ხელს შეუწყობს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიმტკიცის ჯანსაღი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადებას, რეგიონს უნდა ჰქონდეს ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს ცენტრი (შესაბამისი სტრუქტურებით) და ამტკიცებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო.

სამწუხაროდ, ქვეყანაში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსური პროგრამების შედეგები ამჟამად არ ხდება. არც ქვეყნის განვითარების პროგნოზები დგება. ინდიკატური დაგეგმვის შესახებ კანონი გაუქმდებულია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროგრამული მიღებომა უნივერსალურია, მითუმეტეს, იგი უფეტიანია რადიკალური რეფორმების განხორციელებისას. პროგრამა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ქვეყნის (რეგიონის) განვითარების სტრატეგია, ორიენტირი (ინდიკატორი), რომელიც ისახავს პოლიტიკურ მიზანს, ემყარება საკუთარ სამართლებრივ ბაზას, ეყრდნობა კვლევის მეცნიერულ მეთოდებს,

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების დონის შეფასებისთვის საჭიროა გამოვყენოთ ინდიკატორთა სისტემა. მაგალითად, მშპ რეგიონული მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე მისი მოცულობა, ცხოვრების დონე, მრეწველობისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობა, დასაქმების მაჩვენებელი, დემოგრაფიული ტენდენციები, გარემოს დაცვის, ინვესტიციების რეგიონთაშორისოւერონმიკური კავშირების და სხვა მაჩვენებლები;

დიფერენცირებულ მიღვომას
მოითხოვს ცალკეული ტერიტო-
რიის (პირველ რიგში დეპრესიუ-
ლი რეგიონების) თავისებურებათა
გათვალისწინებით ეკონომიკური
პროტექციონიზმის გამოყენება.
მეცნიერთა ერთი ნაწილი პრო-
ტექციონიზმს უკულებელყოფს,
განსაკუთრებით ეს ეხება საერთა-
შორისო ეკონომიკურ და ფინან-
სურ სტრუქტურებს, რაც პრობ-
ლემების მიმართ მათი ცალმხრივი
დამოკიდებულებითა და რეალო-
ბას მოწყვეტილი იდეოლოგიური
დოგმებით უნდა აიხსნას. საქარ-
თველის სოციალურ-ეკონომი-
კურ და ეკოლოგიურ პოლიტიკაში
პროტექციონიზმი, როგორც ასე-
თი, დღეს ეფუძურად უნდა გა-
მოვიყენოთ. იგი მუდმივმოქმედი
ინსტრუმენტი არ არის, არამედ
მოცემულ კონკრეტულ სიტუაცია-
ასთან ეკონომიკას ადაპტირების
აუცილებელი სტიმულატორია.
გარედან (ამ შემთხვევაში ცენტრი-
დან) მრავალმხრივი მხარდაჭერის
გარეშე ქვეყნის დეპრესიული რე-
გიონების (განსაკუთრებით მთის
რეგიონების) სოციალურ-ეკონო-
მიკური და ეკოლოგიური განვი-
თარება, მით უფრო მდგრადი გან-
ვითარების პრინციპებზე მათი გა-
დასვა, შეუძლებელია.

ქვეყნის რეგიონზები ინტენსიუ-
რად უნდა ჩაერთონ საგარეო-ეკო-
ნომიკურ და კულტურულ ურთი-
ერთობებში. უპირატესობა უნდა
მიერთოს სავაჭრო-ეკონომიკურ,

კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკურ, ჰუმანიტარულ, ტერიტორიულ (სასაზღვრო) ურთიერთობებს.

სრულყოფას საჭიროებს საპიუჯეტო ფედერალიზმის მექანიზმი, კერძოდ, ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პროცესის მიზანმიმართულად რეგულირება, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების შეჯერება, ცენტრსა და რეგიონებს შორის ხარჯვითი უფლებამოსილებათა ობიექტურად გადახანილება და სხვ.

ამრიგად, რეგიონული პოლიტიკისა და მისი რეალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბება დღეს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა.

მთიანეთის განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული ხეპარიზმის ფორმირება

1999 წელს საქართველოში მიღებული კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, ქვეწის (განსაკუთრებით

მთიანეთის) განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მან საფუძველი ჩატარა მთიანეთის განვითარების საკანონმდებლო ბაზას, აღიარებული იქნა მთის რეგიონების განვითარების პრობლემები და მათი გადაწყვეტის დაჩქარების აუცილებლობა, განისაზღვრა სტრატეგიული მიმართულებანი, რომლებიც შესაბამება მეცნიერებისა და მსოფლიო გამოცდილებით აპრობირებულ მიდგომებს. კანონით განისაზღვრა მოქმედების არეალი (ქვეწის შესაბამისი ტერიტორია), ეკონომიკის განვითარების, მიწათსარგებლობის, გარემოს დაცვის პრინციპები, სოციალური სფეროს ფუნქციონირების პირობები, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული ამოცანები და სხვ.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული კანონი დასმული ამოცანების მნიშვნელობით, მთიანეთის განვითარების მასშტაბური ხედვით, პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომით ძირითადად პასუხობს თანამედროვე მსოფლიოში მთიანეთის განვითარების ზოგად კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. ამასთან, იგი შესრულების მექანიზმების გამოყენების თვალსაზრისით რიგი ხარვეზებით

ხასიათდება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი კანონის მოქმედების შეჩერებისა იყო და არის რეალური ფინანსური წყაროების არ არსებობა. ამიტომ, კანონი ფაქტობრივად მოწყვეტილია რეალურ სინამდვილეს. იგი დეკლარაციულ ხასიათს ატარებს...

ასეთი სიტუაცია მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებით არ აისწენდა (მთიანეთის პრობლემების მასშტაბების გაუცნობიერებლობა და ფორმირებადი სახელმწიფოს დაბალი კომპეტენცია). დიდია ობიექტური ფაქტორების მნიშვნელობაც. ეროვნული ეკონომიკა კანონის მიღების პერიოდში და ამჟამადაც ტრანსფორმაციული პროცესების ნინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, სისტემურ კრიზისშია. გამწვადა სოციალური პრობლემები, მსოფლიო ეკონომიკის კრიზისშია და რუსეთის აგრძელამ გამოიწვია ზრდის ტემპების ვარდნა. ჯერ კიდევ მიღწეული არ არის მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების რეფორმამდელი (1990 წ.) დონე (იგი 2008 წლის შედეგებით შეადგინს 68-70%-ს).

აქციების ბაზარზე ეს გამოვლინდა ამერიკის საფონდო ბირჟაზე უცხოელთა მიერ აშშ-ის კომპანიების აქციების ყიდვათა შემცირებით, რაც ამ ქვეყნაში კაპიტალების შემოსავლის შეკვეცის და დოლარის კურსის დაწესების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. ინსტიტუციურობისა და სტრუქტურულმა ცვლილებებმა დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ფინანსური არასტატურობის პერიოდში მატულობს ბირჟების როგორც ვაჭრობის ორგანიზატორების როლი. ბოლო ხანს მათ საგრძნობლად გააქტიურეს საფონდო ბაზარზე თავიანთი პოზიციების განმტკიცებისაკენ მიმართული პოლიტიკა. ხსენებულ პერიოდში მომხდარი ცვლილებები მთლიანობაში ეკონომიკური და ფინანსური ვითარების გაუარესებაზე გამოვლენილი ბუნებრივი რეაქცია. ამგარიც ცვლილებები შესაძლებელს ხდის ბაზრების კონსოლიდირებას, ბაზრის ლიკვიდურობის კონცენტრირებას, ხოლო მოთხოვნის უქონლობის შემთხვევაში გვათავისუფლებს:

- ფასიანი ქაღალდებისაგან;
- იმ კომპანიებისაგან, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ფინანსური სამედიორობის დაწესებულ კრიტერიუმებს;

- იმ სავაჭრო მოედნებისაგან, რომელებზეც პრაქტიკულად არ ხორციელდება გარიგებები.

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარს განვითარების შემდეგი ძირითადი ტენდენციები ახასიათებს:

• ბაზრის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია;
 • ორგანიზებულობის დონის ამაღლება და სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება;
 • ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომპიუტერიზაცია;

- დეზინტერმედიაცია;
- საბაზრო ინიციატივები;
- სეკურიტიზაცია.

I. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინტერნაციონალიზაცია იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კაპიტალი სცდება ქვეყნის საზღვრებს, ყალბდება ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარი, რომლის მიმართაც ეროვნული ბაზრები მეორეხარისხოვანი ხდებიან. ნებისმიერი ქვეყნის ინიციატორს შესაძლებლობა ეძლევა სხვა ქვეყნებში მიმოქცევაში მყოფ ფასიანი ქაღალდებში დააბანდოს თავისი თავისუფალი ფულადი სახსრები. ეროვნული ბაზრები იქცევა ფასიანი ქაღალდების გლიბალური მსოფლიო ბაზრის შემადგენელ ნანილებად ასეთ გლობალურ ბაზარზე ყველაგან და შეუსვენებლად ვაჭრობენ ტრანსეროვნული კომპანიების ფასიანი ქაღალდებით.

გლობალიზაციის პროცესს განაპირობებს მსოფლიოს განვითარების ობიექტური ფაქტორები, შრომის საერთაშორისო დანართობების გაღრმავება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში, ქვეყნებს შორის ენ. ეკონომიკური სიშორის შემცირება.

ტერმინი „გლობალიზაცია“ 1980-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა და ამას ამერიკელი სოციოლოგის როგორც სახელს უკავშირებენ.

გერმანელი ეკონომისტების პ. ზიგერტისა და პ. ბროდტის განმარტებით, „გლობალიზაცია არის გათიშული ეროვნული მეურნეობების ინტეგრირებულ გლობალურ ეკონომიკურად ტრანსფორმირების პროცესი“. ამ ტრანსფორმაციის პროცესში ხდება სახელმწიფოს ინსტიტუტის „დევალვაცია“, რომელიც მრავალი ათწლეულის მანძილზე სისტემანარმომებრელ ორგანიზაციულ სტრუქტურად გვევლინებოდა.

სხვაგვარად განმარტავენ „გლობალიზაციის“ ცხებას რუსი მეცნიერები. მაგალითად, პროფესორ პ. პუგალიშვილის აზრით, გლობალიზაცია არის „ობიექტური ზოგადცივილიზაციური პროცესი, ყოფის ახალი

ფორმა, რომელიც XXI საუკუნის რეალობას შეესაბამება“; პროფესორი პ. მირონოვი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არის „უახლეს ინფორმაციულ ცივილიზაციაზე გადასვლის მეტად წინააღმდეგობრივი ფორმა“.

თანამედროვე გაგებით, არსებულ გლობალიზაციას მთელი რიგი მიმართულებები აქვთ:

- გლობალური ტრანსეროვნული კორპორაციების დამკვიდრება;
- ეკონომიკის რეგიონიზაცია;
- მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია;

• კონვერგენციის ტენდენციები;

• ფინანსური გლობალიზაცია.

გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალებად გვევლინებიან ტრანსეროვნული კომპანიები და ბანკები. ტრანსეროვნული კომპანიების ფარგლებში ყალიბდება საწარმო, სამეცნიერო-ტექნიკური, სავაჭრო და სხვა საქმიანი კავშირები, რომელიც კონტრაქტულ სისტემას ეყრდნობა.

1990-იან წლებში გადავლილმა შეწყმისა და შთანთქმის მძლავრმა ტალღამ კიდევ უფრო გააძლიერა მსოფლიოში მათი გავლენა. ეროვნულ სახელმწიფოებს უფრო მეტი ანგარიშის განება უხდებათ ტრანსეროვნული ბანკებისთვის, როგორც ძლევამოსილი პარტნიორებისთვის, ზოჯერ კი – მეტოქებისთვის ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენისთვის ბრძოლაში.

გლობალიზაციის განვითარების საფუძველია: საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია, სამუშაო ძალის უფრო თავისუფლად გადაადგილება.

ამასთან, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია უკიდურესად წინააღმდეგობრივი პროცესია და არა-ერთმნიშვნელოვნად მიმდინარეობს. იგი შეიცავს როგორც ეროვნულ ეკონომიკათა აყვავების შესაძლებლობებს, ისე, საფრთხეებს განვითარებადი ქვეყნებისთვის. გლობალიზაციის პოზიტიური მხარეა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დიდი განსხვავების ერთგვარად შემცირების ტენდენცია, რომელიც ბოლო 20-25 წლის მანძილზე გამოვლინდა. მთელმა რიგმა განვითარებადმა ქვეყნებმა შთამბეჭდავ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწია. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გლობალიზა-

ციის პროცესი ერთნაირად ეფექტიანი არაა ცალკეული ქვეყნებისთვის, ძირითად უპირატესობებს იღებენ ყველაზე უფრო განვითარებული ის ქვეყნები, რომლებსაც გლობალიზაცია სამეურნეო საქმიანობის წარმართვის ერთიანი სტანდარტების მქონე ეკონომიკურ სივრცეს უფართოებს.

გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირების პროცესში ადაპტაციის ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან განვითარების უფრო ნაკლები დონის მქონე ქვეყნები.

მათვის ძირითადი საფრთხეა ის, რომ მცირდება სახელმწიფოს როლი სამეურნეო კავშირულთერთობების რეგულირებაში და კლებულობს მსოფლიო ბაზრების ნეგატიური გავლენისგან – უფრო ძლიერი კონკურენტების ექსპანსიისგან, უცხოური კაპიტალის მასობრივად გადინებისგან, დამაზგრეველი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისებისგან – თავის დაცვის შესაძლებლობები.

გლობალიზაციის ერთ-ერთ გამოხატულებად გვევლინება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურების ინტეგრაცია. აქციების ბაზარზე სადლელამისო ვაჭრობის ინგანერობრაციების (ალიანსების) ფორმა შეიძინა. 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს წამყვანი საფონდო ბირჟების აქციების კოპირეჟა მსოფლიო ბირჟებზე. 2001 წლის თებერვალში საფონდო ბაზარზე აქციების ლისტინგი გაიარა გერმანიის საფონდო ბირჟამ, 2001 წლის ივლისში – Euronext-ში, რომელიც პარიზის, ბრუსელის, ამსტერდამისა და ლისაბონის საფონდო ბირჟებს აერთიანებს, აგრეთვე ლონდონის საფონდო ბირჟამ.

ლია საქციო კომპანიებად გარდაქმნის შემდეგ საფონდო ბირჟები იმ ბიზნეს-კორპორაციებად გადაიცემნენ, რომლებიც მაქსიმალური მოგების მიღებაზე არიან ორიენტირებული.

მათ აქვთ საკუთარი ბიზნეს-სტრატეგია, ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის მოდელი. მათი დადებითი მხარეებია მაღალპროფესიული მართვა, ბირჟების საქმიანობის ყველა ასპექტის მზარდი კონტროლი, მოთხოვნილების გადიდება ფინანსური ანგარიშებისა და მისი გამჭვირვალობის მიმართ.

ყოველივე ამან შესაძლებლობა შეუქმნა ბირჟების ჰოლდინგური ჯგუფების შექმნას მათი შერწყმის გზით, სადაც ჰოლდინგ-კომპანიის როლში, როგორც წესი, თვითონ საფონდო ბირჟები გამოდიან.

სერთაშორისო ჰოლდინგური ჯგუფების ჩამოყალიბება იწყება ეროვნული ბაზრის კონსოლიდაციით, როდესაც ბირჟები იძნენ საანგარიშშინორებო-კლირინგული კომპანიების, სარეგისტრაციო კომპანიების აქციების საკონტროლო ან 100%-იან პაკეტებს, რომლებიც საბირჟო ბაზარზე უახლესი ტექნილოგიების განვითარებასა და დანერგვას ემსახურებიან. **ისეთნაირად ჩამოყალიბდა გერმანიის, შვედეთის, ფინეთის ჰოლდინგური ჯგუფები.** ამით იწყებენ თავიანთ საქმიანობას ესპანეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ის ჰოლდინგური ჯგუფები, რომლებიც ეროვნულ დონეზე ყალიბდებიან.

თანამედროვე ჰოლდინგური ჯგუფების დახასიათება. ევროპის საფონდო ბირჟაზე ამჟამად უმსხვილესი საერთაშორისო ჰოლდინგური ჯგუფია Deutsche Boerse Group (გერმანიის საფონდო ბირჟის ჯგუფი). გერმანიის საფონდო ბირჟას მთლიანად ეკუთვნის ტექნოლოგიური კომპანია Deutsche Boerse Systems, აგრეთვე საანგარიშშინორებო-კლირინგული კომპანია Clearstream. გარდა ამისა, გერმანიის საფონდო ბირჟის ჯგუფში შედიან: ნარმოებული ინსტრუმენტების ბირჟა EUREX-ი, (შვეიცარიის საფონდო ბირჟასთან ერთობლივი მფლობელობა), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფასანი ქაღალდებით ვაჭრობის საფონდო ბირჟა.

2003 წლის მაისში შევდეთის საერთაშორისო ჰოლდინგური ჯგუფის – OM Croupis მიერ მის შექმნამდე დამოუკიდებელი იყო ჰელსინკის საფონდო ბირჟის ჯგუფი (HEX Group), რომელიც აერთიანებდა ტალინის საფონდო ბირჟის და ესტონეთის ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარიუმს, აგრეთვე, ლატვიის საფონდო ბირჟასა და ლატვიის ცენტრალურ დეპოზიტარიუმს.

საერთაშორისო OM Croupis (შვედეთი), რომელიც სპეციალიზდება ფინანსურ ბაზარზე კომპანიებისთვის სისტემური ტექნოლოგიური გადაწყვეტების დამუშავებაზე. 1998 წელს მან შეიძინა სტოპოლმის საფონდო ბირჟა. OM ჯგუფის ასო-

ცირებული კომპანიები და პარტნიორებია Ore Software, ჰელსინკის საფონდო ბირჟა. ლონდონის საფონდო ბირჟასთან ერთად OM ჯგუფი ქმნის წარმოებული ინსტრუმენტების ბირჟას – EDX London-ს.

ბირჟების ჰოლდინგური ჯგუფების ჩამოყალიბებამ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბზე გამოიწვია ბირჟების შედა საორგანიზაციო მუშაობის და ამ მუშაობის მართვის გადასრულების აუცილებლობა, რეორგანიზების საფუძვლად აღებული ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით კონპორაცია უნდა მოქმედებდეს როგორც შედარებით მომცრო სპეციალიზებული კომპანიების ერთობლიობა. ეს სტრუქტურული ერთ-ულები ატარებს დამოუკიდებელ პოლიტიკას, აღნევენ კონკრეტულ უპირატესობებს, თავიანთი ოკერაციების ეფექტურანობასა და მომგებიანობას. ამასთან, მათ აერთიანებს საერთო სტრატეგია და მოქმედებათა ერთიანი გეგმა, რომელსაც კორპორაციის ხელმძღვანელობა შემუშავებს.

II. ბაზრის ორგანიზებულობის ამაღლების და მისი სახელმწიფო-ეპრივი კონტროლის გაძლიერების მიზანი ფასიანი ქაღალდების ბაზრის საიმედოობისა და მასობრივი ინვესტიციების მხრიდან მისი ნდობის უზრუნველყოფა. ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის მასშტაბები და მნიშვნელობა ისეთია, რომ მისი მოშლა პირდაპირ არღვევს ეკონომიკურ პროცესს, საერთოდ – **კვლავნარმოების პროცესს.** არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ რამე კატაკლიზმების, ან თაღლითობის შედეგად ინვესტორებმა დაკარგონ საკუთარი, თუ სხვა ქვეყნის ფასიან ქაღალდებში დაბანდებული თავიანთი ფულადი სახსრები.

ამ ტენდენციის მეორე მიზანი ფისკალურია. ბაზრის ორგანიზებულობისა და მისი კონტროლის გაძლიერება საშუალებას აძლევს ყოველ სახელმწიფოს, გაადილოს თავისი დასაბერენ ბაზა და ბაზრის მონაბეჭდებისგან ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობათა სიდიდე.

იმის მოუხედავად, ბაზრების მონაბეჭდება სახელმწიფო თუ გარეშე არბიტრად გვევლინება, იგი ყოველთვის იმყოფება ბაზარზე. სახელმწიფო ეკონომიკური ინვესტორებისთვისაცაა ხელმისაწვდომი. ტექნიკურმა ინოვაციებმა შეკვეცა ბაზარზე შესვლი-

თამაშობს, რომელიც ეროვნული საფინანსო სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს. თუმცა, გლობალზარიზის პროცესი ცელის ამ წარმოდგენებს.

ერთის მხრივ, გლობალიზაციამ შესაძლებლობა მისცა სახელმწიფოს, ხელი მიუწვდებოდეს ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარზე. ეს, უეფელია, ამ პროცესის დადებითი ასპექტია, მაგრამ, მეორეს მხრივ, გლობალური ბაზრის პირბეჭში სახელმწიფოს უკვე არ შეუძლია ეფექტურად შეასრულოს გარანტის ფუნქციები, რადგან, მას შეუძლია არეგულირობა მხოლოდ ბაზების ეროვნული მონაბეჭდის საქმიანობა. სახელმწიფო ფატიურად იქცა გლობალური ბაზრის იმ რიგით მონაბილედ, რომლის ვალდებულებათა (მათ ეკუთვნის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და ვალუტა) კოტირება ბაზარზე კერძო სექტორის ვალდებულებათა გვერდით ხდება. გლობალური ბაზარი თვალს ადევნებს მთავრობის ქცევას ისევე, როგორც იგი აკვირდება უმსხვილესი კონპორაციების ბუღალტრულ ანგარიშებს. ფასიანი ქაღალდების თანამედროვე საერთაშორისო ბაზრის მესამე დამასახიათებელი ნიშანია ბაზრის კომპიუტერიზაცია.

III. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომპიუტერიზაციამ შესაძლებელი გახადა რევოლუცია როგორც ბაზრის მომსახურებაში (უპირველეს ყოვლისა, ბაზრის მონაბეჭდებისთვის და მათ შორის სწრაფმოქმედი და ყოვლისმომცველი ანგარიშსწორებების თანამედროვე სისტემების მეშვეობით), ისე, ვაჭრობის მეთოდებში. კომპიუტერიზაცია საფუძველს უმზადებს ყოველგვარი სიახლის შემოღებას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების დაჩქრებულად განვითარებამ უფრო კონკურენტული, კარგასწილი და მობილური გახადა ბაზარი. ალტირნატიული სავაჭრო სისტემებისა და ელექტრონული კომუნიკაციის შეცვლის მეთოდში, თუ სხვა ქვეყნის ფასიან ქაღალდებში დაბანდებული თავიანთი ფულადი სახსრები.

სა და სავაჭრო სისტემის შემდგომი განვითარების ხარჯები.

მიმდინარე წლის 31 მაისს სს „საქართველოს საფონდო ბირჟამ“ მიიღო ოფიციალური წერილი NASDAQ OMX-გან, რომლის თანახმად, NASDAQ OMX-მა დაასრულა საქართველოს საფონდო ბირჟის წინადაღების განხილვის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. წერილში ხაზგამისულია თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ის სულისკვეთება, რომელსაც NASDAQ OMX წლების განმავლობაში გრძნობდა საქართველოს საფონდო ბირჟის გუნდისა და საფონდო ბაზრის განვითარებით დაინტერესებული სხვა მხარეების მხრიდან.

მიღებული ინფორმაციისა და უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, NASDAQ OMX-მა ამ ეტაპზე საქართველოს საფონდო ბირჟას შესთავაზა თანამშრომლობის ორი მიმართულება:

- პრეველი – ტექნიკური დახმარების განხორციელება,
- მეორე – ყველაზე მნიშვნელოვანი – თანამშრომლობა ტექნოლოგიურ სფეროში.

ამჟამად, NASDAQ OMX ასრულებს საბირჟო და ცენტრალური დეპოზიტარის სისტემების რეგიონული პლატფორმების ტექნოლოგიური განვითარების გეგმას და, მათი რწმენით, ამგარი სისტემების დაწერვა ურთიერთსასარგებლო იქნება.

„რეგიონული საბირჟო პლატფორმების შექმნა ძევლი OMIX-ის უკანასკნელი წლების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იყო. იმ პერიოდში აქცენტი კეთდებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე და მიზნად ისახავდა სკანდინავიისა და ბალტიის-პირეთის წარმატებული რეგიონული ინტეგრაციული მოდელის რეალიკურიას. ეს კვლავ აქტუალური რჩება კავკასიის რეგიონში. ჩვენ გამოვთქმამ მზადყოფნას გავაგრძელოთ ჩვენი კარგი ურთიერთობები და ღია ვართ მომავალში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისთვის“, აღნიშნა თავის წერილში NASDAQ OMX Nordic-ის პრეზიდენტმა პანსოლე იორგაშვილა.

XXI საუკუნეში გაჩინილი ელექტრონული კომუნიკაციების ქსელები სრული სპექტრის მომსახურებას უწევენ ინვესტორებს სავალო ვალდებულებებზე ოპერაციებისთვის.

უნიფიკაციამდე ჯერ კიდევ შორსაა და ყოველ ახალ სისტემას გარკვეული თავისებურებები გააჩნია. მაგალითად, Euro MTS-ს, Broker Tes-სა და Trade Web-ს ახასიათებს ინფორმაციული ჩაეტილიბა კონტრაპენტების იდენტიფიციაციისთვის. MTS Naly-სა და Garban Interkapital-ზე კი, პირიქით, გარიგებების პარტნიორზე ცნობებს იძლევიან ოპერაციის ჩატარებამდეც და მის შემდეგაც. დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად, სისტემები სამ დღიდ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ:

• სასამონლო სისტემები: ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსება პირდაპირ ემიტენტიდან ინვესტორისკენ;

• საბაზონო სისტემები: ანონიმურად ვაჭრობა მეორად ბაზარზე, რომელზეც მრავალი კონტრაგენტია;

• სატელერო სისტემები: ერთდილერიანი სისტემები ერთი ფინანსური შუამავლის კლიენტებისთვის;

არსებობს მულტიდილერული სისტემები ამერიკისა და ევროპის ობიექტების ბაზრის მოთავაშეთა დახურული ჯევფისთვის, რომელთა ხელმისაწვდომობა სადილერო საზოგადოების წევრებს ანონიმურად გააჩნიათ ბროკერის მეშვეობით.

IV. ფასიანი ქაღალდების თანამედროვე საერთაშორისო ბაზრის მეოთხე თავისებურებაა დეზინტერემედიაცია. დეზინტერემდაცია ფინანსური შუამავლობის შემცირების პროცესია. პირდაპირი დაფინანსების შესაძლებლობებმა და ე.წ. სტრუქტურულმა ფინანსებმა განპირობა ფინანსური შუამავლობის შემცირება და ახალი სანამოების დამოუკიდებლად გასვლა ბაზარზე.

V. ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის შემდეგი დამახასიათებელი ნიშანია სიახლეთა დანერგვა, ანუ, ინოვაციები საფონდო ბაზარზე. დღეს ფასიანი ქაღალ-



დების საერთაშორისო ბაზრის სიახლეებს წარმოადგენს:

• მოცემული ბაზრის ახალი ინსტრუმენტები;

• ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ახალი სისტემები;

• ბაზრის ახალი ინფრასტრუქტურა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახალი ინსტრუმენტებია, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხვოვანი წარმოებული ფასიანი ქაღალდები და მათი სახესხვაობები. ვაჭრობის ახალი სისტემებია კომპიუტერებსა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების გამოყენებაზე დაფუძნებული სისტემები, რომელთა მეშვეობით ვაჭრობა მიმდინარეობს მთლიანად ავტომატურ რეჟიმში, შუამავლების გარეშე, გამყიდველებსა და მყიდველებს შორის უშუალო კონტრაქტების უქონლად.

„საკუთარი“ ელექტრონული სავაჭრო სისტემებისთვის ბაზის გაკვლევა საზღვარგარეთის ბაზრებზე - ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებლობას უქმნის ბირჟებს, გააფართოონ მონაწილეთა წრე, გაზარდონ თავიაზოთი ბაზრის ლიკვიდურობა, გაადიდონ იმ ფასიანი ქაღალდების სპექტრი, რომელსაც ბაზრის მონაწილეებს სთავაზობენ და რომლებიც ერთი სავაჭრო სისტემითაა გაერთიანებული და ა.შ.

დასავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ბირჟებმა გარკვეულ ნარმატებში მიაღწიეს ამ მიმართულებით.

ამჟამად გერმანიის საფონდო ბირჟის ელექტრონულ სავაჭრო სისტემას Xetra-ს იყენებს დუბლინის საფონდო ბირჟა (ირლანდია), ვენის საფონდო ბირჟა, აგრეთვე გერმანიისა და ვენის საფონდო ბირჟის ერთობლივ სანარმო NEWEX-ი, რომელიც საეციალურად შეიქმნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფასინი ქაღალდებით ვაჭრობისათვის. ამის შედეგად გერმანიის საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემა 10 000 მომორჩეულ ტერიტორიას ითვლის 18 სხვადასხვა ქვეყნაში.

მსხვილი საერთაშორისო საბროვერო კომპანიების სავაჭრო სისტემების დამკაიდრება - ელექტრონულ საბროუნ სავაჭრო სისტემასთან ელექტრონული საბროვერო სისტემების მიერთება არსებითად აფართოებს ბირჟების კლიენტურ ბაზას. 2002 წლის აპრილში, მაგალითად, ჰელსინკის საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემამ და ელექტრონულმა საბროვერო სავაჭრო სისტემა CLNET-მა, რომელსაც აქციებისა და ობლიგაციების საბროვერო ბაზარზე იყენებენ, ხელი მოაწერეს შეთანხმებას „შლუზის“ შექმნაზე, რომელიც ორ სავაჭრო სისტემას გააერთიანებს.

თავისი სავაჭრო სისტემების დანერგვის გვერდით ბირჟას შეუძლია დანერგოს კლირინგისა და ანგარიშსწორების ტექნოლოგიებიც. ეს აუცილებელია, რადგან ელექტრონული დანერგვის გვერდით ბირჟას შეუძლია დანერგოს კლირინგისა და ანგარიშსწორების ტექნოლოგიებიც.

რონული სავაჭრო სისტემების გამოყენების ეფექტიანობას დიდად განსაზღვრავს მისი შეთავსებადობა კლირინგისა და ანგარიშსწორებათა ტექნოლოგიასთან. იგი გულისხმობს დადგებულ გარიგებებზე ანგარიშსწორებათა ავტომატიზაციას (straight through processing), შესაძლებელს ხდის უწყვეტად ჩატარებას რეალური დროის რეჟიმში, მნიშვნელოვნად ამკირებს დროს გარიგების დადგების მომენტსა და მის შესრულებას შორის, ამის ხარჯზე კი – რისკებს.

2002 წლის დასაწყისში ჰელსინკის საფონდო ბირჟამ შემოიღო ახალი კლირინგული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლირინგისა და ანგარიშსწორებათა ერთიან სისტემას სავაჭრო მოედნებზე შესრულებულ იმ ოპერაციებზე, რომლებსაც ჰელსინკის საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემა ემსახურება, ესენია ესტონეთისა და ლიტვის საფონდო ბირჟები.

ტექნოლოგიური ფაქტორი და, კერძოდ, ბირჟების გადასვლა ანგარიშსწორებათა ავტომატიზაციაზე, არსებით გავლენას ახდენს ბირჟის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, განსაზღვრავს მათი როგორც ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციების განვითარებას. ბაზრის ახალი ინფრასტრუქტურა – ესაა თანამდეროვე საინფორმაციო სისტემები, კლირინგისა და ანგარიშსწორებათა სისტემები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპოზიტარული მომსახურების სისტემები.

VI. სეკურიტიზაცია არის ფულადი სახსრების ტრადიციული

ფორმების (დანაზოგები, ნაღდი ფული, დეპოზიტები და ა.შ.), ფასიანი ქაღალდების ფორმაში გადასვლის ტენდენცია;

ფასიან ქაღალდებად კაპიტალის სულ უფრო მეტი მასის გადაქცევის ტენდენცია;

ერთი ფორმის მქონე ფასიანი ქაღალდების სხვა, ინვესტორთა ფართო წრისთვის ხელმისაწვდომ ფორმებად გადაქცევის ტენდენცია. ამ პროცესის მოტივაციური მიზანია ის, რომ ფასიან ქაღალდებად ქცეული აქციები ხშირად მომგებანად შეიძლება გაიყიდოს. ამ მოგებას ის განაპირობებს, რომ შესაძლებელია ფულადი ნაკადების რესტრუქტურიზაცია ისეთ ფორმებად, რომლებისთვისაც ადამიანები მზად არიან ყველა შესაძლო გარემოებათა გათვალისწინებით მომატებული ფასი გადახადონ. აღნიშნულს ისინი აკეთებენ იმგვარი რესტრუქტირებული ტრანზებისთვის, რომლებიც რისკის ნაკლები დონითა და მეტი ლიკვიდურობით გამოირჩევიან.

ამგვარად, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის განვითარებაზე სერიოზული ზეგავლენა იქნია გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რაც საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს უმნიშვნელოდ შეეხო, რადგანაც საქართველო არის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყანა, სადაც ფინანსური ბაზრები განვითარების ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

ANNOTATION

GLOBAL ECONOMIC CRISIS AND MAIN TENDENCIES OF THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL SECURITIES MARKET

Nana Shonia, Akaki Tsereteli State University Associated Professor

The development of global financial markets is directly connected to the formation and functioning of securities market, since international securities market is one of the components of the financial market. On the one hand, it is the reflection of a true reproductive process taking place on a world scale while on the other hand it has its independent life and follows particular regularities. Securities market brings huge counter-influence on the production process on national as well as on global levels.

In securities market global economic crisis started in

the beginning of XXI century and it was exposed when the rate of stocks fell down, fund indexes decreased and investors lost their trust towards the main market tools, corporation financial accountancy, forecasting evaluations of consulting firms and rating agencies and etc.

Against the background of global economic crisis in 2000 JSC 'Georgian Stock Exchange' started functioning in Georgia. At a low speed but it still managed to become involved in the rhythm of functioning of international securities market. Cooperation with NASDAQ OMX speaks about it. The agreement was reached on 31st of May, 2010.

სადაზღვეო ბიზნესის ფინანსური ასპექტები

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე 14 სადაზღვეო კომპანია მოქმედებდა. 2009 წელს ლიცენზია მიიღო ორმა ახალმა სადაზღვეო კომპანიამ, თუმცა, იმავე დროს მოხდა ორი კომპანიის შერწყმა. მოქმედი 14 სადაზღვეო კომპანიიდან 11 ახორციელებს როგორც არასიცოცხლის, ისე სიცოცხლის დაზღვევას, ხოლო დანარჩენი 3, მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევას.



მოქმედი სადაზღვეო კომპანიებიდან 6 კომპანიას გააჩნია რეგისტრირებული საპენსიო სქემები, საიდანაც 3 სქემაა აქტიური, ამასთან, სადაზღვეო კომპანიებიდან ერთი უცხო ქვეყნის სადაზღვეო კომპანიის ფილიალია, 2 სადაზღვეო კომპანიას 100%-ით ფლობს არარეზიდენტი დამფუძნებელი, 4 სადაზღვეო კომპანიაში ნაწილობრივ მონაწილეობს არარეზიდენტი დამფუძნებელი, ხოლო 7 სადაზღვეო კომპანია დაფუძნებულია რეზიდენტი დამფუძნებელის მიერ.

მხდლეველთა მიერ მოწოდებული მონაცემებიდან გამომდინარე, მოზიდული პრემიის მიხედვით, რომელიც სადაზღვეო ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ ჯამურ სადაზღვეო პრემიას წარმოადგენს, სადაზღვეო ბაზრის კონცენტრაცია 83.6%-ით ხუთ სადაზღვეო კომპანიაზე მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე მაჩვენებელი 2008 წლის მდგომარეობით 80%-ს შეადგინდა, ამ კოეფიციენტის ზრდა გარკვეულწილად 2 მსხვილი კომპანიის შერწყმითაა გამოწვეული.

სადაზღვეო კომპანიის შემოსავლები ითვლება ფულადი შემოსავლების ერთობლიობა, რომლის წყაროა სადაზღვეო, ან სხვა კანონით დაშეებული მოვალეობა.

სადაზღვეო კომპანიის შემოსავლები 3 ჯგუფად იყოფა:

- შემოსავლები სადაზღვეო ოპერაციებიდან;
- შემოსავლები საინვესტიციო საქმიანობიდან;
- სხვა შემოსავლები (რომელსაც მიეცუთვნებიან შემოსავლები, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული სადაზღვეო ოპერაციებთან).

შემოსაბლები სადაზღვეო ოპერაციებიდან მზღვეველის საშემოსავლო ბაზის შეგსების ძირითადი წყარო და სადაზღვეო ბიზნესის არსებობის ძირითადი პირობაა, რომლის ძირითად ელექტრის წარმოადგენს დაზღვეულთა შენატანები, ანუ, სადაზღვეო პრემიები, რომლებიც მიღებულია პირდაპირი დაზღვეებს ხელშეკრულების საფუძველზე.

სადაზღვეო კომპანიაში შემოსავლების მოწულობა დამოკიდებულია სადაზღვეო პორტფელის შემადგენლობაზე და სტრუქტურაზე, მარკეტინგულ სტრატეგიაზე და სხვა ფაქტორებზე. ამ ფაქტორთა მოქმედება ურთიერთდამოკიდებულია. მაგალითობით, შემუშავებული მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზება შეუძლებელია შესაბამისი სატარიფო პოლიტიკის გატარების გარეშე, ხოლო, მომგებიანი მარკეტინგული სტრატეგიის უზრუნველყოფს სადაზღვეო პორტფელის დაბალანსებას.

სადაზღვეო კომპანიას აქვს საშუალება განახორციელოს სადაზღვეო ოპერაციები თა-

ნადაზღვეების მექანიზმის მეშვეობით (სადაზღვეები კომპანია დებულობს თავის თავზე გარემოულ წილს საერთო რისკისა და ამის საფუძველზე იღებს ერთობლივი სადაზღვეები პრემიის აღეკატურ ნაწილს).

თუ სადაზღვეო კომპანია ჩამოსახლია გადაზღვების სისტემაში, იგი დებულობს ასევე გადაზღვეების პრემიას. გადაზღვევის პრემიის სიდიდე და არსებობა დამოკიდებულია გადაზღვეების განვითარებაზე რეგიონში. სადაზღვეო კომპანია, რომელიც მოქმედებს გადაზღვევის სისტემაში როგორც გადამზღვევი, ხელშეკრულების პირობების დაგრომისას დებულობს ზარალების გარკვეული წილით ანაზღაურებას.

სადაზღვეო კომპანია ასრულებს ასევე საშუალებრივ ფუნქციებს. მაგალითობით, რისკის გადაცემის სქემაში პირველადი მზღვეველი დებულობს საქომისიოს გადამზღვეველისთვის რაფინირებული რისკის გადაცემისთვის. ასევე არსებობს შესაძლებლობა საკომისიოს, ან საბროკერო ანაზღაურების მიღებისა სადაზღვეო ორგანიზაციის მიერ რისკის მიუღებლად, მაგალითობით, გარკვეული რისკის დათმობის შედეგად სხვა ორგანიზაციებისთვის.

სადაზღვეო კომპანიის საინვესტიციო საქმიანობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული



დაზღვევასთან. ამ შემთხვევაში კაპიტალდაბანდების წყაროს წარმოადგენს დაზღვეულების შენატანები. მზღვეველის განკარგულებაში გარეკეული პერიოდის განმავლობაში მყოფი სადაზღვევო პრემიები დადგენილი წესის მიხედვით ინვესტირდება შემოსავლიან აქტივებში და მოაქვთ სადაზღვევო კომპანიისთვის საინვესტიციო შემოსავალი.

საინვესტიციო შესაძლებლობების თვალსაზრისით, სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის რეზერვები გამოირჩევან უფრო დიდი მიმზიდველობით, რადგანაც იმყოფებიან მზღვეველის განკარგულებაში დიდი დროის განმავლობაში. საინვესტიციო შემოსავლები კომპანიისთვის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ამ სახით მიღებული შემოსავლებით მზღვეველი გასცემს ბონუსებს თავიანთი კლიენტებისთვის. ქვეყნებში, სადაც არსებობს განვითარებული საფონდო ბაზარი, საინვესტიციო შემოსავალი ხელს უწყობს სადაზღვევო ოპერატორიდან დაზღვევის ზოგიერთ სახეობაში მიღებული უარყოფითი რეზულტატების გადაფარვას.

ზემოთხამოთვლილი შემოსავლების გარდა, მზღვეველს ასევე აქვს საშუალება მიიღოს სხვა შემოსავლები. მაგალითად:

- „დეპო პრემიებზე“ დარიცხული პროცენტები;
- რეგრესის წესით მიღებული თანხები;

• ძირითადი ფონდების, მატერიალური ფასეულობების დასხვა აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;

- იჯარაში გადაცემით მიღებული შემოსავლები;

• სადაზღვევო რეზერვებიდან თანხების დაბრუნებით მიღებული შემოსავლები;

- საკონსულტაციო მომსახურებიდან, ან სწავლებიდან მიღებული შემოსავალი;

სადაზღვევო კომპანიის ხარჯები:

მზღვეველის ხარჯების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვანიშების მიხედვით:

• განხორციელების დროის მიხედვით (დაფინანსების მიმღევრობით);

• ძირითად საქმიანობასთან მიმართებით (სადაზღვევო ოპერატორის დაკავშირებულების მიხედვით) განხორციელების დროის მიხედვით სადაზღვევო

კომპანიის ხარჯები იყოფიან:

• ხარჯებზე, რომლებიც წინ უსწრებენ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას;

• ხარჯებზე, რომლებიც გაიწვიან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, ან მსვლელობაში;

• მზღვეველის ხარჯებზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;

• ხარჯებზე, რომლებსაც არ გააჩნია მჭიდრო კავშირი სადაზღვევო საქმიანობასთან.

• მიმღინარე ხარჯებზე ძირითად საქმიანობასთან მიმართებით ხარჯები 2 დიდ ჯგუფად იყოფა:

• ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო საქმიანობასთან;

• ხარჯები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან.

სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის სირთულე და მის მიერ შემოთავაზებული მომსახურების ნაირსახეობა მნიშვნელოვნად ართულებს ფინანსური შედეგის განსაზღვრას. ფინანსური შედეგი მთელი საფინანსო-სამუშაოები მოღვაწეობის შედეგია და ასახავს კომპანიის წარმატებას, ან წარუჩატებლობას.

დაზღვევაში ფინანსური შედეგი განისაზღვრება გარკვეული პერიოდის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების შეფარდების საფუძველზე. ზემოთაღნიშნული მეთოდი გამოიყენება ფინანსური შედეგის გამოსააგრიშებლად, რომლებიც გამოიყენება მზღვეველის მოგების დასაბეგრად. ფინანსური შედეგი, როგორც დასაბეგრიბაზა, გამოითვლება როგორც სხვაობა სადაზღვევო მომსახურების ამონაგებისა და სხვა საქმიანობიდან შემოსავლისა და იმ ხარჯების, რომლებიც აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში.

ფინანსური კუთხით კომპანიის შეფასებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული ფირმის საქმიანობის სახე და ადგილი. ისინი უნდა შეფასდეს იმ დარგის საერთო მაჩვენებელით, რომელშიც ეს ფირმა საქმიანობს და შემდეგ მოხდეს ამ ფირმის

კოეფიციენტების გაანალიზება საერთო დარგობრივი მაჩვენებლის, ან სხვა მსგავსი ფირმების კოეფიციენტების ფონზე.

კომპანიის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ფირმის მენეჯმენტის, ასევე, გარეშე ინვესტორების, ბანკების და სახელმწიფო მოხლეების მიერ. ზოგადი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ფირმის, მათ შორის სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის შესაფასებლად შემდეგია:

- ლიკვიდურობის კოეფიციენტები;
- აქტივების მენეჯმენტის კოეფიციენტი;
- ვალის მენეჯმენტის კოეფიციენტები;
- მომგებიანობის კოეფიციენტები;
- საბაზო დირექტულების (ინვესტორთა უკუგების) კოეფიციენტები.

ეს არის ის ძირითადი და ზოგადი კოეფიციენტები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერ დარგში მომუშავე ფირმისთვის. თუმცა, ხშირად გვიჩვეს სპეციფიკის გათვალისწინებაც და შეფასების კოეფიციენტებიც უფრო მრავალფეროვანი და დატბოლური ხდება. სადაზღვევო კომპანიების შეფასებისას ერთგვაროვანი და ობიექტური აზრის გამოსახატავად შემოღებულია სარეიტინგო სისტემა. რეიტინგი - ეს არის შესედულება სადაზღვევო კომპანიის სამუშავებელი მიერ მიღებული სადაზღვევო შემთხვევაში (გამომუშავებული პრემია ნეტო) 269.9 მლნ ლარი იყო, რაც 80,26%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. შემოსავალების ასეთი ზრდა განპირობებულია ბოლო წლებში სადაზღვევო ბაზრის მეცნიერო ზრდით. საანგარიშო წელს კომპანიებმა გამომუშავეს და შემოსავალი მიიღეს როგორც მიმდინარე წლის, ისე წინა წლების მოზღვევი პრემიებიდან. დამდგარმა სადაზღვევო ზარალებმა საანგარიშო პერიოდში 173.2 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 54,59%-ით. როგორც ჩანს, საანგარიშო პერიოდში სადაზღვევო შემოსავალის ზრდამ გადააჭარბება სადაზღვევო ზარალების ზრდას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ზარალიანობის კოეფიციენტის გაუმჯობესებას და კომპანიის მომგებიანობის ზრდას. მომგებიანობის ზრდასთან ერთად გაუმჯობეს-

ვებო კომპანიის საიმედოობაზე და ფინანსურ სიმყარეზე, რომელსაც შეუძლია შესარულოს სადაზღვევო გალდებულებები დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში. მსოფლიოში დაზღვევის სფეროში წამყვანი სარეიტინგო სააგენტოებია: Standard & Poor's Corp., Moody's Investor Service Inc., A.M.Best Company, Duff & Phelps Credit Rating Co., Fitch IBCA.

2009 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული სადაზღვევო შემთხვევაში (გამომუშავებული პრემია ნეტო) 269.9 მლნ ლარი იყო, რაც 80,26%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. შემოსავალების ასეთი ზრდა განპირობებულია ბოლო წლებში სადაზღვევო ბაზრის მეცნიერო ზრდით. საანგარიშო წელს კომპანიებმა გამომუშავეს და შემოსავალი მიიღეს როგორც მიმდინარე წლის, ისე წინა წლების მოზღვეული პრემიებიდან. დამდგარმა სადაზღვევო ზარალებმა საანგარიშო პერიოდში 173.2 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 54,59%-ით. როგორც ჩანს, საანგარიშო პერიოდში სადაზღვევო შემოსავალის ზრდამ გადააჭარბება სადაზღვევო ზარალების ზრდას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ზარალიანობის კოეფიციენტის გაუმჯობესებას და კომპანიის მომგებიანობის ზრდას. მომგებიანობის ზრდასთან ერთად გაუმჯობეს-

და სხვა ფინანსური კოეფიციენტები: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების უკუგებამ შეადგინა: **უპუგება კაპიტალზე** (Return on equity) 44,19%-ი, **უპუგება აქტივებზე** (return on assets) 6,35%-ი. სადაზღვევო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობა 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 331.5 მლნ ლარი იყო, რაც 32,28% – ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სადაზღვევო საქმიანობა მზღვეველისთვის მომგებიანია, დამზღვევებისთვის დაზღვევა ფინანსურად საშუალოდ წამგებიანია, მაგრამ მთლიანობაში მაინც ხელსაყრელია, ვინაიდან:

• ათავისუფლებს მას განუსაზღვრელობისგან და აძლევს ფინანსური დაგეგმარების საშუალებას.

• ანიჭებს მას „სულიერ სიმჟღიდეს“, უნერგავს მშვიდი მომავლის რწმენას.

• იცავს მას ფინანსური კატასტროფებისგან, უქმნის სტაბილურ ფინანსურ მომავალს.

სადაზღვევო საქმიანობა ფინანსური და სოციალური სტაბილურობის ერთ – ერთი საფუძველია, წარმოუდგენელია განვითარებული, სტაბილური ქეყნანა, რომელშიც არ არის განვითარებული სადაზღვევო ბაზარი.

ნათე კაკაშვილი,
თსუ ასოცირებული
პროფესიონალი

АНОТАЦИЯ

ФИНАНСОВЫЕ АСПЕКТЫ СТРАХОВОГО БИЗНЕСА

Нато Какашвили, ассоциированный профессор ТГУ

Доходы страховых компаний условно подразделяются на три группы:

- доходов от страховых операций;
- доходы от инвестиционных операций;
- другие доходы (т е доходы которые не относятся к страховым операциям.)

Затраты страховщика можно классификация по разным признакам:

- исходя от времени осуществления (последовательность финансирования);
- по отношению к основной деятельности;

Сложность деятельности страховых компаний и прилагаемая ею обслуживание осложняет определение финансовых последствий. Финансовые последствия представляют последствия всей финансово-хозяйственной деятельности и показывают успех или неудачу компании.

Данные полученные от оценки компаний могут использовать менеджеры компаний, также инвесторы банки и государственные служащие. Страховая деятельность является основой финансовой и социальной стабильности.

კორპორაციული მართვა და საქართველო

საქართველოში დღეს არსებული ბიზნესგარემოს ყველაზე პოპულური ტენდენციაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და IPO-ზე (ჰიბრიდული საჯარო შეთავაზება) გასვლის პერსპექტივების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, კომპანიებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ საკითხების დარეგულირება, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა ინვესტორებისთვის.



მართალია, ინვესტორს აინტერესებს, თუ რამდენად გამართული ფინანსური მდგომარეობა აქეს კომპანიას, მაგრამ, აგრეთვე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად გამჭვირვალება ინფორმაცია. მაგალითად, თუ კომპანია ვერ ახერხებს დაუდასტუროს ინვესტორს კომპანიის ბენეფიციარი მენილების ვინაობა, რამდენად დაცულია თითოეული აქციონერის უფლება და რამდენად ეფექტურად იმართება კომპანია, რომელი იქნება პოტენციურ ინვესტორთან გარიგების წარმატებით განხორციელება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არ არსებობს კორპორაციული მართვის ერთი საუკეთესო მოდელი. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა განხსნავავებულია დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში. დასავლეთ ქვეყნებში კორპორაციული მართვის ძირითადი პრობლემებია: აქციონერთა დაქასულობისა და ინერტულობის გამომენეჯმენტის გაკონტროლების პრობლემა; აქციონერებს, ძირითადად, სააქციო საზოგადოების კაპიტალის მხოლოდ მცირენანილი ეკუთვნით, ამიტომ ძნელია მათი მხრიდან მენეჯმენტის გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენა. ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს მენეჯერთა მრავალმილიონიანი კონტრაქტები, პასუხისმგებაში მიცემის სიდენტულე და ინსაიდერული ინფორმაციის დარღვევით გამოყენება.

საქართველოში კორპორაციული მართვის ამაღლების დონეს აფერხებს ინფორმაციის, ფინანსების, კვალიფიციურ სპეციალისტთა და მმართველი ორგანოების მხრიდან

ინტერესის ნაკლებობა. ასევე მნიშვნელოვანია კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების არასრულფასოვნება და ხარვეზები კანონმდებლობაში. არ არის საკმარისი კომპანიაში საკითხების მხოლოდ შიდა დებულებით დარეგულირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აუცილებელია არსებობდეს კანონმდებლობით დარეგულირებული მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოუწოდებს კომპანიას შეასრულოს კორპორაციული მართვის მინიმალური მოთხოვნები.

და მაინც, რა არის მთავარი პრობლემა კორპორაციულ მართვში?

- აქციონერთა მიერ თავიანთი უფლებების არცოდნა და მათი დარღვევა;

• კანონმდებლობითა და შიდა დებულებებით დადგენილი წესების უგულვებელყოფა;

• არაეფექტური მმართველობის ორგანოები და ფორმალური გაკონტროლება;

• გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან;

• ინფორმაციის არასაჯარობა;

• ხარვეზები კანონმდებლობაში;

• კანონის მოთხოვნათა აღსრულების პრობლემა.

90-იანი წლებში განხორციელებული მასშტაბური პრივატიზაციის შედეგად შეიქმნა სანარმოები, სადაც თანამშრომლები იმავე სანარმოს აქციონერები გახდნენ. ბუნებრივია, მათ არ ჰქონდათ სანარმოს მართვის გამოცდილება და არც შესაბამისი ცოდნა თავიანთი უფლებების დასაცავად. არ ინვესტიცია მათ აქციონერთა საერთო კრებეზე და არც აქციონერებს გააჩნდათ

იმის პრობლემა, რომ ირღვეოდა მათი უფლებები. ხმირია შემთხვევები, როცა ირღვევა აქციონერთა უფლება – მიღლონ ინფორმაცია კომპანიის მმართველობის ორგანოებისაგან. მიზეზი სხვადასხვაა: მათ არ იციან თავიანთი უფლებების შესახებ, რომ მნიშვნელი უნდა ყოფილიყვნებს საერთო კრებაზე პროცედურების დაცვით, ან უმედობა, რომ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, ისინი შეძლებენ ამ უფლებების დაცვას. გამოხალისია ის აქციონერები, რომლებმაც მიზანმიმართულად შეისყიდეს აქციები და კარგად აქვთ გათვითური მოვალეობების არსი.

როგორც წესი, საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა შეიცვდეს:

- საერთო კრების მოწვევის ადგილს, თარიღსა და დროს;
- სააღრიცხვო დღის თარიღს;
- საერთო კრების სახეობას;
- დღის წესრიგს;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მისაღებად;
- საარმოს წესდებაში შესაძლო ცვლილებებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მოწვევა საერთო კრებაზე, ხშირია პროცედურული საკითხების დარღვევის შემთხვევები. მოწვევის შეტყობინება არ შეიცავს კანონით მოთხოვნილ საგალდებულო ინფორმაციას. საერთო კრების ოქმები ისევე, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს ოქმები, არ მოიცავს სრულ ინფორმაციას და არ არის შედგენილი სათანადოდ. ინფორმაცია მნირია და რეალურად არ ასახავს სხდომის მიმდინარეობას, დისკუსიებსა და გა-

დაწყვეტილებების მიღების დასაბუთებას. აუცილებელია, რომ სხდომის ოქმი ფარავდეს მინიმუმ შემდეგ საკითხებს:

- **სრულ ინფორმაციას განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;**
- **წევრთა შორის გამართული დისკუსიების ჩანაწერებს;**
- **გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებას;**
- **წევრთა პოზიციებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;**
- **დეტალურად გაწერილ მითითებებს კონკრეტულ საკითხებზე სამომავლო მოქმედებებთან დაკავშირებით.**

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით თავს იჩინს სამი ძირითადი პრობლემა:

- **ფორმალური არსებობა;**
- **ნათესავები და მეგობრები;**
- **არაკავალიფიციური წევრები.**

კორპორაციული მართვის თითქმის ყველა კოდექსი მოითხოვს, რომ მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა საქმიანობა ყოველწლიურად შეფასდეს. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კომპანია აფასებს მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სარისხსა და საქმიანობას.

ნარმოუდგენელია სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებდეს და კისრებულ მოვალეობებს მიუკერძოებდა, როდესაც წევრები ძირითადად ინიშნებიან მსხვილი აქციონერების მიერ, რომლებიც ხშირ შემთხვევებში კომპანიის დირექტორებიც არიან.

ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების დანიშნულების შეფასების განხორციელება და კომიტეტების შექმნა. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, ხშირია მოთხოვნა, რომ გარკვეული კომიტეტები მხოლოდ დამოუკიდებელი წევრებისგან შედგებოდეს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მათი უმრავლესობის თანხმობით მიღებოდეს. საბჭოში დამოუკიდებელი წევრის არსებობა ინვესტორს მატებს რწმენას, რომ მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს კომპანიის ერთმანეთთან შეხმატკიდებული მმართველები საკუთარი ინტერესებისა და შეხედულებებისამებრ არ გამოიყენებენ.

კომიტეტი საბჭოს დამხმარეო ორგანოა, რომელიც იქმნება საბჭოს მიერ, რათა წინასწარ განიხილოს ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მისცეს საბჭოს.

- **კომიტეტს არ შეიძლება გადაეცეს საბჭოს უფლებამოსილებები;**
- **კომიტეტი, როგორც წესი, შედგება 2-3 ან, მეტი წევრისაგან;**
- **კომიტეტი შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.**

კომიტეტი საჭიროა იმდენად, რამდენადც მობილური და ოპერატორილია იგი, გააჩინა ვიწრო სპეციალიზაცია, ამცირებს სამეურნეო ხარჯებს, ზრდის საბჭოში გადაწყვეტილებათა მიღების ოპერატორობას.

პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტსა და დაკავშირებულ მხარესთან დადებულ გარიგებებთან, არ წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს

რეალობას. იგი პრობლემატურია როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ასევე განვითარებადი სამყაროსთვის. ინტერესთა კონფლიქტი არის სიტუაცია, როდესაც პირს, ან კორპორაციას უკავია ისეთი მდგომარეობა, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი პირადი, ან კორპორაციული სარგებელის მიღება. შეიძლება იყოს ინტერესთა კონფლიქტის სხვადასხვა შემთხვევები. ესწინა მაგალითად, პირადი და საზოგადოების ინტერესების შეჯახება, ერთი პირის ორ სხვადასხვა სამსახურთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი, ოჯახური ინტერესები და ა.შ. დაინტერესებულ პირებად შეიძლება ჩაითვალონ: დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მსხვილი აქციონერი, ერთმანეთთან დაკავშირებულ პირთა წრე. საქართველოში გავრცელებულია პრატიკა, რომ გარიგებები დაიღოს იმ კომპანიებთან, სადაც ხელმძღვანელები, ან აქციონერები, მათი ნათესავები, მეგობრები, ან ბიზნესპარტნიორები არიან. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მომგებიანი შეიძლება იყოს ასეთი გარიგება კომპანიისთვის, აუცილებელია, რომ ასეთი ინფორმაცია გამჭლავნდეს კომპანიის წინაშე. ამავე დროს, დაცული უნდა იყოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცედურაც. კომპანიის დაინტერესებული ხელმძღვანელი, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იღებდეს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს, რათა ყველა აქციონერმა თუ მესამე მხარემ იცოდეს ასეთის არსებობა.

ასევე გავრცელებული პრობლემა ინფორმაციის არასაჯარობა. ძირითადად კომპანიები არ ახდენენ წლიური ანგარიშების გამოქვეყნებას, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი მცირე აქციონერებისთვისაც.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ძალიან მწირია იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალით, რომლებიც არეგულირებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო, ის დებულებები, რომლებიც





არსებობს, არ არის საკმარისი და ვერ ასახავს დღევანდელ მდგომარეობას. საქართველოში არ არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი¹. რესტრი, ყაზახეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში ასეთი კოდექსი უკვე არსებობს და საკმარ წარმატებითაც მოქმედებს კიდეც. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ქვეყნაში ასეთი კოდექსი სავალდებულოა, ხოლო, ზოგან ამ კოდექსის ნორმები რეკომენდაციის სახითაა წარმოდგენილი და მათი შესრულება კომპანიების ნებასურვილზეა დამოკიდებული.

საქართველოში კორპორაციული მართვის პრინციპების წყაროებია: ნორმატიული აქტები (საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „ფასიანი ქალალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს კანონი „ფასიანი ქალალდების ეროვნული კომისიის შესახებ“), საერთაშორისო სტანდარტები (OECD — ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები, თვითრეგულირებადი ორგანიზაციების წესები), კორპორაციული კულტურა (საქართველოს საზოგადოების შიდა დოკუმენტები, საქმიანი ურთიერთობების პრაქტიკა, კორპორაციული პრეცენდენტები).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის დეტალურად დარეგულირებული ხელმძღვანელი

ვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და ამდენად, არსებული დებულებები ბუნდოვანია. ასევე, საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მუხლი სავალდებულო გამოსყიდვასთან დაკავშირებულ მიყიდვასთან დაკავშირებულ რეალურ პრობლემას. ასევე, გარკვეული მნიშვნელოვანი დებულებები გათვალისწინებულია ფასიზი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონიც, თუმცა ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ანგარიშვალდებულ სანარმოებზე. სისხლის სამართლის კოდექსითვალისწინებს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, თუმცა ძნელია დასახელდეს შემთხვევა, როცა ამ მუხლების გამოყენებით პასუხი ეგოს კომპანიის ხელმძღვანელობას.

იმისათვის, რომ საქართველოში გაუმჯობესდეს კორპორაციული მართვის პრაქტიკა და პრობლემები მინიმუმამდე იქნებს დაყვანილი, სასურველია, გადაიჭრას შემდეგი საკითხები: გაუმჯობესდეს მმართველი ორგანოების ფუნქციონირება, კერძოდ: ერთი პირის მიერ სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენილი წევრების რაოდენობის შეზღუდვა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. დამოუკიდებელი წევრების წარდგენა. სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების არსებობა ინვესტორისთვის, გარკვეულწილად, გარან-

ტის წარმოადგენს, რომ მის მიერ განხორციელებული ინვესტიციები მიზანმიმართულად იქნება გამოყენებული და ამასთან, პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენებს რომელიმე მსხვილი აქციონერი თუ კომპანიის დირექტორი. კომპანიის მმართველობის ორგანოებს შორის უფლება-მოვალეობათა გადანაწილება შიდა დებულების მეშვეობით, რათა ყველა სტრუქტურული დანაყოფისთვის ნათელი იყოს მათთვის დაკისრებული მოვალეობები, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. კომპანიის როული შიდა სტრუქტურული მექანიზმის გამო შეიძლება ამ ყოველივეს კანონით დარეგულირება არაფექტური აღმოჩნდეს, ამიტომ კომპანიამ თავად უნდა იზრუნოს კომპანიის წესდებაში ასეთი დებულებების გათვალისწინებაზე, ან გაითვალისწინონ დამხმარე დებულებები.

აუცილებელია გაძლიერდეს კომპანიის შიდა კონტროლი, რაც უკავშირდება ძლიერი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას (შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც ახორციელებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და სხვა პერსონალი. მისი დანიშნულებაა ოპერაციების ეფექტურობის, ფინანსური ანგარიშების საიმედოობის, კანონების და წესების სათანადო შესაბამისობის უზრუნველყოფა). მარტო დებულებების, წესებისა და ინსტრუქციების მიღება საკარისი არ არის იმისთვის, რომ კომპანია მუშაობდეს გამართულად, თუ არ ხორციელდება ეფექტური კონტროლი მის დაცვაზე. ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია კომპანიებმა ისეთი დამხმარე ორგანოები ან ინსტიტუტები დააარსონ, როგორებიცა: კომიტეტები და კორპორაციული მდივანი.

დასავლეთში კორპორაციული მდივნის ინსტიტუტს ხანგრძლივი ისტორია აქვს. კორპორაციული მდივნები ირგანულად შეერწყმენ კორპორაციული მართვის სისტემას, მყარად მოიკიდეს ფეხი და ასრულებენ რიგ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად ინგლისში, კორპორაციული მდივნის თანამდებობა

¹ ამ სტატის მომზადების მომენტისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველოში არ არსებოდა. 2009 წლის სერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში და საქართველოს ბანკების ასოციაციაში ერთობლივად შემუშავეს კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველოს კომერციული ბანკებისთვის.

სავალდებულოც კი არის ყველა სა-აქციო საზოგადოებისათვის. კორპორაციული მდივანი არის თანამდებობა, რომლის მეშვეობითაც ერთი ადამიანი კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ მრავალ ფუნქციას ითავსებს. ის, როგორც წესი, არ არის მხოლოდ მდგარი, რომელიც ოქმების შედგენით შემოიფარგლება – პირიქით, იგი კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობის პირია, რომელიც პასუხს აგებს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შედგენაზე. კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს კომპანიის სამი მთავარი მმართველი რგოლის ინფორმაციულ ურთიერთქმედებას. იგი პასუხისმგებელია კომპანიის წინაშე ძლიერი კორპორაციული მართვის შენარჩუნებაზე. კორპორაციული მდივნის ეს უკანასკნელი ფუნქცია უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, თუმცა ეს მოთხოვნა აუცილებელია მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში. იმისათვის, რომ პიროვნება კორპორაციული მდივანი გახდეს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მან უნდა იცოდეს კორპორაციული და ფასიანი ქაღალდების სამართლის საფუძვლები და ერკვეოდეს კომპანიის ბიზნესში;
- უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის უნარი და განვითარებული ინტუიცია;
- უნდა შეეძლოს კონფლიქტების მედიაცია და კონსენსუსის

მიღწევა:

- იყოს დეტალური მდივანი ამავე დროს, მოქნილი;
- კორპორაციული მდივანი უნდა იყოს აბსოლუტურად მიუკერძობელი და მოქმედებდეს კომპანიის ინტერესებში.

კორპორაციული მდივნის ფუნქციებია: სამეთვალყურეო საბჭოსა და საერთო კრების სხდომების პროცედურული უზრუნველყოფა, პასუხისმგებელია კორპორაციულ დოკუმენტაციაზე, თუ კომპანიას 50-ზე ნაკლები აქციონერი ჰყავს, კორპორაციულ მდივანს რეგისტრაციონის ფუნქციაც ეკისრება. მას ასევე ევალება ბირჟის ყველა მოთხოვნის დაცვაზე ზედამხედველობა. ერთი სიტყვით, იგი ცენტრალური ფიგურაა, რომელსაც დახმარებისთვის მიმართავს ყველა აქციონერი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და დირექტორი. მდივანი პასუხისმგებელია კორპორაციული ნორმების დაცვასა და ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსთვის ყველა საჭირო დოკუმენტის დროულ და სრულყოფილ მიწოდებაზე. კორპორაციული მდივანი ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და არც ერთ წევრს არა აქცის უფლება დამოუკიდებლად გაანთავისუფლოს იგი. ის პასუხისმგებელია მთლიანად საბჭოსა და ზოგადად კომპანიის წინაშე.

ამასთან, შეფასების მექანიზმის დანერგვა საგმოდ ეფუძური მეთოდია დასავლეთის ქვეყნების

პრაქტიკაში, რათა კომპანიებმა განსაზღვრონ, თუ რამდენად ნაყოფიერია მმართველობის ორგანოების მუშაობა და რა ხარვეზები გააჩნია მათ. კორპორაციული მართვის თითქმის ყველა კოდექსი მოითხოვს, რომ მუშაობის ეფუძურობის ასამაღლებლად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა საქმიანობა ყოველწლიურად შეფასდეს. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კომპანია აფასებს მისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის ხარისხსა და საქმიანობას. მმართველობის ორგანოთა შეფასება საჭიროა, რადგან, იგი ზრდის ამ ორგანოთა საქმიანობის ეფუძურობას, უკეთ განსაზღვრავს მოვალეობებს, აუმჯობესებს შიდა პროცედურებს, აუმჯობესებს ანგარიშგალდებულებას, უფრო მიმზიდველს ხდის კომპანიას ინვესტორებისთვის. ასევე მმართველობის ორგანოთა შეფასებისას შეიძლება წავარყდეთ უარყოფაზე შედეგებს. მაგალითად, წევრები ამბობენ უარს და გარიყელად გრძნობენ თავს. შეიძლება წარმოიქმნას შიდა გათიშულობა, რის შემდეგაც ძნელია ახალი წევრების მოძებნა.

ასევე უნდა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება შიდა დებულებების მეშვეობით. უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის წლიური ანგარიშის წარდგენა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საჭიროებს დახვენას კორპორაციული მართვის კუთხით, კერძოდ, უნდა მოხდეს მარეგულირებელი ნორმების გაძლიერება, კორპორაციული მართვის კოდექსის(ების) მიღების წახალისება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა ხდებოდეს დადგენილი ნორმების აღსრულება. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედვად, სასურველია სახელმწიფომაც დააფიქსიროს თავისი წება კორპორაციული პრაქტიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და დანერგოს უფრო მოქნილი, ეფუძური მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც შეიძლება კომპანიებისათვის კორპორაციული მართვის მინიმალურ სტანდარტებს მაინც განსაზღვრავდეს.

სალომე პილაძე,
საერთაშორისო-საფინანსო
კორპორაცია



სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა

ერთ და ორდონიანი სამეთვალყურეო საბჭო

ტერმინი „კორპორაციული მართვა“ ბოლო დროს ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კორპორაციულ პრაქტიკაში. ტერმინის პოპულარული გამოყენება უკავშირდება დირექტორთა და მენეჯერთა უწერების აღნიშვნას, განსაკუთრებით დიდ კორპორაციებში (მათ შორის, მენეჯერის სტრუქტურაში).



მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კორპორაციული მართვის მთავარი ამოცანა ნებისმიერ თანამედროვე კომპანიაში არის ხარჯების შემცირება ისე, რომ ამაღლდეს ნაყოფიერება და მართვის ეფექტუანობა. შესაბამისად, კორპორაციებმა უნდა მოახდინონ კორპორაციული ძალაუფლების დაყოფა და დაბალისება აქციონერთა კრებას, დირექტორთა საბჭოს და მენეჯერებს შორის. ამგვარად კორპორაციული მართვა უნდა შეეხოს კორპორაციულ დაინტერესებულ მხარეებს შორის ძალაუფლებისა და ინტერესების დაბალანსებას. ფაქტორივად კორპორაციული მართვის ძირითადი ამოცანაა კორპორაციული ეფექტუანობის ამაღლება.¹

როგორც წესი, კორპორაციული მართვა ეხება ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობებს სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯერნებს, აქციონერებსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემის ფარგლებში.

ძირითადი განმასხვანებელი ნიშანი ქვეყნებს შორის კორპორაციული მართვის კუთხით არის საბჭოს სტრუქტურა. ძირითადად საბჭოს სტრუქტურის ორი ტიპი არსებობს: ერთდონიანი და ორდონიანი.

პირველ შემთხვევაში მხოლოდ ერთი საბჭოა პასუხისმგებელი შესასრულებელი მიზნების დასახვასა

და მონიტორინგზე; მეორე შემთხვევაში ეს ამოცანები განაწილებულია ორ საბჭოს შორის. საბჭოს ორდონიანი სტრუქტურა ძირებულად განსხვავდება ერთდონიანისგან. ეს სისტემა ერთდონიანი საბჭოს მსგავსად ფუნქციონირებს იმ განსხვავებით, რომ მენეჯერნები მიეკუთვნება ცალკე საბჭოს. ერთ- და ორდონიანი საბჭოს სტრუქტურების ამოცანა ზედამხედველობის ფუნქციის მართვის ფუნქციისგან გამოყვნა.²

თუმცა, ასე ბევრი მსგავსება არსებობს ერთ და ორდონიან საბჭოებს შორის. ერთდონიანი საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო (ორდონიანი სისტემის შემთხვევაში) ჩვეულებრივ ნიშავენ მართვის ორგანოს წევრებს: მენეჯერთა ჯგუფს, რომელსაც ერთდონიანი საბჭო გადასცემს უფლებამოსილებას ერთდონიან სისტემაში, ხოლო დირექტორატს ირდონიანი სისტემის შემთხვევაში. ორივე ორგანოს ჩვეულებრივ დაკისრებული აქცებას პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების და კონტროლის სისტემების სათანადო ფუნქციონირებისა და კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

ჩვეულებრივ, ერთდონიან დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს (ირდონიან სისტემაში) აქციონერები ირჩევნ (ზოგიერთ ქვეყნაში, მაგალითად, გერმანია, თანამშრომლებს შეუძ-

ლიათ სამეთვალყურეო საბჭოს რამდენიმე წევრის არჩევა).

სხვადასხვა ტიპის საბჭოს მომხრები განსაზღვრავენ ერთდონიანი და ორდონიანი მოდელის უპირატესობებს. ერთდონიან სისტემაში ადგილი აქცების მჭიდრო კავშირს და ინფორმაციის უკეთეს მიმოქცევას, რამდენადც ყველა დირექტორი (როგორც აღმასრულებელი, ისე არა-აღმასრულებელი), ერთ საბჭოში მოღვაწეობს; ორდონიანი სისტემის შემთხვევაში ადგილი აქცების უფრო მკაფიო და ოფიციალურ გაყოფას სამეთვალყურეო საბჭოსა და მათ შორის, ვინც „მეთვალყურეობის“ ქვეშ იმყოფება დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთმანეთისგან განცალებებული სტრუქტურის გამო.

მოწყობის ორივე ტიპი გამოცდილია პრაქტიკაში. ფაქტობრივად, ერთდონიანი საბჭო წარმოდგენილია ისეთ ქვეწებში, როგორიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლის და იტალია. მაშინ, როცა გერმანიაში, პოლანდიასა და ავსტრიაში მიღებულია ორდონიანი სისტემა.

პირველი სისტემის შემთხვევაში, ყველა დირექტორი სამართლებრივი პასუხისმგებელია როგორც კომპანიის საქმიანობის მართვაზე, ისე, გენერალური დირექტორის მონიტორინგზე. მოდელში ეს შესაბამება ისეთ სიტუაციას, სადაც მენეჯერნები ანგარიშვალდებულია

ერთი დირექტორის წინაშე. ორდონიანი საბჭოს შემთხვევაში მართვის და მონიტორინგის ფუნქციები გაყოფილია დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის.

ამ სქემის ბუნებრივი ინტერპრეტაცია ისაა, რომ გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებული უნდა იყოს ორი სხვადასხვა ზემდგომი ორგანოს წინაშე.

როგორც აღნიშნეთ, ორდონიანი საბჭო ჩვეულებრივ შედგება სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოებისგან. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა ზედმხედველობა და სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებლობა. ხოლო დირექტორთა საბჭოს კომპანიის მართვის პასუხისმგებლობა აკისრია.

ორდონიან მოდელს ბევრი გააჩნია, კერძოდ:

- გულისხმება, რომ ორდონიანი მოდელი იძლევა პასუხისმგებლობების მყაფიო დაყოფას იმის საფუძვლზე, რომ არააღმასრულდებული დირექტორები არ მოქმედებენ როგორც მონიტორინგის განმახორციელებლი პირები და სტრატეგიული გადაწყვეტილებების განმახორციელებლები.

- სამეთვალყურეო საბჭო ფორმისირებას ახდენს მონიტორინგზე და დამოუკიდებლობის შედარებით მაღლი ხარისხი მიიღწევა ძალაუფლების განცალკევების საშუალებით. უფრო მეტიც, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია შეასრულოს მედიატორის როლი აქციონერებსა და მენეჯმენტს.

- სამეთვალყურეო საბჭოს ჩვეულებრივ გააჩნია დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობა და ეს ორდონიანი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა: ისეთი დაინტერესებული მხარეები, როგორებიც არიან, თანამშრომლები, შეიძლება მონაწილეობრივ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თუმცა, არსებობს სხვა პერსექტივიაც. იმის საპირისპიროდ, თუ რა არის მიჩნეული ორდონიანი მოდელის უპირატესობად, როლების განაწილება არ არის ისეთი მყაფიო, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული. პრაქტიკაში ადვილი

არ არის სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის როლების გარკვევა, ან იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი ამ ორ ტრუქტურას შორის. კერძოდ, ნათელი არ არის ვინ განიხილება კომპანიის დირექტორად კანონიდან გამომდინარე. რაც უფრო მნიშვნელოვანია, დირექტორის როლი შეიძლება ასევე ბუნდოვანი იყოს, რადგან გაურკვეველია თუ ვის წინაშე ის ანგარიშვალდებული. გააჩნია თუ არა დირექტორის ფორმუარული გალდებულება კომპანიის წინაშე, როგორც ეს მეწარმეთა კანონითაა განსაზღვრული, თუ დაინტერესებული მხარეების წინაშე, რომელებსაც ის წარმოადგენს? ამგვარად, ორდონიან მოდელში ანგარიშვალდებულება განზავებულია.

გამომდინარე აქვდან, უპირატესობას ვანიჭებთ ერთდონიან საბჭოს, რომელშიც საბჭოსა და მენეჯმენტის შესაბამისი როლები განმარტებულია საბჭოს (და მენეჯმენტის) მიერ როგორც ეფექტური ლიდერობის გონივრული განხორციელება. აღნიშნული უპირატესობა ემყარება იმ ფაქტს, რომ არ არსებობს როლების მკაფიოდ განაწილება, რომელიც ავტომატურად მომდინარეობს ორდონიანი მოდელიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ორდონიან მოდელს რიგი უპირატესობები გააჩნია, როგორ შეიძლება მათი რეალიზაცია ერთდონიან მოდელში?

კარგი კორპორაციული მართვა ყურადღებას ამახვილებს სამ ფაქტორზე: არააღმასრულდებული დირექტორების დანიშნვა, დანიშნულებულ მხარეთა ჩართვა და სამაგი შედეგის მიღწევა (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი). თუ სანიმუშო კორპორაციული მართვის ეს პრინციპები გამოიყენება, ერთდონიანი მოდელის მეშვეობით ფაქტობრივად შეიძლება ორდონიან მოდელთან დაკავშირდებული უპირატესობების მიღწევა. კერძოდ, არააღმასრულებელი დირექტორების დანიშნვას შეუძლია ერთდონიანი სისტემის საბჭოს დამოუკიდებლობის გაძლიერება, სხვადასხვა კორპორაცი-

ული მართვის კოდექსების სარეკომენდაციო მითითებების შესაბამისად.

დაინტერესებული მხარეთა მიერ წამოყენებული პრობლემები შეიძლება მოვარდეს საბჭოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დაინტერესებული მხარეების წინაშე და ახორციელებს სამაგი შედეგის მისაღწევად საჭირო ამოცანებს.

დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების არარსებობა საბჭოში ასეთ შემთხვევაში შეიძლება ნაკლოვანებად არ ჩაითვალოს.

უპირატესი მოდელი ერთდონიანი სტრუქტურის მქონეა, კომპატიტური, დაბალანსებული და დამოუკიდებელი საბჭოთი, რომელსაც ეკისრება ჩვეულებრივი ფილუციარული და გონივრული ზრუნვის და გამოცდილების მოვალეობები მეწარმეთა კანონის შესაბამისად, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ორდონიან მოდელს დადებითი მხარეები გააჩნია.³

კონტინენტურ ევროპაში, სადაც ორდონიან მართვის სისტემას ენიჭება უპირატესობა (მაგალითად, გერმანია და პოლანდია), სამეთვალყურეო საბჭო ფაქტორივად დირექტორთა საბჭოს წარმოადგენს, ხოლო მენეჯმენტი (დირექტორატი) შედგება უმაღლესი აღმასრულებელი პირებისგან. დირექტორები და მენეჯმენტი სრულიად განცალკევებული არიან ერთმანეთისგან. საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი ასევე სრულიად გამოყოფილი არიან ერთმანეთისგან.

იმ ქვეწებში, რომლებიც ერთდონიანი მართვის სისტემას ირჩევენ, რომელსაც ზედამხედველობას უწევს აუდიტის კომიტეტი (მაგ., აშშ, ბრიტანეთი და თანამეგობრობის სხვა ქვეწები), კლავ სადაც კაფითხოვების წარმოადგენს საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი შეიძლება თუ არა იყოს ერთი ადამიანი. ავსტრალიაში ლისტინგში შემავალ კომპანიებს პყავთ ცალკე საბჭოს თავმჯდომარე და ცალკე გენერალური დირექტორი, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებში საკმაოდ ხშირად საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი ერთი და იგივე პიროვნებაა. ბრიტანული ტრადიციული იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ორი პოსტი უმჯობესია განცალკევებული იყოს, რათა აღიკვეთოს ზედმეტი ძალაუფლების თავმოყრა ერთი ადამიანის ხელში. გაყოფის შესარდაჭერის საფუძველი არის ის, რომ გაყოფას შეუძლია კონტროლის და დაბალნახების მექანიზმის უზრუნველყოფა მაშინ, როცა საპირისპირო პოზიცია აღნიშნავს, რომ ძალაუფლების კონცენტრაცია შეიძლება განაპირობებდეს კომპანიის გაცილებით უკეთესად ფუნქციონირებას. კვლევების თანახმად, ერთი ადამიანის ხელმძღვანელობა შეიძლება უმჯობესი იყოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც. ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ ორი პოსტის გაყოფა, თუ ფაქტი და მგრძნობიარე კავშირი ამ ორ პოსტს შორის კარგად იმართება, შეიძლება უზრუნველყოფდეს კომპანიის გრძელვადიან წარმატებულ ფუნქციონირებას.

კორპორაციული მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს კომპანიის სტრატეგიული ხელმძღვანელობა, საბჭოს მიერ კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობის ეფექტური მონიტორინგი და საბჭოს ანგარიშვალებულება უზრუნველყოფდება კომპანიისა და აქციონერთა წინაშე. საბჭოს სტრუქტურა და პროცესები უზრუნველყოფდება კომპანიის მართვა და მენეჯმენტის მონიტორინგი.⁴

განსხვავდება როგორც ეთგო-ს (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია) ქვეყნების შიგნით, ისე, აღნაშნულ ქვეყნებს შორის. კორპორაციული მართვის ეთგო-ს პრინციპები იძლევა მითითებებს, რომელთა გამოყენება ორივე მოდელისთვის შეიძლება. კორპორაციული მართვის ეთგო-ს პრინციპების თანახმად, „სამეთვალყურეო საბჭო“ შედგება საბჭოს არააღმასრულებელი წევრებისგან, ხოლო, დირექტორატი შედგება მთლიანად აღმასრულებლებისგან. სხვა ქვეყნებს აქვთ „ერთდონიანი“ საბჭოები, რომლებიც აერთიანებენ აღმასრულებელ და არააღმასრულებელ წევრებს. ზოგიერთ ქვეყანაში ასევე არსებობს დამატებითი სავალდებულო ორგანო აუდიტის მიზნებისთვის. პრინციპები საკმარისად ზოგადია, რათა გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სტრუქტურის საბჭოსთვის, რომელსაც აკისრია კომპანიის მართვა და მენეჯმენტის მონიტორინგი.⁴

ერთდონიან საბჭოსთან შედარებით ორდონიანი საბჭო გენერალური დირექტორისგან მოითხოვს ნაკლებად აგრესიულ შესასრულებელ მიზნებს, მაგრამ ახორციელებს უფრო მეტ მონიტორინგს. იმის მიუხედავად, რომ გენერალური დირექტორის მონიტორინგი დირექტორთა საბჭოს მოგალეობების მნიშვნელოვანი ნაწილია, სა-

ყოველთაოდ აღიარებულია, რომ მონიტორინგთან ერთად დირექტორები ასევე ფუნდამენტურ როლს ასრულებენ იმ კომპანიისთვის რეკომენდაციების გაწევაში, სტრატეგიის შემუშავებაში და მიზნების დადგენაში, რომელსაც ემსახურებიან. აյ ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: ართს თუ არა ეს როლები კონფლიქტში ერთმნეთთან და თუ ასე, როგორ უნდა შეიქმნას საბჭოს სტრუქტურა ისე, რომ მაქსიმალურად ამაღლებს მისი უფექტურობა ორივე აღნიშნული ამოცანის განხორციელებისას?

კორპორაციულ სტრატეგიასთან ერთად, საბჭო ძირითადად პასუხისმგებელია მენეჯერთა ფუნქციონირების მონიტორინგზე, აქციონერებისთვის აღეკატური უუგებების მიღებაზე, ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და კორპორაციაზე კონკურენტული მოთხოვნების დასაბალნებაზე. იმისათვის, რომ საბჭოებმა უფექტურად შეასრულონ თავიათი პასუხისმგებლობები, მათ უნდა შეეძლოთ ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. საბჭოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა იმ სისტემების ზედამხედველობა, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ კორპორაცია ასრულებდეს მოქმედ კანონებს, მათ შორის საგადასხადო, კონკურენციის, შრომის, გარემოსდაცვით, თანაბარი შესაძლებლობების, ჯანდაცვის და უსაფრთხოების კანონებს. ზოგიერთ ქვეყანაში კომპანიები საჭიროდ მიიჩნევენ საბჭოს პასუხისმგებლობების და ასევე მენეჯმენტის მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრას. საბჭო არა მარტო ანგარიშვალებულია კომპანიის და მისი აქციონერების წინაშე, არამედ მოვალეა მოქმედებდეს მათ საუკეთესო ინტერესებში. ამასთან, საბჭოებმა უნდა გაითვალისწინონ და სამართლიან მოექცენენ სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს, მათ შორის, თანამშრომლების, კრედიტორების, მომსმარებლების, მომწოდებლების და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია



გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესრულება.

ახლა განვიხილოთ გერმანიის კორპორაციული ორგანიზაციის საბჭოს სტრუქტურა:

კერძო კორპორაციებს, სადაც ხუთასი ან მეტი თანამშრომელია დასაქმებული და საჯარო კორპორაციებს, რომლებიც ორგანიზებული არიან გერმანული კანონმდებლობის შესაბამისად, მოეთხოვბათ ორგანიზაციების საბჭოს არსებობა. ეს სტრუქტურა საზღამხედველო ფუნქციებს ანიჭებს ერთდონიან საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს) და მერკემენტის ფუნქციებს ანიჭებს ორგანიზაციან საბჭოს (დირექტორატს).

დირექტორატი პასუხისმგებელია საწარმოს მართვაზე. მისი წევრები ერთობლივად ანგარიშვალდებული არიან საწარმოს მართვაზე და დირექტორატის თავმჯდომარე ახდენს დირექტორატის საქმიანობის კოორდინაციას. მეორეს მხრივ, სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს, ზედამხედველობას უწევს და რეკომენდაციებს აწვდის დირექტორატის წევრებს და უშუალოდ მონაწილეობს კომპანიისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაში. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის კოორდინაციას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ხდება აქციონერთა მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე ერთობლივი განსაზღვრის პრინციპით თვალისწინების თანამშრომელთა სავალდებული წარმომადგენლობას. ამგარად, ფირმების ან კომპანიებისთვის, რომელთაც ზუთასზე ან ირათას თანამშრომელზე მეტი ჰყავთ, თანამშრომლები ასევე წარმოდგენილი არიან სამეთვალყურეო საბჭოში, რომლის შემადგენლობის ერთი მესამედი, ან ნახევარი შესაბამისად თანამშრომელთა წარმომადგენლებს მოიცავს.

საბჭოს შემადგენლობაში თანამშრომელთა წარმომადგენლობაში ყოველთვის როდი განიხილება როგორც მისასალმებელი გარემოება, რადგან, სამეთვალყურეო საბჭოში შემავალმა კომპანიის თანამშრომელებმა შეაჩერონ ისეთი

გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შეიძლება შედიოდეს კომპანიის საუკეთესო ინტერესებში, მაგრამ არა თანამშრომელთა, როგორც ჯგუფის, ინტერესებში.⁶

აღნიშნული ორგანიზაციის სისტემის ორგანიზაცია მსგავსია აშშ-ში ამჟამად არსებული ერთდონიანი საბჭოსი. ძირითადი დაყოფა ხდება საზღამხედველო და მართვის ფუნქციებს შორის. მერიკის შეერთებულ შტატებში დირექტორთა საბჭო შექმნილია მერკემენტის სახელმძღვანელოდ. მერკემენტის ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი აღმასრულებელი პირები, ან ზოგიერთ შემთხვევაში კორპორაციის უმაღლესი აღმასრულებელი პირებისგან შემდგარი კომიტეტები. გერმანული სამეთვალყურეო საბჭო ანალოგიურია აშშ დირექტორთა საბჭოსი, რადგან ის ასევე ახორციელებს მერკემენტის ზედამხედველობას.

თუმცა, გერმანული სამეთვალყურეო საბჭო ნაკლებად აკონტროლებს მერკემენტს და კორპორაციას, ვიდრე აშშ საბჭო. მაშინ, როცა, აშშ დირექტორთა საბჭო შეიძლება ჩაერიოს და მონაწილეობდეს კადეც კომპანიის მართვაში, მას შეიძლება ასე არ იმოქმედოს. მას შეიძლება არ ჰქონდეს ნაკისრი მერკემენტი პასუხისმგებლობები. „გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს ძალაუფლება შემოიფარგლება გარკვეული ტიპის გარიგების თანხმობის გაცემით, რომლებიც საჭიროებენ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას,“ მათ შორისაა: კორპორაციის მიერ კრედიტის გაცემა დირექტორატის წევრებზე და კორპორაციის ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება, ან დაწუნება, მოგების განაწილება დივიდენდების სახით, ან რეზერვი მიმართვა. უფრო მეტიც, გერმანულმა სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება არ გაათავისუფლოს დირექტორატის წევრები მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, რაც ხშირად ხუთ წელს შეადგენს, გარდა სათანადო მიზეზის არსებობის შემთხვევისა. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ფიდუციარული ვალდებულების მნიშვნელო-

ვნი დარღვევის, ან კორპორაციის სათანადო მართვის უუნარობის დამტკიცება. აშშ საბჭო გაცილებით მეტად მოქნილია და შეიძლება ჩვეულებრივ ათავისუფლებდეს კორპორაციის აღმასრულებელ პირებს ნებისმიერი მიზეზის გამო. ამგარად, აშშ საბჭო გაცილებით მეტად აკონტროლებს მენეჯმენტს, ვიდრე გერმანული სამეთვალყურეო საბჭო. ორივე საბჭო ძირითადად ასრულებს უფრო სამეთვალყურეო, ვიდრე მერკემენტ ფუნქციას.

იტალიაში გარცელებულია ერთდონიანი საბჭოები, მაგრამ ასევე აუცილებელია აუდიტორთა საბჭოს არსებობა. ბოლო წლების განმავლობაში კორპორაციული მდგომარეობა იტალიაში ბევრჯერ შეიცვალა. აუდიტორთა საბჭო შედგებოდა სულ მცირე სამი პირისგან, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო დირექტორებისა და თანამშრომლებისგან.

საბჭო მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურაა და უნდა შედგებოდეს კომპეტენტური, ეთიკური და ბიზნესისთვის დირექტორების ადამიანებისგან.

როგორც წესი, საბჭო უნდა ასრულებდეს გარკვეულ ძირითად ფუნქციებს. მათ შორისაა:

1. კორპორაციული სტრუქტურის, ძირითადი სამოქმედო გეგმების, რისკის პოლიტიკის, წლიური ბიუჯეტის და ბიზნესისგმების განხილვა და წარმართვა;

2. კომპანიის მართვის პრაქტიკის და საჰილოებისამებრ ცვლილებების შეტანის ეფექტურობის მონიტორინგი;

3. ძირითადი აღმასრულებელი პირების შერჩევა, ანაზღაურება და აუცილებლობის შემთხვევაში, გათავისუფლება და ჩანაცვლების შემთხვევლის განხილვა და საბჭოს თანამშრომელთა სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება არ გაათავისუფლოს დირექტორატის წევრები მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, რაც ხშირად ხუთ წელს შეადგენს, გარდა სათანადო მიზეზის არსებობის შემთხვევისა. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ფიდუციარული ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის უუნარობის დამტკიცება. აშშ საბჭო გაცილებით მეტად მოქნილია და შეიძლება ჩვეულებრივ ათავისუფლებდეს კორპორაციის აღმასრულებელ პირებს ნებისმიერი მიზეზის გამო. ამგარად, აშშ საბჭო გაცილებით მეტად აკონტროლებს მენეჯმენტს, ვიდრე გერმანული სამეთვალყურეო საბჭო. ორივე საბჭო ძირითადად ასრულებს უფრო სამეთვალყურეო, ვიდრე მერკემენტ ფუნქციას.

4. ძირითადი აღმასრულებელი პირების და საბჭოს წევრების ანაზღაურების შესაბამისობაში მოყვანა კომპა-



ნის და მისი აქციონერების გრძელ-
ვადან ინტერესებთან;

5. საბჭოს ოფიციალური და გამ-
ჭვირვალე ნომინაციის და არჩევის
პროცესის უზრუნველყოფა;

6. მწერამშტაბის, საბჭოს წევრების
და აქციონერების პოტენციური ინ-
ტერესთა კონფლიქტის, მათ შორის,
კორპორაციული აქტივების არასწო-
რი და დაკავშირებულ მხარეთა გარი-
გებების ბოროტად გმოყენების მონი-
ტორინგი და მართვა;

7. კორპორაციის აღრიცხვის და
ფინანსური ანგარიშების სისტემების
მოლიანობის, მათ შორის, დამოუკი-
დებლი აუდიტის და კონტროლის
დამოუკიდებლი სისტემების არსებო-
ბის, კერძოდ რისკის მართვის სის-
ტემების, ფინანსური და საოპერაციო
კონტროლის არსებობის და კანონებ-
სა და მოქმედ სტანდარტებთან შესა-
ბამისობის უზრუნველყოფა.

8. ინფორმაციის გამჭვირვენების და
კომუნიკაციების პროცესის ზედა-

ნედველობა. საბჭოს და მწერამშტაბის
ფუნქციები და პასუხისმგებლობები
ინფორმაციის გამჭვირვებას და კო-
მუნიკაციებთან დაკავშირებით მკაფიოდ
უნდა იყოს დადგენილი საბჭოს მიერ.
ზოგიერთ კომპანიებში არსებობს საინ-
ვესტიციო ურთიერთობების ოფიციის
თანამდებობა, რომელიც უშუალოდ ან-
გარიშებალდებულია საბჭოს წინაშე.

საბჭოს უნდა შეეძლოს თბიექ-
ტური და დამოუკიდებელი გადაწყვ-
ეტილების მიღება კორპორაციულ
საკითხებთან დაკავშირებით. მწერ-
ამშტაბის საქმიანობის მონიტორინგის
მოვალეობის შესასრულებლად, ინტე-
რესთა კონფლიქტის პრევენციისთვის
და კორპორაციის წინაშე არსებული
კონკურენტული მოთხოვნების დასა-
ბალანსებლად აუცილებელია საბჭოს
შეკლოს თბიექტური გადაწყვეტილე-
ბის მიღება. პირველ შემთხვევაში,
ეს ნიშავს დამოუკიდებლობას და
ობიექტურობას მწერამშტან და-
კავშირებით საბჭოს შემადგენლო-

ბისა და სტრუქტურისთვის, აქედან
გამომდინარე, მნიშვნელოვანი შე-
დეგებით. საბჭოს დამოუკიდებლო-
ბა ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ
მოითხოვს, რომ საბჭოს წევრთა
საკმარისი რაოდენობა დამოუკიდე-
ბელი იყოს მენეჯმენტისგან. როგ
ჟეფენბში, სადაც ერთდონიანი საბჭო-
ებია წარმოდგენილი, საბჭოს თბიექ-
ტურობა და მწერამშტაბისგან მისი და-
მოუკიდებლობა შეიძლება გაძლიერდეს
გრერალური დირექტორის და საბჭოს
თავმჯდომარის როლების ერთმანეთის-
გან გამოყოფით, ან, თუ ეს როლები
კომინირებულია, წამყვანი არააღმასრუ-
ლებელი დირექტორის არჩევით, რომე-
ლიც მოიწვევს, ან თავმჯდომარების
გაუწვევს გარე დირექტორთა სხდომებს.
საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შე-
უძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის
შეტანა საბჭოს მიერ გადაწყვეტი-
ლებების მიღების პროცესში. საბ-
ჭოს და მწერამშტაბის საქმიანობის
ობიექტური შეფასება. ამსთან, მათ
შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის
შესრულება ისეთ სფეროებში, სა-
დაც მწერამშტაბის, კომპანიისა და
აქციონერების ინტერესები შეიძლე-
ბა განსხვადებოდეს, მაგალითად,
ისეთი საკითხების შემთხვევაში,
როგორიცაა აღმასრულებელი პი-
რების ანაზღაურება, ჩანაცვლების
დაგეგმვა, კორპორაციული კონტ-
როლი, კომპანიის შთანთქმა, დიდი
მოცულობის შესყიდვები და აუდი-
ტის ფონქცია. იმისათვის, რომ მათ
შესრულონ აღნიშნული გადაწყვეტი-
ლი როლი, სასურველია, საბჭოებმა
გამოაცხადონ ვის მიზნები დამოუ-
კიდებლად და როგორია ამ გადაწყ-
ვეტილების მიღების კრიტერიუმი.⁷

კორპორაციული მართვის ბევ-
რი კოდექსი და მითითება მსოფ-
ლიოს მასტებაბით ხაზს უსამს
დაბალანსებული და დამოუკიდე-
ბელი საბჭოს არსებობის აუცი-
ლებლობას. კერძოდ, ერთდონიან
სტრუქტურაზე გადასვლა სასარ-
გებლო აღმოჩნდა ეფექტური საბ-
ჭოს დასაარსებლად.


ნინი ადამია,
საერთაშორისო საფინანსო
კორპორაცია



ნინი ადამია
და ანონებაზოგადობა



**WHAT MATTERS TO YOU,
MATTERS TO US**



www.bdo.ge



გორგასალი – მშვიდი გარემო, კონკურენციული კურსების გარანტი

PR



თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „გორგასალი“ 1997 წლიდან ფუნქციონირებს. აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს დაქისათვის ქართულ საგანმანათლებლო სიყრცეში დირსული აღგითი უძავია. რაც წლებანდებულმა ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა: „გორგასალში“ სწავლის გაგრძელების სურვილი 7 000-მდე პირზე ურთიერთი გამოთქვა. აქედან, პირველ ნომრად სასწავლებელი 200-მა მათგანმა შემოხაზა. შესაძლოა, ეს ერთი შესედვით, არც თუ ისე დიდი ციფრია, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მზია მათგანმა შედეგებით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ პატარა უნივერსიტეტისთვის ეს შესანიშნავი მაჩვენებელია.

ამჟამად უნივერსიტეტის კონტიგენტი 585 სტუდენტითაა განსაზღვრული. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მოთხოვნათა შესაბამისად, „გორგასალში“ დანერგილია სწავლების შემდეგი საფეხურები: დიპლომირებული სპეციალისტი, პირველი საფეხური – პაკალვრიატი (რეგულირებადი სპეციალობების გარდა, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ძირითადი (Major) და დამატებითი (Minor) სპეციალობების კომბინაციას) და მეორე საფეხური – მაგისტრატურა. „გორგასალში“ ფუნქციონირებს ფაკულტეტები: ჯანმრთელობის დაცვის (სპეციალობები: სტომატოლოგია, ფარმაცია), ჰუმანიტარული (ინგლისური ენა და ლიტერატურის ისტორია) და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის (ეკონომიკა, ტურიზმი, ბიზნესის მართვა, სამართლმცოდნეობა). დღეისათვის უნივერსიტეტში ხორციელდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის, ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამები. 2010-2011 სასწავლო წლისათვის ახალი – სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის სამაგისტრო პროგრამები ამოქმედდება.

უნივერსიტეტი მაღალკვალი-ფიციური, პროფესიონალური კადრების მომზადებაზეა ორიენტირებული. სასწავლებლის მთელი აკადემიური პერსონალი ცდილობს, „გორგასალში“ მიღებულმა ცოდნამ კურსდამთავრებულებს შრომის ბაზაზე კონკურენტულარინი საშუალება მისცეს, რაც მათთვის ნარმატებული კარიერის საფუძველი გახდება. სასწავლო პროცესს ნარმართავენ საყოველთაოდ აღიარებული პროფესორები: ზაურ ჯინჯოლავა, ვაჟა კაკაბაძე, მზია ლევავეიშვილი, რევაზ ხვედელიძე, დოდო ჯულუხაძე, ალექსანდრე ჩხიტაური, იზა ბერაძე, გიორგი დოლონაძე, სერგო ჭელიძე, მარინა შაქარაშვილი, მარინა კობახიძე, გორგა ბარბაქაძე, ოლეგ კვიციანი... უნივერსიტეტის მიზანია, სასწავლებელში მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტების შეიძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას სწორი ორიენტირების შერჩევაში დაეხმარება. ყოველივე ამას ემსახურება უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციური პერსონალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერი-



ზაურ ჯინჯოლავა

უნივერსიტეტ „გორგასალში“
რექტორი, პროფესიონალური

აღურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების ის ინოვაციური მეთოდები, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებელი მუდმივად ნერგავს. სტუდენტთა განკარგულებაშია კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი 6365 ერთეულს მოიცავს; კომპიუტერული კლასები; უმაღლესი კლასის საკონფერენციო დარბაზი და სპორტული კომპლექსი, სადაც მსურველები სპორტულ-სამეჯლისო და ქართულ ხალხურ ცეკვებს შეისწავლიან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის კავშირები უცხოეთის პრესტიულ სასწავლებლებთან. რექტორის

კაბინეტს ვენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის დიდებული მანტია ამშვენებს. ქალბატონი მზია ქათამაძე ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები წელინადში რამდენჯერმე, სხვადასხვა ქვეყნაში იმართება, რაც ქალბატონ მზიას უცხოელ კოლეგებთან, შესაბამისად კი, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებთან კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებაში ეხმარება. როგორც რექტორთან საუბრისას შევიტყეთ, ევროპის რექტორთა კლუბის ერთ-ერთი შეხვედრა სექტემბრის ბოლოსთვის თბილისში გაიმართება.

თავად ქალბატონი მზია მიიჩნევს, რომ „გორგასალი“ კონკურენტისგან გამოარჩევს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სტუდენტებთანაც და თანამშრომლებს შორისაც. რექტორი თავად არჩევს პერსონალს და სტუდენტთა მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებას აუცილებელ მოთხოვნად აყენებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყველანაირად ცდილობს, ოჯახის ბიუჯეტს ზედმეტ ტვირთად არ დააწვეს დაგვიანებასა, თუ გაცდენაზე დაწესებული გადასახადი, რათა სტუდენტიცა და მშობელიც კმაყოფილი დარჩეს. უნივერსიტეტმა



სწავლის საფასურის დაკლებაც კი მოახერხა: შარშანდელი 3 700 ლარის ნაცვლად წელს სტუდენტები 2 250 ლარს გადაიხდიან, ისევე, როგორც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში.

ქალბატონ მზიას ორი დიდი

ოცნება აქვს – საკუთარი შენობა „გორგასალის“ ათასგვარი შეღავათის შემოღებისა და სიახლის დანერგვის საშუალებას მისცემდა. უნივერსიტეტის გარეუბანში გადატანას რექტორი ვერ რისკავს, რადგან, სტუდენტები თბილისის ცენტრალურ უბანში, მოსახერხებელ ადგილას მდებარე კომფორტულ შენობაში სწავლას მიერჩივნენ.

რექტორის მეორე ოცნება კი „გორგასლის“ საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტთა ხუთეულში მოხვედრაა, რაც, სასწავლებლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სულ ახლო მომავლის საქმეა...

საკონტაქტო ინფორმაცია:
თბილისი, გ. სვანიძის №2 (ვაკე-საბურთალოს გზაზე, თამარაშვილის შესახვევი)

ტელ.: 23-52-86,
10-58-75, 8(99) 95-34-81
www.gorgasali.edu.ge

თბა ჯიმელაძე





გიორგი ჩიკვილაძე,
„მედია-არტის“
არტ-დირექტორი:

— სარეკლამო სააგენტო „მედია-არტი“ გეგმავს და მართავს ყველა იმ პროცესს, რომელიც კომპანიის, ან პროდუქციის რეკლამირებასთანაა დაკავშირებული. ჩვენი ძირითადი მიზანია შევქმნათ ყველა პირობა იმისთვის, რომ დამკავეთი იყოს კმაყოფილი და მისი საქმიანობა წარმატებული. ჩვენ ვთავაზობთ დამკვეთს კომპლექსურ სარეკლამო კამპანიას, რაც PR კამპანიასაც მოიცავს. ბაზრის შესწავლა, ბრენდის ბაზარზე დამკვიდრება, ყველა სახის რეკლამა და სხვა მრავალი ღონისძიება, რომელიც თან ახლავს რეკლამირებას, ჩვენი გუნდის მიერ მაღალ პროფესიულ ღონებებით მომავალი და დამკავეთი მიზანია. სარეკლამო საგნის შესწავლის შემდეგ ყალიბდება სარეკლამო გეგმა, რომელიც ყველა ეტაპზე თანხმდება დამკვეთთან და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შეჯრებული პროექტი მტკიცდება. ჩვენი შემოქმედებითი გუნდი შესრულებული სამუშაოს დადებით შედეგზეა ორიენტირებული. მინდა ხაგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი წარმატება და მრავალი შემდგარი პროექტი არის იმ კონკურენცუარიანი პროფესიონალების დამსახურება, რომელიც აქ მუშაობენ. „მედია-არტში“ აქცენტი კრეატივული კეთდება, რაც ჩვენი წარმატების საწინდარია.

ჩვენს მიერ განხორციელებული სარეკლამო პროექტებიდან გამოვარჩევ ფარმაცევტულ

MEDIAART

სარეკლამო სააგენტო

სარეკლამო სააგენტო „მედია-არტი“ 8 წელია რაც საქართველოს სარეკლამო ბაზარზე წამყვან პოზიციას იკავებს. კომპანიის ძირითად ბირთვს პროფესიონალი და შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ადამიანები წარმოადგენენ. დიდი გამოცდილების და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე გუნდი, დამკვეთის ბიზნესის წარმატებასა და სწორად ზრდაზეა ორიენტირებული.

სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა მრავალფეროვანია: სარეკლამო სტრატეგიის დაგეგმვა, პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი აზრის შექმნა, პრეზენტაციებისა და გამოფენების დაგეგმვა-ორგანიზება, პოლიგრაფიული მომსახურება, გარე რეკლამის დამზადება და განთავსება, სარეკლამო რგოლების (რადიო-ტელევიზია) დამზადება-განთავსება და სხვა მომსახურება მედია-არტის სავიზიტო ბარათია.

კომპანია „პე-ეს-პეს“ სარეკლამო კამპანიას, რომელიც 2003 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ის შედგება რამდენიმე ეტაპისგან, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცნობილი ადამიანები — ნანი ბრეგვაძე, მაკა მახარაძე, ნაფა მურვანიძე, ბურაბ ყიფშიძე, ეკა მამალაძე, ლიბა ბაგრაგიონი, ლელა წურწუმია, სოფო ხალვაში, ირაკლი ცირეკიძე — ეს ადამიანები საბოგადოების რჩეულნი არიან, ვისაც ენდობიან და სჯერათ. ბუსტად საბოგადოების დამოკიდებულება და ნდობა ამ ადამიანებისადმი იყო ამ პროექტის საფუძველი.

ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას გუნდური მუშაობის სფილიც ემატება. ურთიერთგაბება — ეს კიდევ ერთი დადებითი ფაქტორია, რომელიც მუშაობაში გვიწყობს ხელს. საერთო ჯამში კეთდება საქმე, რომელიც ნაყოფერია და მოწონებას იმსახურებს.

იმედი მაქვს, ჩვენი საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება მომავალში მრავალი წარმატების საწინდარი იქნება.

საკონტაქტო ინფორმაცია:
თბილისი, გამსახურდიას ქ№4ა, ოფისი 2
ტელ.: 36-38-01; 36-96-42; 51-92-08

ტელ/ფაქსი: 36-38-02
e-mail: office@mediaart.ge



მედიარტ
და კონცერტები

როგორ ავალორდინოთ ქართული სოფელი

„სოფლად ნუ ჩაჰკლავ სიცოცხლეს,
ქალაქი წაგვიხდებაო“.

ხალხური თქმულება

„ძელია ჩვენის გლოებაცისათვის აღვილილამ დაძრა. ამი-
ღომაც იშვიათია ჩვენში უბინაოც ტანტალი და სულ ცნობილი
არ არის ერთგვარი დანაშაული, რომელსაც „მანანნალობა“
ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინატარს მცხოვრებს „მევიცრი“ ჰქვი-
ან და არა „მდგმური“, როგორც ზოგიერთ ენაშია“.

ილია ჭავჭავაძე



პაათა კოლუაშვილი,
თსუ, პროფესორი, ემდ, საქარ-
თველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის წევრი

მატერიალური წარმოების სხვა
დარგებში გამოყენებული შრომის-
გან განსხვავებით აგრარულ სფე-
როში გამოყენებული შრომა წაკლებ
მობილურია, ანუ, აქ დასაქმებული
საოჯახო მეურნეობა არადეკვატუ-
რი სიქარით რეაგირებს საბაზრო
კონიუნქტურის ნებისმიერ ცვლილე-
ბაზე. ამის მიზანია არა მარტო სოფ-
ლის მეურნეობის პროდუქციის წარ-
მოების შედარებით გრძელვადინი
ციკლი, არამედ, სოფლად ცხოვრე-
ბის წესი, ჩვეულებები, საცხოვრის-
თან და მინასთან („ადგილის კაცის“
– მკვიდრი მინათმოქმედის) დამოკი-
დებულების მუდმივი კავშირის ტრა-
დიცია. ამის გამო, ხმრია ფაქტები,
როცა წლების განმავლობაში პერ-
მანენტულად კლებადი მოსავლის
მიღების შემთხვევაშიც კი, საოჯახო
მეურნეობები აგრძელებენ ფუნქცი-
ონირებას ურთიერთსოლიდარული,
ანუ, ურთიერთდახმარების პრინცი-
პის საფუძველზე. სწორედ ეს პრინ-
ციპია თითოეული ცალკე აღებული
საოჯახო მეურნეობის ხანგრძლივ-
გადიანი სიცოცხლისუნარიანობის
საძირკველი.

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სასურველასა და შე-
საძლებელ მიმართულებაზე სერი-
ოზული მსჯელობის კონტექსტში
ცხადია მხოლოდ ორი რამ. პირველი
– როგორი არ უნდა იყოს საქართ-
ველოს ეკონომიკური პოლიტიკა,
და მეორე: რომელია და როგორია
საქართველოს ეკონომიკური მო-
მავლის (განვითარების) ყველაზე სა-
სურველი სახე.

სასურველია საქართველოს გარ-
დაქმნა მაღალგანვითარებულ აგრა-
რულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რო-

მელიც თვითონ დაიკმაყოფილებს
თავისი სასურსათო და სხვა საარსებო
მოთხოვნილებებს, ექნება დადები-
თი სალდო პარტიიორ ქვეყნებთან
ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად
– მეცნიერებატევადი სამრეწველო,
მეცნიერული და მაღალი ხარისხის
სოფლის მეურნეობის პროდუქ-
ცია. ეს სასურველი მიმართულება
გულისხმობს საქართველოს უშიშ-
როებასაც, ანუ, მისი ეკონომიკური
სიცოცხლისუნარიანობის გარანტი-
რებულ შენარჩუნებადობასა გარე
ძალების ნებისგან დამოუკიდებლად.

ფინანსური, ეკონომიკური, სა-
წარმოო და სოციალური მომსახუ-
რების, მთავრობის წარმმართველი
ორიენტირებისა და ადგილობრივი
თვითმმართველობის გარეშე დარ-
ჩენილი სოფელი კარგას ისტორი-
ულ, გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ,
ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქ-
ციებს, რაც სოფლის განვითარების
მსოფლიო პოლიტიკას ენინალმდე-
გება. სოფლის, როგორც ტერიტო-
რიული ერთეულის განვითარების
გარეშე (ინსტიტუციონალური
მოწყობა), ქართულ სოფელს დაც-
ლა, ანუ, მოსახლეობის მასობრი-
ვი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს
მოქმედი უარყოფითი ტენდენ-
ციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში
ალარ გვექნება არმარტო ფორმა-
ლური სოფლის მეურნეობა, არა-
მედ, თვით სოფელიც კი, რომლის
გარეშე წარმოუდგენელია, მთავ-
რობის მიერ დეკლარირებული,

იმედის მომცემი კურორტებისა
და მწვანე ტურიზმის განვითარე-
ბა. მინისაგან გლეხკაცის მოწყ-
ვეტა გამოიწვევს მისი, არა მარ-
ტო როგორც მენარმე ინდივიდის

ფუნქციის მოსპობას, არამედ, რაც
უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის
როგორც ეროვნული კულტურის
საფუძვლის, ყოფაცხოვრების წე-
სის შემოქმედის, შემნახველისა და
განმახლებლის ფუნქციის მოშ-
ლასაც.

გასათვალისწინებელია ისიც,
რომ მსოფლიოში „იაფი საკვების“
ეპოქა დასრულდა (სურსათზე ფა-
სები გაორმავდა, გაეროს პროგ-
ნოზით იგი კიდევ 40% გაიზრდე-
ბა, 50 ქვეყანაში მოსალოდნელია
აგროსასურსათო კრიზისის კიდევ
უფრო გაღრმავება, მათ შორის სა-
ქართველოში), ლარიბ ქვეყნებში
სურსათის იმპორტი იზრდება, ხო-
ლო, საერთაშორისო ოპერაციები
სასურსათო დამხმარებაზე, მცირდე-
ბა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამ-
ჟამად დედამინაზე არ არსებოს და
ალბათ არც უახლოეს პერიოდში გა-
მოინახება სასურსათო უზრუნველ-
ყოფის გლობალური პრობლემის
გადაწყვეტის უნივერსალური მექა-
ნიზმი (მოდელი). ამ პრობლემის სიმ-
ძიმე დღესაც და მომავალშიც, ეროვ-
ნულ დონეზე გადასაწყვეტი იქნება.

დაცარიელებული სოფლების
ალორძინება და ქვეყნის ფეხზე წა-
მოყენება, სოფლის მეურნეობის
ალორძინებითა დასაწყება. ძლი-
ერი სოფელი, გლობალური ეკო-
ნომიკური კრიზისის ფონზე, ქვე-
ყანას, და შესაბამისად ქალაქესაც
დააპურებს და გადაარჩენს!

საქართველოს აქტების შესაბამისი
ბიოგეოკლიმატური პირობები, აგ-
რარული პოტენციალი და სხვა კომ-
პონენტები (მათ შორის გეოპოლი-
ტიკური), რომლებიც აუცილებელია
მოსახლეობის სასურსათო თვითუზ-

რუნველყოფისთვის. ამასთან, ის გამოიჩინა იმითაც, რომ აյ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის ნარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. მეურნეობის სწორი გაძლილის შემთხვევაში საქართველოს შეუძლია გამოკვებოს არათუ კვეყნაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10-12 მილიონი ადამიანი. ეს ნიშავს, რომ რაციონალური აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შეგვიძლია სასურსათო უშიშროების მიღწევა სამამულო აგრონარმოების პროდუქციით.

აგროსასურსათო სექტორი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის საუკეთესო საშუალებაა. მის განვითარებაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მივაჭიოთ არა სხვა ქვეყნის გამოცდილებას, არამედ ამ გამოცდილების ჩვენთან გამოყენების შესაძლებლობას, ქართული სოფლის სპეციფიკის გათვალისწინებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული პროდუქცია, მცირე გამონაკლისის გარდა, არაკონკურენტუნარიანია როგორც შიგა, ისე, გარე ბაზარზე. საქმე იმაშია, რომ ქართველ აგრომენარმეს დაკარგული აქვს სურსათის ნარმოების ეკონომიკური სტიმული – სახნავებისა და ბალ-ვენახების 60%-მდე მიტოვებულია და უკეთეს შემთხვევაში საძოვრის ფუნქციას ასრულებს.

პირდაპირ უნდა ითქვას, საქართველოს არ გააჩნია აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგია. ამიტომაც ცალკეული სახის ერთჯერადი დახმარებები (სასუქი, საწვავი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა), ვერ აღწევს სასურველ შედეგს, რადგან, მას არა დარგის განვითარებისთ-

ვის, არამედ, პიარ-აქციებისთვის მიმართავენ.

სასოფლო-სამეურნეო ნარმოება მთავრობამ უნდა აღიაროს, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული, პრიორიტეტული დარგი, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე (მარეგულირებლის როლი) გადამზევები ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩნაში.

იღლია ჭავჭავაძის აზრით: „მთავრობას იმისთვის წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰკრძნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშევლოს იქ მაინც, საცავერძო პირთა შეძლება ვერ განვდება.“

შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრობლემათა გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მხოლოდ აგროსექტორის ფარგლებში, რადგანაც იგი მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას და განხორციელებას. მათი გადაჭრისთვის საჭიროა მთავრობამ (სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან) შექმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო, ხელი შეუწყოს ერთიანი აგროსასურსათო სისტემის განვითარებისთვის აუცილებელ სანარმო და არა-სანარმო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, უზრუნველყოს სახელმწიფო სუბსიდიების გამოყენება (რაც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ხელშეკრულებას); ჩამოაყალიბოს სახელმწიფო მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურები (ადმინისტრაციულ-კომერციული ფუნქციით) მარცვლის, მევენახობა-მელვინების, რძისა და ხორცის ნარმოების სფეროში.

სოფლად ყოფა-ცხოვრების აღორძინების, გლეხეცის ადგილზე დამაგრებისა და აგრომეურნების განვითარების სტრატეგიულ ამოცანად უნდა განისაზღვროს: სოფლად რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება, თემის, სოფლის სამენარმეო მობილიზაციის პროგრამის შემუშავება და განსორციელება, აგრარული და სასურსათო წარმოების თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვა.

ქვეყანაში ჩატარებული მინის რეფორმასა და სანარმოთა რესტრუქტურიზაციას, წვრილი ნატურალური და ნახევრად ნატურალური გლეხეცი მეურნეობების შექმნა მოჰყვა, რომელთაც არა აქვთ დიდი პერსპექტივები საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში. ამასთან, ამ მეურნეობებს არა აქვთ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალმოსავლიანი ჯიშის სათესლე მასალისა და შხამქიმიკატების შეძენის საშუალებები, ასევე, მოკლებული არიან სრულყოფილ სერვისულ მომსახურებას და ა.შ. ამ და სხვა პრობლემებს ეს მეურნეობები ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ, რის გამოც ვერ ანარმოებენ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში (რასაც განაპირობებს მრავალფეროვანი ბიოგეოლიმატური პირობები, ურთულესი ვერტიკალური ზონალობა), მცირე და საშუალო სიდიდის ფერმათა სიჭარებე არ არის საგანგაშო, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი ბიოგეოლიმატური პირობებით, კულტურათა მოვლა-მიყვანის სპეციფიკურობითა და აგრომრავალდარგოვნებითაა განპირებული. მცირე აგრომეურნეობათა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გზა, მიწაზე მეურნეობრიობის კომპერატიული ფორმის დაფუძნებაა. მეურნეობრიობის ეს ფორმა გარევეულნილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე, წარმოებული პროდუქციის რეალი-



ზაციის პრობლემებს და საფუძველს
უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-
სამეურნეო წარმოების კონცენტრა-
ციის უფრო მაღალი დონის მქონე
სამართლებრივ-ორგანიზაციული
ფორმების შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული გარემოები მკაცრად ნებაყოფლობით საფუძველზე უნდა შეიქმნას თითოეული მონაბილის მიერ შეტანილი პას (წილის) საფუძველზე. მათი დაფუძნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება (კერძოდ, მისაღებია კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულის შესახებ, მინის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გართიანების შექმნის წესი და დებულება), რომელშიც, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კოოპერატიულისგან განსხვავდებით, ასახება მინაზე მეურნეობრიობის ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სპეციფიკური თავისებურებანი და რეგულირების საშუალებები, რაც საჭიროა მათი ნორმალური ფუნქციონირებისთვის. კანონმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულის შესახებ“ უნდა დაარეგულიროს ამ ფორმის საწარმოთა ინგანიზაციის, რეგულირების, სახელმწიფოსთან ურთიერთობის (ძირითადად გადასახადები) და სხვა საკითხები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპ
პერატივების დასაფუძნებლად,
მიწის მესაკუთრეთა თანამონა-
ნილეობასთან ერთად, ყველაზე
რეალურ და პერსპექტიულ საშუ-
ალებად, უცხოური კრედიტების
(შედარებით დაბალი საპროცენტო
განაკვეთით) და გრანტების მო-
ზიდვა უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნუ-
ლი წესით დაფუძნებულ სასოფ-
ლო-სამეურნეო კოოპერატივებს
საშუალება ექნებათ შეიძინონ მი-
ნის სავარგულების დასამუშავე-
ბელი მანქანა-იარაღები, საჭირო
ინვენტარი და სოფლის მეურნეო-
ბის პროდუქციის აღნარმოებისთ-
ვის საჭირო მატერიალური საშუ-
ალებები (მინერალური სასუქები,
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუ-
ალებები და ა.შ.), შექმნან ნარმოე-
ბული პროდუქციის რეალიზაციის
საკუთარი ქსელი (დიდ ქალაქებში,
მსხვილ სამრეწველო ცენტრებში
და დასახლებულ პუნქტებში) და,
საბოლოო ანგარიშით, მიაღწიონ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების
მაღალ კონკურენტუნარიანობას.

კონტაქტივს სხვა ორგანზაცი-
ულ სტრუქტურებთან შედარებით
რამდენიმე უპირატესობა გაჩინია.
ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატე-
სობაა ფერმერების მჭიდრო და საქ-
მიანი ურთიერთდამოკიდებულება.

მოგეხსენებათ, დაბალი შემოსა-
ვალი ფერმისთვის უდიდესი პრობ-
ლემაა. ფერმერთა უმრავლესობა სა-
ქინძლის მხოლოდ თვითონირებულე-
ბის დაფარვას ახერხებს. ერთობლი-
ვი მუშაობა პრობლემის მოგვარების
საუკეთესო საშუალებაა.

კონპერატივი ფერმერებს აძლევს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას. ეს არის ერთობლივი მუშაობისა და მიღებული შემოსავლის ერთმანეთში გაზიარების მეცანიზმი. თუმცა, კონპერატივი არ არის წარმატების გარანტია, ის მხოლოდ საუკეთესო საშუალებაა ფერმერებისთვის წარმატების მისაღწევად. კონპერატივების საშუალებით აგრარული სექტორი შეიძლება განვითარდეს ძალიან სწრაფად და ფერმერებს მიზე ეცევთ შესარტულებული სამუშაოების გაუზიარების საშუალება.

ფერმერების თანამშრომლობა
ბრკოლდება იმის გამო, რომ კომპეტ-
რატივების დაფუძნება სახელმწიფო
სტრუქტურების მხრიდან ყოველგ-
ვარი მხარდაჭერისა და კონსულტა-
ციების გარეშე ხდება. ეს მათრიცენ-
ტირებელი როლი სოფლის მეურნე-
ობის სამინისტროს აკრისია.

სოფლად მცხოვრებთა მისა-
ლები პირობების შექმნის მიზნით,
აუცილებელია სასოფლო რაი-
ონების ინსტიტუციონალური
მოწყობა, სოციალური ინფრასტ-
რუქტურის განვითარება, გზებით,
ნელით, ელექტროენერგიით, გა-
ზით, ჯანდაცვის აბიექტებით, კავ-
შირგბაზულობითა და ტრანსპორ-
ტით უზრუნველყოფა, ფერმერთა
საკონსულტაციო-ინფორმაციუ-
ლი მომსახურებისა და წინასწარი
გაფრთხილების (პროგნოზირე-
ბის) სისტემის შექმნა და ამოქმე-
დება. ამასთან, უმთავრესია მიწის
წვრილ მესაკუთრება ნებაყოფ-
ლობითი გაერთიანებების შექმნა
და მათი სანარმოო და მარკეტინ-
გული კომპერირება.

აგროკურედიტი თავისი ბუნებით „შეფერებული და შეწონილი“ უნდა იყოს „მიზნისა და მიწათმოქმედის თვისებასთან“. „სასოფლო მეურნეობა, რომლის გაძლიერებისათ-

ვის გვინდა შემწეობა კრედიტისა,
თითქმის ერთადერთი წყაროს სიმ-
დიდობისა, ... დანიშნულება საად-
გილმამულო კრედიტისა განკარ-
გებაა მამულ-დედულისა, გაძლი-
ერება მიწათმოქმედთა ღონისა და
მომცემლობისა "ბრძანებდა ილია
ჭავჭავაძე. ამაზე ლოგიკური გან-
მარტივპა, აგროკრედიტის მნიშვნე-
ლობისა, ალბათ ძნელი წარმოსად-
გენია.

ფურძეერებს, ძათ გაერთიანებერებს აუცილებლად ესაჭიროებათ სპეციალური აგროსაკურედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების (კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე მეურნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო წლების პრაქტიკაში გვიჩვენა, რომ აგროკურედიტის სისტემის (თანამედროვე აგროკურედიტების სისტემა წარმატებით მოქმედებს საფრანგეთში — ურთიერთდახმარების აგროკურედიტი, აშშ-ში — ფურმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიაში — რაიტგზენის კრედიტი, ბელგიაში — ბრენდენბორნდი, ჰოლანდიაში — რაბობანკი და ა.შ.). შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ული ბანკები ვერ უზრუნველყოფების აგრარული სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რადგან, ისნით თვლიან, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათი წარმატებული საქმიანობის-თვის არახელსაყრელია. კომერციული ბანკები გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ აგრარული რეფორმა ჯერ არ დამთავრებულა და არ შექმნილა მიწის თავისუფალი ბაზარი, შესაბამისად არ არსებობს გაცემული კრედიტიდან მოგების, ან კომპენსაციის მიღების გარანტია. ამას ემატება ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძრეკუფტის უქონლობა, როგორიცაა, გამართული სადაზღვეო სისტემა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ
კომერციული ბანკები და ამ ტიპის
სხვა სტრუქტურები, თავიანთი სპე-
ციფიკიდან გამომდინარე, საბაზრო
პრინციპებისა და მუდმივი კონკუ-
რენციის პირობებში საჯმიანობას
აგებენ მაღალ მოგებაზე და, რაც
მთავრობა, შემცირებული რისკებს
პირობებზე. ამიტომა, რომ ყოველ-
თვის და ყველგან ისინი არ წარმო-
ადგენენ საიმედო პარტნიორებს. ეს
ნიშნავს, რომ აგრძომარმოებლები
კრედიტს მიიღებენ მხოლოდ მაშინ,
როცა მათ ეს ნაკლებად სჭირდე-
ბათ, ანუ, იმ შემთხვევაში, როდესაც

მათი ფინანსური შესაძლებლობანი, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ფასების გამო, შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით მტკიცნეულია, როდესაც საქმე ეხება ე.წ. ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს, როგორც წესი, ამ დროს კომერციული საბაზო სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, აქტივები მნირი, ხოლო გაკოტრების შანსი მაღალი. ასეთ სიტუაციებში მათი საქმიანობის პრიორიტეტი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებზე. ამიტომ ისინი თავს იკავებენ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალის დაბანდებისგან. სწორედ ასეთ სიტუაციაში იმყოფება დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საკრედიტო რესურსით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა, მხოლოდ კომერციული დაწესებულებების გამოყენებით, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან, კერძო სტრუქტურა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების განაწილებისას ვერ შეძლებს ნებისმიერი ტისა და ობიექტურობის დაცვას.

დასახელებული ფაქტორებისა და საქართველოს ბიუჯეტის მნირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კრიზისიდან გამოსავალი იმ გამოცდილების გათვალისწინება და ადგილობრივი პირობების მისადაგებაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების აგრარული კრედიტის სფეროშია დაგროვილი. აქ კარგადაა შერწყმული სახელმწიფო რეგულირებისა და კერძო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკა. სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლზე აგროსასურსათო სექტორის გადაყვანა მათი გამოცდილების მთავარი მონაბოგარია.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პრობლემის რეალურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის (სასს) ფორმირებით. იგი შემდეგი ობიექტური ფაქტორებითა და სპეციფიკური თავისებურებითაა განპირობებული:

- წარმოების პროცესის სეზონური ხასიათი;
- წარმოების რენტაბელობის შედარებით დაბალი დონე;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მახასიათებ-

ლების დაბალი საიმედობა (არამდგრადობა);

- სოფლიად საქონელმწარმოებლისთვის მოკლევადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ციკლური ხასიათი;

- შესაბამისი სტიმულირების არქონის გამო, სოფლიად დაგროვილი ისედაც მნირი ფინანსური კაპიტალის გადინება დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში;

- სოფლის მეურნეობაში გამო-

საყვენებელი საკრედიტო რესურსების აუცილებელი სიიაფე;

- ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სასაქონლო და მომსახურების ბაზრისაგან განსხვავებით, ფულადი კაპიტალისა და საკრედიტო ბაზრის არასრულყოფილი ხასიათი (წარმოების სეზონურობისა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებული);

- წარმოების შედეგების, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულობის გამო, კომერციული ბანკების მხრიდან მოიქმედი უნდობლობის ფაქტორის არსებობა;

- გლეხების (ფერმერების) მხრიდან კრედიტის ასაღებად საჭირო გირაოს უქონლობა, საბაზო სისტემაში არსებული რიგი ხარვეზები, ნაკლოვანებები და სხვ.

აგრარული საკრედიტო სისტემის საერთო დამახასიათებელი ნიშნებია:

პირველი. სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების პოლიტიკის არსებობა;

მეორე. აგრარული საკრედიტო სისტემის პრინციპული განსხვავება ჩვეულებრივი საბაზო-საკრედიტო სისტემისგან (რაც ძირითადად მის მიზნობრივ ხასიათში, ანუ, დარღობრივ პრინციპში პოლობას ასახავას);

მესამე. აგრარულ სექტორთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში ამ სისტემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი;

მეოთხე. აგრარული საკრედიტო სისტემის გავრცელა ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე;

მეხუთე. თითოეული დონის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და მკვეთრად გამიჯვნა;

მეექვსე. მუშაობის პროცესში ურთიერთსოლიდარობის პრინციპის არსებობა (თუმცა სხვადასხვა სისტემაში ეს განსხვავებული ხარისხით ვლინდება).

აგროკრედიტის სისტემა არ მუ-

შაობს დივიდენდების განაწილებაზე. იგი მიღებულ მოგებას საკუთარ საბრუნვა კაპიტალში აპრუნებს და პერმანენტულად ზრდის სესხის გაცემის მასშტაბებს. სესხის მიღებისთვის არც მატერიალური გარანტიებია საჭირო და არც წინასწარ შედგენილი ბიზნეს-გეგმა. აქ მთავარა ურთიერთობა, ნდობა, პასუხისმგებლობა, რომელსაც კოოპერატიული გაერთიანების, როგორც ერთი ოჯახის, წევრობა წარმოშობს.

აგროკრედიტის სისტემის შექმნა განსაკუთრებით საწყის ეტაპზე საჭიროებს აუცილებელ რეგულირებასა და კოორდინაციას. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აგრარულ სფეროში, პერიოდული ხელოვნური ჩარევის გარეშე, შესაძლებელია გამოიუსწორებული უკუეფებელი მიღება. ამიტომ აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სისტემის შექმნისა და პრიცესების რეგულირების საკითხში სახელმწიფოს მონაწილეობა აუცილებელი ლონისძიებაა.

აგროკრედიტის სისტემის ფუნქციონირების მთავარი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვ.

ამდენად, საქართველოში მენარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების მთავარი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვ.

ამდენად, საქართველოში მენარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების მთავარი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვ.

ამდენად, საქართველოში მენარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების მთავარი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვ.

ამდენად, საქართველოში მენარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისთვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ეფექტურულ საკრედიტო-საფრინანსო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრობლემის გადაუყვარება შესაძლებელია სპეციალური აგრარული საკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერატიული ტიპის) სისტემის (სასს) ფორმირებით, რომელიც, ერთის მხრივ, დაეფუძნება მსოფლიო აგრო-საკრედიტო სისტემის პრაქტიკას და გამოცდილებას, ხოლო, მეორეს მხრივ, შეკვერებული იქნება ქართული სოფლის სპეციალური ტიპის მიმდინარების განვითარების მიზანი. იგი შემდეგი ბიზნესის მკაფიოდ განსაზღვრა და მკვეთრად გამიჯვნა;

აგროკრედიტის მუშაობის პროცესში ურთიერთსოლიდარობის პრინციპის არსებობა სახვადასხვა სისტემაში ეს განსხვავებული ხარისხით ვლინდება.

სრების უფრო ეფექტიან გამოყენებაზე, რომელიც სესხის მიღების შედარებით გაიოლებული პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ურთიერთნდობით, სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კორუფციის გამორიცხვით მიიღწევა.

რაც შეეხება დარგობრივ პროიტეტებს, აქ უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტჩანაცვლებადი და ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებას (რისთვისაც შესამუშავებელია სპეციალური სახელმწიფო პროგრამები), მეფიარდებითი უპარატესობის პრინციპის გათვალისწინებით. მათ შორისაა: მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ჭავი). შესაბამისი აგროტექნიკის პირობებში პირველ ეტაპზე (300000 ჰა-ზე) შეიძლება ვანარმოთ 1,1-1,2 მლნ ტონა მარცვლეული, ხოლო, შემდგომ ეტაპზე (350000 ჰა-ზე) 1,4-1,5 მლნ ტონა), მეცხოველეობა და მისი პროდუქცია, ზეთოვანი კულტურები (მზე-სუმზირა, სიმინდი, სონია.). ასევე: ხილი (მშ.სუბტროპიკული), თხილი, კაკალი, ყურძენი, ჩაი, ბოსტეულ-ბალჩეული, კარტოფილი, აბრეშუმი, თაფლი და მათი გადამუშავების პროდუქტები (უფრო დაწრილებით შემდევ წერილში).

საქართველოს ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ეკორპულ ბაზარზე, რადგან, მისი მცირებინიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

არამედ, პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციის წარმოების განვითარებას, რომლის სანარმოო ბაზა ქვეყნის მოელი მთიანეთია.

ყოველივე ამის უზრუნველასყოფად შესამუშავებელია აგრისასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება. მისაღებია კანონები: „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“; „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და ვაჭრობის შესახებ“; „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“; „აგროპროდუქციის აღნარმოებისთვის საჭირო პროდუქციაზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დაცვის შესახებ“ და სხვა, რიმლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო გარემო ქვეყანაში აგრონარმოების აღლორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

მთავრობამ უნდა შეიმუშაოს აგრარული პოლიტიკის ახალი კონცეფცია სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უზრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების – პოლიტიკა იგულისხმება, ანუ, შესაბამოს ერთმანეთთან აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების

კომპლექსურად გადაჭრა.

ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფოს გადაქცევას ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად, არამედ მთავარ მყიდველად და გამანანილებლადაც კი იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაცია.

დასასრულ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ აგრომეურნეობის განვითარების ხელშემწყობი (პროდუქციის წარმოების, ფასების სწორად განსაზღვრისა და რეალიზაციის) სამი ძირითადი პირობა:

• ბაზრებთან კავშირი და კონკურენცია;

• განვითარებული აგრარული სტრუქტურები (რომლებიც ემსახურებიან ფერმერებს, მათ გაერთიანებებს წარმოების განვითარებაში);

• კრედიტების ხელმისაწვდომობა (სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება, სოფლად ურთიერთდაბარების სალარობისა და საკრედიტო კავშირების შექმნა).

დასახული ამოცანების სისტემური გადაწყვეტა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში მეურნეობრიობისთვის საჭირო პირობების შექმნას, აღნარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საპოლოო ანგარიშით, მყარ გარანტიებს შექმნის კოოპერატურის გაერთიანებების ჩამოყალიბების, სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრისა და სოფლად ყოფა-ცხოვრების აღლორძინებისათვის.

ANNOTATION

FOR THE RENAISSANCE OF GEORGIAN AGRICULTURE

Paata Koguashvili, TSU, Professor, Doctor of Economic Sciences

For the renaissance of agricultural sector it is necessary to work out a special state program with properly determined preferences (including field programs). It is possible to get a good benefit in the market by creating co-operatives. In particular, agro-co-operations can increase that income, which we get from the market system. To seek success co-operations should guess economical stimulation mechanism and for this the farmers should do their best and provide the market with safe product by the name of co-operation.

გაზომვის პროცესი გულისხმობს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მომზადარი ან პოტენციურად მნიშვნელოვან მოვლენებზე მონაცემების წარდგენას რაოდენობრივ გამოხატულებაში. დაგროვების პროცესში იგულისხმება სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მოვლენების მოწესრიგებული და თანმიმდევრული ასახვა შესაბამის სააღრიცხვო რეგისტრებში.

ინფორმაციის ანალიზის პროცესი გულისხმობს მომზადებელთა წრისა და საანგარიშებო საქმიანობის ამოცანების განსაზღვრას, აგრეთვე, ურთიერთკავშირის გამოვლენას ამ საქმიანობასა და სხვა ეკონომიკურად მნიშვნელოვან მოვლენებსა და სიტუაციების მიზნით უფრო ადგევა-ტური სააღრიცხვო ინფორმაციის წარდგენა. სააღრიცხვო, ან საგეგმო მონაცემების მომზადება და ინტერპრეტაცია დაიყვანება ამ მონაცემების განსაზღვრული ნიშნების მიხედვით შეთანხმებამდე. მიზანი არის ლოგიკურად დაკავშირებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარდგენა, რომელიც თუ საჭიროა, მოიცავს ანალიტიკურ და პროგნოზულ დაკავნებას.

სასარგებლო ინფორმაცია უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს (ხარისხის მახასიათებლებს): სისრულე, შესაბამისობა, დროულობა, ოპტიმალური სიზუსტე (იმდენად ზუსტია, რამდენად საჭიროა), ალქმადობა, მნიშვნელობა, შესაბამისი პირებზე გადაცემა, შესაბამისი არხით გადაცემა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ინფორმაცია მანამ არის სასარგებლო, სანამ, მისი მნიშვნელობა აღემატება შემნაზე განეულ დანასარჯებს; თუ ინფორმაცია არ არის ზუსტი, უზუსტობის ალბათობა და ხარისხი მომხმარებლისთვის უნდა იყოს ცნობილი.

ეკონომისტებს ვურჩევთ სანარმოს შესახებ არსებული ყველა შესაძლო სახის, როგორც გარე, ისე შიდა ინფორმაციის (მაგ. კლიენტების და რესურსების შესახებ) და მისი საქმიანობის (ბიზნესის მიმართულებების) შესახებ.

ინფორმაციის მოძიებას, გაანალიზება და ინტერპრეტაციას სხვადასხვა ანალიტიკური სისტემების მეშვეობით; აგრეთვე, განსაზღვრონ ის გავლენა, რომელსაც მიღებული, ან დაგეგმილი ინფორმაცია მოახდენს კომპანიის მუშაობაზე; გააკეთონ დასკვნები მონაცემების მნიშვნელოვნებასა და საიმეობობაზე.

თანამედროვე მენეჯერულ აღრიცხვაში ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს საწარმოში საინფორმაციო სისტემის შექმნას სპეციალურად მენეჯერული აღრიცხვის მიზნებისთვის, რომელიც შესაბამება კომპანიის ხელმძღვანელობის, მფლობელებისა და აქციონერების მოთხოვნების. მართვის სრულყოფილი სინფორმაციული სისტემის შემუშავებისას აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადამცველი:

• იმ შედეგების განსაზღვრა, რომელიც მომზადებებმა უნდა მიიღონ სისტემისგან;

• მითითება, რომელი მონაცემის შეყვანაა საჭირო სისტემაში, რათა მიღებული იქნას მოთხოვნილი შედეგები;

• მოთხოვნების შემუშავება დამუშავების სისტემის მიმართ, რომელიც გარდაქმნის შემავალ მონაცემებს საბოლოო ინფორმაციას;

• მართვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მონაცემთა ბაზების დღინებზე.

ინფორმაციის გადარჩევის, დაგროვების, გადაცემის, ანალიზის და შენახვის მიზნით აუცილებელია თანამედროვე მეთოდებისა და მოწყობილების გამოყენება. ამიტომ, სპეციალისტი მენეჯერული აღრიცხვების სფეროში უნდა იცნობდეს იმ თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ძირითადი სააღრიცხვო ფუნქციების შესრულება და მონაცემთა ბაზების მართვა. ასევე, უნდა იცნობდეს ფინანსური დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს, ისეთებს, როგორიცაა აქტივების გამოყენება. მიზანი არის საქმიანობის გადაცემა, შესაბამისი არხით გადაცემა.

АНОТАЦИЯ

ЗНАЧЕНИЕ УПРАВЛЕНЧЕСКОГО УЧЕТА ПРИ ПРИЕМЕ УПРАВЛЕНЧЕСКИХ РЕШЕНИЙ

Нато Бебиашвили

Для менеджеров очень важен управленческий учет, так как именно на основе данных полученных с помощью управленческого учета должны приниматься соответствующие управленческие решения. Процесс принятия управленческих решений подразумевает выбор лучшего из нескольких алтернативных вариантов, поэтому представленная управленческая информация должна соответствовать поставленным задачам.

ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობა საქართველოში

(ნაშრომი სრულდება და იძეჭდება
რუსთაველის ფონდის დაფინანსების ფარგლებში,
საგრანტო პროექტი N040-SPB-09)

ბიზნეს გარემოს მიმზიდველობა საქართველოში ძლიერია, რაზეც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ბიზნესმენების გამოკითხვის შედეგები მეტყველებს.

გამოკითხვამ, რომელიც ორ რაუნდად სპეციალურად მომზადებულმა ინტერვიუერებმა 2007 და 2008 წლების IV კვარტლის მდგომარეობით ჩაატარეს, 7500 საწარმო მოიცვა.

ბიზნეს-გარემოს შეფასების კითხვარი ითვალისწინებდა 21 შეკითხვას. თითოეულ შეკითხვაზე ბიზნესმენებს შეთავაზებული პერსონალის შესაძლო პასუხები და მათ ინტერვიუერისთვის უნდა გაასუხათ იმ ვარიანტზე, რომელსაც მიიჩნევდნენ მართებულად. ასე მაგალითად, მე-6 შეკითხვა ამგვარად იყო დასმული: „გირვეთ თუ არა რაიმე პერიოდულობით არაოფიციალური გადასახადების გადახდა?“

- 6.1 მიწვეს სისტემატურად;
- 6.2 მიწვეს იშვიათად;
- 6.3 საერთოდ არ მიწვეს;
- 6.3 უარი პასუხზე.

კითხვები ფორმულარში შემდეგი შინაარსით და თანმიმდევრობითაა ასახული:

1. რამდენი წელი ეწვიოთ საქმიანობის განვითარებაში?
2. რამდენი წელი შეიცვლება სამეწარმეო საქმიანობაში?
3. რამდენი შეფასებით, როგორ შეიცვლება სამეწარმეო გარემო მომავალი 1 წლის განმავლობაში?
4. რამდენად იცნობთ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას? და ა.შ.

კითხვები ასევე ეხება ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის მახასიათებული ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ბიზნესმენთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა; მისი გამოყენება ბიზნესმენთა საქმიანობასთან მიმართებაში; მაკონტროლებული ორგანოების დამოკიდებულება მეწარმეთა მიმართ; საბანკო სისტემიდან სესხების აღების პრაქტიკა; პროდუქტიაში ადგილობრივი და იმპორტული ნედლეულის წილი; პროდუქტის გასაღების ბაზები; საწარმოო სიმბლავოების გარეისიანობისა და დატვირთვის მაჩვენებლები; ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები; ამჟამინდელი საქმიანობის გაფართოების პერსპექტივა ახლო მომავალში.



დავით კპილაძე,

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

როგორც გხედავთ, ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის მახასიათებული შემოთავაზებული კითხვები თავიანთი შინაარსით სხვადასხვაგვარია და მათი გამოსახვა სინთეზური ინტეგრირებულური სტატისტიკური მახასიათებლით შესაძლებელი იქნება პროფესორ გიგანტი გაგიძაშვილის მიერ შემოთავაზებული ფორმულით¹:

$$K_{\text{შემ}} = \frac{\sum_{i=1}^n K_i}{n},$$

სადაც $K_{\text{შემ}}$ – ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებული კოეფიციენტია;

K_i - i-ური ფაქტორის სუბინდექსი;

n - ფაქტორთა რიცხვი.

სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდეგი ფორმულით²:

$$K_i = \frac{X_i - X_{\min}}{X_{\max} - X_{\min}}$$

ამრიგად, ზემოაღნიშებული კვლევის შედეგების ანალიზისას საჭიროა 21 კითხვის მიხედვით ცალკეული სუბინდექსის გაანგარიშება და ამის შემდეგ თითოეული კითხვის მიხედვით ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტის გაანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$K_{\text{შემ}} = \frac{\sum_{i=1}^m K_i + (n-m) - \sum_{i=1}^q K}{n}$$

სადაც m – თითოეულ ფაქტორში ბიზნესმენთა მიერ გარემოს მიმზიდველობის დადებითად შეფა-

¹ ბიკენტი გაბიძაშვილი. “პოპულარული სტატისტიკა ეპონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში”. თბილისი. 2008. გვ. 236.

² იქვე, გვ. 237.

სებული პოზიციებია, ხოლო q – ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის უარყოფითად შეფასებული პოზიციები.

ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ინტეგრირებული კოეფიციენტის მნიშვნელობა, როგორც თითოეული ფაქტორის, ისე 21-ივე კითხვის (იანგარიშება თითოეული ფაქტორის ინტეგრირებული კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული) მიხედვით, მთლიანად იცვლება 0-დან 1-მდე, ანუ, 0-დან 100%-მდე. თუ მისი მნიშვნელობა 0-დან 30%-ის ფარგლებშია, მიმზიდველობა სუსტია, 30-დან 60% - საშუალოდ ზომიერი, ხოლო 60%-ს ზემოთ – ძალიან ძლიერი.

ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის შემოთავაზებული აღგორითმი განვიხილოთ 2008 წლის კვლევის პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე, კოქვათ, მე-2 კითხვის „ოქენი შეფასებით, როგორ შეიცვალა სამეწარმეო გარემო საქართველოში ძოლო ერთი წლის განმავლობაში“ მიხედვით.

პირველი ფაქტორის „მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა“ სუბინდუქსი

$$K_1 = \frac{2905 - 1348}{6783 - 1348} = 0,2865;$$

მეორე ფაქტორის „უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა“ სუბინდუქსი

$$K_2 = \frac{6783 - 1348}{6783 - 1348} = 1;$$

მესამე ფაქტორის „არ შეცვლილა, მდგომარეობა უცვლელია“ სუბინდუქსი

$$K_3 = \frac{3467 - 1348}{6783 - 1348} = 0,3899;$$

მეოთხე ფაქტორის „უმნიშვნელოდ გაუარესდა“ სუბინდუქსი

$$K_4 = \frac{2369 - 1348}{6783 - 1348} = 0,1879;$$

მეუთხერი ფაქტორის „მნიშვნელოვნად გაუარესდა“ სუბინდუქსი

$$K_5 = \frac{1966 - 1348}{6783 - 1348} = 0,1137;$$

მექვეს ფაქტორს „უარი პასუხებზე“ ცალკე სუბინდუქსად არ გამოვთვლით.

ახლა გადავიდეთ მოცემული კითხვის ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტის გაანგარიშებაზე.

$$K_{\text{მომ.}} = \frac{\sum_{i=1}^m K_i + (n-m) - \sum_{i=1}^q K}{n} = \frac{1,2865 + (6-2) - 0,6915}{6} = 0,7659$$

ამრიგად, მოცემული კითხვის (ნიშის) ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის კოეფიციენტი ძალიან ძლიერია.

მოცემული სქემის მიხედვით გაანგარიშებული კოეფიციენტები 2008 წლის მიხედვით თითოეულ კითხვაზე ცხრილის სახით ასეთნაირად გამოიყენება (იხ. ცხრილი №1):

დასმული 21 კითხვიდან ზემოაღნიშნული გაან-

ცხრილი №1
ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის
კოეფიციენტები 2008 წ. მიხედვით

კითხვის №	მიმზიდვ-კოეფ.	კითხვის №	მიმზიდვ-კოეფ.
2	0,862	12	1
3	0,845	13	0,592
4	0,860	14	0,428
5	0,845	15	0,522
6	0,269	16	0,719
7	0,839	17	0,506
8	0,937	19	0,974
9	0,932	20	0,757
10	0,463	21	0,682
11	0,880		

გარიშებები განხრას არ ვაწარმოეთ პირველ და მე-18 კითხვებზე, რომელთა პასუხების ჩამონათვალში არ მივიჩინეთ მართებულად პასუხების დადებითი და უარყოფითი ნიშის მიხედვით დაჯგუფება (პირველი კითხვა სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და მოქმედების ვაღებს ეხებოდა; მე-18-ე საწარმოს ფუნქციონირების სახსრების წარმომავლობას).

ზემოთ მოცემულ ცხრილში თითოეულ კითხვაზე გაანგარიშებული ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტებისგან საშუალო მაჩვენებლის გამორვლით ($12,8276:19=0,67$, ანუ, 67%) მივიღებთ, რომ 2008 წლის მდგომარეობით ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობა საქართველოში ძლიერია.

ახლა ანალოგიური პროცედურებით გავიანგარიშოთ იგივე მაჩვენებლები 2007 წლის მიხედვით და გამოვსახოთ ასევე №2 ცხრილის სახით.

კითხვის №	მიმზიდვ-კოეფ.	კითხვის №	მიმზიდვ-კოეფ.
2	0,7659	12	0,4673
3	0,6988	13	0,6810
4	0,8593	14	0,3711
5	0,8408	15	0,5209
6	0,2642	16	0,6652
7	0,8454	17	0,5171
8	0,8826	19	1
9	0,8960	20	0,7206
10	0,4193	21	0,6458
11	0,7663		

ცხრილში მოტანილი თითოეული კითხვის მიხედვით გაანგარიშებული ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტებისგან გათვლილი საშუალო მაჩვენებელი $13,344:19=0,70$, ანუ 70% გვიჩვენებს, რომ ისე როგორც 2008 წელს, 2007 წელსაც ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობა სა-

ქართველოში ძღიერია. ოუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წელს 2007 წელთან შედარებით ბიზნეს-გარემოს მიზნიდებელობის მაჩვენებელი 3 პროცენტითაა შემცირებული. ჩემის აზრით, ამის მიზეზი რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების გავლენა და მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოხატილი უნდა იყოს.

ახლა დავაკვირდეთ ბიზნეს-გარემოს მიმზიდებელობაზე ბიზნესმენთა გამოყითხვის შედეგებმა და შესაბამისად, მათმა სტრატეგიულ-ტაქტიკურმა გადაწყვეტილებებმა, როგორი გავლენა იქმნია მეწარმეობის საერთო მდგრმარებაზე საქართველოში. 2008 წლის შედეგებით მოქმედ საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელი დაახლოებით 20 მლრდ. ლარია; გამოშევებული პროდუქციის მაჩვენებელი 10 მლრდ. ლარი; დამატებული დირექტელება 5 მლრდ. ლარი; დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 349 ათასი კაცია, შრომის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 520 ლარი. დასაქმებულები თოხი წლის წინანდევნ მაჩვენებლებთან შედარებით ვაზრდილია 26 ათასი კაცით, ხოლო, ყოველთვიური საშუალო ხელფასი – 3,2-ჯერ.

ახლა განვიხილოთ სამეწარმეო სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები როგორ გამოიყრება ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით.

მოქმედ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან 96 პროცენტი ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში საქმიანობს. საწარმოთა მიკუთვნება არასახელმწიფო სექტორზე კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სახეებში, როგორიცაა: ვაჭრობა, სასტუროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, განათლება, მოპოვებითი მრეწველობა და დამამუშავებელი მრეწველობა. ეკონომიკის ისეთი სფეროები, როგორიცაა: ელექტროენერგიის, აიროსა და წყლის წარმოება-განაწილება, ასევე ჯანდაცვა და სოციალური დახმარება მოქმედ საწარმოთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით ისევ სჭარბობს სახელმწიფო სექტორში.

საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლის 93 პროცენტს არასახელმწიფო სექტორის საწარმოები

აყალიბებენ. მოცემული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ვაჭრობა; დამამუშავებელი მრეწველობა; სასტუროები და რესტორნები; ოპერაციები უძრავი ქონებით; განათლება. ბრუნვის მაჩვენებელი სახელმწიფო სექტორის საწარმოებში ისეთი სახის საქმიანობების მიხედვით, როგორიცაა: სამთო მოპოვებითი მრეწველობა; ჯანდაცვა და სოციალური დახმარება ჯერ-ჯერობით სჭარბობს არასახელმწიფო სექტორის შესაბამის მაჩვენებელს.

არასახელმწიფო სექტორი პრევალირებს სახელმწიფო სექტორს სამეწარმეო სფეროში პრდუქციის გამოშვების მხრივაც (89%). ბრუნვის მაჩვენებლის მიხედვით, ჩამოთვლილ სფეროებს პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელში არასახელმწიფო სექტორის სახელმწიფო სექტორზე უპირატესობაში ემატება საქმიანობის ისეთი სახეები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა; მშენებლობა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

საბაზო ურთიერთობების დამკვიდრების ერთობი მაჩვენებელია ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის, ძირითადი კაბიტაციის ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის გადანაწილება. ამ მხრივაც სამეწარმეო სფეროში ძირითადი კაბიტაციის 66 პროცენტი არასახელმწიფო სექტორის საწარმოებზე მოდის. მოცემული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: დამამუშავებელი მრეწველობა; მშენებლობა; ვაჭრობა; სასტუროები და რესტორნები; ოპერაციები უძრავი ქონებით. საპირისპირო სურათი დაფიქსირდა ჯანდაცვასა და სოციალურ დახმარებაში და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.

ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის თანაფარდობის მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა დამატებული დირექტელებისა და დასაქმების მაჩვენებლების ურთიერთშედარებისას.

და ბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის სამეწარმეო სფეროში ზემოადნიშნული სახის კვლევების გაგრძელება და მათი ჩატარების პროგრამების გამრავალფეროვნება.

ANOTATION

ASSESSMENT OF BUSINESS ENVIRONMENTAL ATTRACTIVENESS IN GEORGIA

Davit Kbiladze,

Academic doctor of economics, Associate professor
of Tbilisi State University of Economic Relations

Business environmental attractiveness of Georgia is powerful. Results of questionnaire done by National office of statistics which was conducted among businessmen indicates that fact. 21 question was asked during the survey. Questions were about payment of unofficial taxes, changes of business environment during last and future years, knowledge of tax legislation by businessmen, dependence of control organs on businessmen, practice of taking a loan from banking sector, etc.

This survey was done to calculate individual indexes and coefficient of business environmental attractiveness. In order to characterize business environment it is necessary to continue surveys like this and to make them more diverse.



ბიზნესი
და კონდენსაცია



შერაბ ხმალაძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

საქართველო ლეიპტონის სარკეში

პირველი მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაზე XIII საუკუნის შემდეგი ეკუთვნის. **ივანე ჯავახიშვილის** გამოთვლით, იმ პერიოდის საქართველოს მოსახლეობა 4,5-5 მილიონის, ხოლო ვახტანგ ჯავახიშვილის მიხედვით 1,8-2 მილიონის ფარგლებში მერყეობდა. ეს უკანასკნელიც კი იმ დროისათვის შეიძლება საუმაღლ დოც როგორც ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისის მოსახლეობა უელსის, შოტლანდიისა და ირლანდიის გარეშე ერთი საუკუნის შემდეგ, 1377 წლის აღნერით, 2,5 მილიონს ითვლითა.

ბედუელმართმა შემდეგ ებბა მნიშვნელოვნად შეამცირეს საქართველოს მოსახლეობა. **გამად ჯავახიშვილის** შეფასებით, თუ საქართველოს მოსახლეობა 6 საუკუნის მანძილზე ისეთი ტემპაზით გაიზრდებოდა, როგორითაც საშუალოდ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა იზრდებოდა, მაშინ 1800 წლისთვის იგი 5 მილიონზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი არაუმეტეს 800 ათასი კაცი შეადგინა; კი. XIII-XVIII საუკუნეებში ჩვენს სამშობლოს მტერთა შემოსვევის შედეგად 4,2 მილიონი პოტენციური მცხოვრები დააკლდა.

XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის ზრდაში ბუნებრივ მატებასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მიგრაციული მატება. ამ პერიოდში რუსეთი დემოგრაფიული ანგეჭისის მიზნით საქართველოში ასახლებდა მოსახლეობას რუსეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. აღნიშვნელი დემოგრაფიული ექსანტის შედეგად მკვირდა შეიცვალა საქართველოს „დემოეროგნული“ სურათი. თუ 1800 წლისთვის ქართველების ხევდრითი წილი საქართველოს მოლიან მოსახლეობაში 89%-ს აღწევდა, მოსახლეობის 1897 წლის აღწერით 69%-მდე შემცირდა.

1897-1913 წლებში საქართველოს მოსახლეობა 707 ათასი მცხოვრებით გაიზარდა, თუმცა, შემდგომ რიცხოვნობის კლებასთან გვაქს საქმე – 1913-1917 წლებში იგი 263 ათასი კაცით შემცირდა, რომლიდანაც 102 ათა-

სი შობადობის დონის შემცირებაზე მოდის, ხოლო, 161 ათასი ფრონტზე დანაკარგებასა და მოკვდავობის ზრდაზე შშვიდობიან მოსახლეობაში.

მეოცე საუკუნის მეორე მეოთხედში მოსახლეობა ინტენსიურად იზრდება, რამაც 1926-1940 წლებში 935 ათასი კაცი შეადგინა. ასეთი მასშტაბის ზრდას ადგილი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარედან მოსახლეობის ინტენსიური ჩამოსახლების შედეგად, რომელიც საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საფარებელში მიმდინარეობდა. მიგრანტთა დიდი ნაწილი მოდირდა რუსეთზე. ამიტომ, რუსი მოსახლეობის ხევდრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში 1926-1939 წლებში 3.6%-დან 8.7%-მდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც ქართველების ხევდრი წილი 67.1%-დან 61.4%-მდე შემცირდა, აფხაზებისა 2.2%-დან 1.6%-მდე, ხოლო, ოსების, აზერბაიჯანებისა და სომხების ხევდრითი წილი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

მოსახლეობის მიგრაციის მეცნიერული შესწავლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანები მიგრირებენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა მცენერით საცხოვრებელთან შედარებით. შესაბამისი ანალიზით აღმოჩნდა, რომ იმ პერიოდში ცხოვრების დონე რუსეთში გაცილებით მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით. ცხოვრების დონისა და ეკონომიკური განვითარების ისეთი მაჩვენებლე-

ბი, როგორიცაა: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, შემდეგ სურათს იძლევა: 1913 წლისთვის ერთ მცხოვრებზე საქართველოში მოდიოდა 21 მანეთის მრეწველობის პროდუქცია, რუსეთში – 32 მანეთის; 1940 წლისთვის კი შესაბამისად, საქართველოში – 156 მანეთის, რუსეთში 233 მანეთის. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ერთ სულზე გაანგარიშებით 1913 წელს საქართველოში აღწევდა 69 მანეთს, რუსეთში 210 მანეთს. მაშინ რით უნდა აისხნას ცხოვრების მაღალი დონის მქონე რუსეთიდან ცხოვრების დაბადი დონის მქონე საქართველოში მოსახლეობის ასეთი ინტენსიური მოზიდვა? საქართველოს უკეთესი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით? საქართველოს დღვენდელ მაგალითზე ცხადად ჩანს, რომ ეს ფაქტორი არავითარ როლს არ თამაშობს. ჩანს, რომ ჩამოსახლებული მოსახლეობისთვის ხელოფტურად იქმნებოდა წამოსვლის ადგილთან შედარებით ცხოვრების უკათვესი პირობები.

1941 წელს საქართველოში 3690 ათასი კაცი ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომმა საქართველოს უდიდესი დემოგრაფიული დანაკარგები მიაყენა, მაგრამ, როგორც წესი, ომების დამთავრების შემდეგ შობადობის დონე იზრდება, რითაც ადგილი აქვს ომის დანაკარგების კომპენსაციას, მაგრამ საქართველოში ეს არ მომხდარა. რამდენადაც ქართულ

სტატიისტიკურ-დემოგრაფიულ კრებულებში არ გაგვაჩნია მონაცემები 1942–1949 წლების მოსახლეობის რიცხოვნობისა და ბუნებრივი მოძრაობის შესახებ, ამიტომ ვსარგებლობთ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის მონაცემებით, რომლის მიხედვითაც, ომის წლებში დაბადებულმა თაობაში შეადგინა 336 ათასი კაცი, ხოლო ომის შემდგომ, 1945–1949 წლებში დაბადებულებმა 316 ათასი, კ.ი. ომის წლებში დაბადებულებზე 20 ათასით ნაკლები, რაც პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია. ამიტომ ომის შემდგომ რამდენიმე წელს განვიხილავთ როგორც ომის დემოგრაფიული გავლენის გაგრძელებას და მისგან მოსახლეობის დანაკარგებს ვთვლით 1941–1950 წლებში. კერძოდ, 1940 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 68 ათასი კაცი შეადგინა. თუ აღნიშნულ ბუნებრივ მატებას უკვლელად მივიღებთ 1941–1950 წლებში, მაშინ, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ამ ფაქტორის გავლენით, მიგრაციის გარეშე, უნდა გაზრდილიყო 680 ათასი კაცით და 1950 წლისათვის უნდა მიეღწია 4370 ათასისათვის. (მაგრამ სინამდვილეში მიაღწია 3494 ათასი, კ.ი. საქართველოს მოსახლეობის დანაკარგებმა 1941–1950 წლებში შეადგინა 876 ათასი კაცი, რომელთაგან 400 ათასი მოდის ფრონტზე დაღუპულებზე, ხოლო 476 ათასი მოცემულ პერიოდში შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის დონის ზრდაზე). ომამდელი მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოში აღიდგინა 1953 წელს.

საქართველოს მოსახლეობის ზრდაში საგარეო მიგრაცია და-დებით როლს თამაშობდა 1956 წლამდე. ამის შემდგომ საქართველოდან მოსახლეობის გასვლა ჭარბობს შემოსვლას და გარე მიგრაცია მოსახლეობის ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება. აღნიშნული წლიდან საქართველოს მოსახლეობა იზრდება მხოლოდ ბუნებრივი მატების ხარჯზე, როთაც იგი არ-სებითად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი წინა დემოგრაფიული ისტორიისაგან. წასულებში ძირითად წარმოდგენილია არა-ქართველი მოსახლეობა, რამაც შესაბამისი სტრუქტურული ძვრები გამოიწვია მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. კერძოდ, 1959–1989 წლების აღწერების მონაცემებით, ქართველების ხვედრი წილი საქართველოს მოსახლეობაში 64%-დან 70%-მდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც სომეხი მოსახლეობის ხვედრი წილი 11%-დან 8%-მდე შემცირდა, რუსებისა – 10%-დან 6%-მდე და ა.შ. ამის საპირისპიროდ აზერბაიჯანელების ხვედრი წილი ამავე პერიოდში 3.8%-დან 5.7%-მდე გაიზარდა.

საქართველოს მოსახლეობის შემოსვლის შემცირების მიზანად ქართველი დემოგრაფები თვლიან იმ გარემოებას, რომ ომის შემდგომ მოხდა საქართველოს ხოფ-

ლის მოსახლეობის ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის ოჯერ ინტენსური გადასვლა ქალაქებში საცხოვრებლივ. იმავდროულად, შესუსტდა საქართველოს ომის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ტქმპები, რამაც შეასუსტა მოთხოვნა გარედან შემოყვანილ მუშახელზე, ხოლო, არსებული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე საშინაო რესურსებით გაყოფილდებოდა. 1956–1991 წლებში მოსახლეობის საგარეო მიგრაციის უარყოფითი სადღლოს სახით საქართველომ დაკარგა 402.3 ათასი მცხოვრები, რომელთაგან დაახლოებით 70 ათასი ქართველი იყო.

1992 წლისათვის საქართველოში ცხოვრობდა 5467.4 ათასი კაცი. ამის შემდეგ საქართველოში შექმნილ მეტად მძიმე ხოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას მოჰყვა ასევე უკიდურესად მძიმე დემოგრაფიული შედეგები, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის სისტემატიკურ შემცირებაში გამოიხატა. 1995 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 5407 ათასამდე შემცირდა, ხოლო 2009 წლისთვის 4385.4 ათასამდე.

და ბოლოს კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ჩვენს მიერ გამოთვლილი მიახლოებითი მონაცემები საქართველოს მოსახლეობის დანაკარგების შესახებ:

XIII – XVIII საუკუნეები	4200 ათასი,
1913 – 1917 წლები	263 ათასი,
1941 – 1950 წლები	876 ათასი,
1956 – 1991 წლები	402 ათასი,
1992 – 2009 წლები	1082 ათასი,
სულ – 6823 ათასი, კ.ი. ფაქტობრივად 7 მილიონამდე კაცი.	

АНОТАЦИЯ

НАСЕЛЕНИЕ ГРУЗИИ – ЛЕТОПИСЬ В ЦИФРАХ

Мераб Хмаладзе, доктор экономических наук, профессор

в следствии снижения рождаемости. Довоенная численность (1941г. – 3690 тысяч) была восстановлена в 1953 году. Самое многочисленное население Грузия имела в 1992 году – 5467,4 тысяч. После этого, в результате возникновения тяжелых социально-экономических и политических процессов, численность населения резко сократилась и в 2009 году составила 4385,4 тысяч человек. По нашим оценкам, с XIII века до настоящего времени потеря населения Грузии составляют до 7 миллионов человек.

საქართველოს საბაზო ვაჭრობის იკონიტიკური ანალიზი თანამედროვე ეტაპზე

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება დოკუმენტით (და უახლოეს პროცესებით) საგარეო ვაჭრობაა, რო-

მელიც სამწევაროდ, არასასურველი ტენდენციით ვითარდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

ამ თვალსაზრისით, საგარეო-კონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ექსპორტის გაზრდაა, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების ძირითადი რეზერვია ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეროვნული მრეწველობის განვითარება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნიკურობის დანერგვა და ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2009 წელს საქართველოს საგარეო საგაჭრო ბრუნვა 5513,3 მლნ. აშშ დოლარია. მათ შორის, ექსპორტი 1135 მლნ. დოლარი, ხოლო იმპორტი 4378,3 მლნ. აშშ დოლარი.

საინტერესოა, რომ შეიძლება იყოს გამოწვეული იმპორტის ასეთი სიჭარები? განვიხილოთ ზოგიერთი ფაქტორი:

ჩვენს ქვეყანაში საქონლის იმპორტს საფუძვლად უდევს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია: ეპონომიკური ეფექტიანობა, დროის მოგება, მსოფლიოს მასშტაბით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა სამამულო წარმოებაში და სხვა. როგორც წესი, ხდება იმ საქონლის იმპორტი, რომლის სამამულო წარმოება ან არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ მისი წარმოების მოცულობა ვერ აქმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას. იმპორტის ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი სახით

საქონლის ხარისხი გაცილებით მაღალი და ამასთან, მისი შეძენისა და ტრანსპორტირების ხარჯები ნაკლებია სამამულო წარმოების საქონლის შესაბამის დანახარჯებზე. რიგ შემთხვევაში, ამ პირობის გარდა უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე დროის ფაქტორი, რომლის მოგებასაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ეს ხდება მაშინ, როცა ამა თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნილების დაქმაყოფილების აუცილებლობა და სამამულო წარმოების დაწყება დროში ერთმანეთს მნიშვნელოვნად სცილდება. ამ შემთხვევაში საქონლის იმპორტი გამართლებულია და მნიშვნელოვან სამეურნეო ეფექტს იძლევა დროის მოგების თვალსაზრისით. საქონლის იმპორტი შეიძლება გამოიწვიოს სრულიად შემთხვევითი ფაქტორის ზემოქმედებამ, რაც იწვევს საქონლის მწვავე დეფიციტს ამა თუ იმ დროის მონაცემში. ასეთ


ფაქტორებს მიეკუთვნება არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო მოუსავლიანობა, წყალდიდობები, ხანძარი და ზოგიერთი სხვა სტიქიური მოვლენა, პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში და ა.შ. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ იმპორტის სიჭარებეს.

საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია: **თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, გერმანია, რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, ჩინეთი, იტალია, რუმინეთი.** (გრაფიკი 1).

2005 წლიდან კლების მპეტრი ტენდენციით ხასიათდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში, თუმცა, ეს ტენდენცია დაირღვა და პოზიტივურია, რომ 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიან ექსპორტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი დაახლოებით 24%-ით გაიზარდა.

საქართველოს ძირითადი პა-


გრაფიკი 1
უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები



წყარო: www.economy.ge

გრაფიკი 2

მირითადი პარტნიორი ქვეყნები გუსპორტის მიხედვით

წყვეტილი: www.economy.ge

რეზირო ქვეყნებია ექსპორტის მიხედვით: **თურქეთი, აზერბაიჯანი, კანადა, ბულგარეთი, სომხეთი, უკრაინა, აშშ, რუსეთი, ბრაზილია, ყაზახეთი. სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის საქართველოს ექსპორტის 81,3%.** (იხ. გრაფიკი 2)

განვიხილოთ რა მხარდაჭერ ღონისძიებებს ახორციელებენ მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს ექსპორტის სტიმულირებისთვის და რა ბარიერები ხვდება ქართულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე.


საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე პერიოდიდან ცდილობს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ინტენსიურად ჩართვას. ამყარებს კავშირს მრავალ ქვეყანასთან, რომელთა შორის ევროკავშირის ქვეყნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რამდენიმე წლია ექსპორტი აღარ იბეგრება. საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს ევროკავშირის შედავათების განზოგადების სისტემა GSP. განვითარებული ქვეყნები GSP-ით მოსარგებლებ ქვეყნებს ურთიერთობაში გარკვეულ შედავათებს ანიჭებენ. კერძოდ, ბენეფიციარი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე სამპორტო ტარიფის საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, შემცირებულ განაკვეთებს აწესებენ. საქართველოს GSP-ით ბენეფიციარის სტატუსი

ფუქცია. 2006 წლის 1 იანვრიდან, საქართველო უკვე თურქეთთანაც სარგებლობს GSP+-ის ბენეფიციარის სტატუსით.

მართალია, საქართველო ასეთი შედავათებით სარგებლობს, მაგრამ ქართულ პროდუქციას არასატარიფო ბარიერები ხვდება და უჭირს მისი დაძლევა-სერტიფიცირების, პროდუქციის წარმოშობის მოთხოვნები, ტექნიკური და სანიტარული სტანდარტები.

სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა სასურველისგან ძალიან შორსაა. ეს კი უარყოფით პერსპექტივის გვიქანდის. თუმცა, ამაზე სერიოზულად ჯერ არავინ ფიქრობს, ან, თუ ფიქრობს, გამოსავალს ვერ პოულობს. დღეს საქართველოში არავინ აუგნებს პრაქტიკულ საკითხს, თუ რატომ არ მოსდევს ერთ ქმედებას მეორე. ასე მაგალითად, შეუსაბამო და უხარისხმო პროდუქციის გამოფლენის შემთხვევაში, რატომ არ ხდება ასეთი პროდუქციის რეალიზაციის შეჩერება და მისი ბაზრიდან ამოღება. მისი შემდგომი ბედი არ კონტროლდება, არავინ იცის, მოხდება თუ არა უხარისხმო პროდუქციის განადგურება, დაეკისრა თუ არა რეალიზაციონურ საჯარიმო სანქციები და სხვა.

მართალია, საქართველოს



კანონი, რომლის ამოქმედებაც 2010-2011 წლებში შეჩერებულია, მეწარმეს საერთაშორისო სტანდარტების სისტემას არ ავალდებულებს, მაგრამ თუმა რომელიმე კომპანიას ევროპის ბაზარზე გასვლა უნდა, HCCP-ის სისტემა აუცილებლად უნდა დანერგოს. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ქართულმა პროდუქციამ ევროკავშირში ან თურქეთში ექსპორტისას ისარგებლოს პრევენციული რეჟიმით (GSP+) მას უნდა ახლდეს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა A, რომელსაც გასცემს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ფორმა A-ს გაცემა წარმოებს უფასოდ 3 დღის ვადაში, თუ საქონელი აქმაყოფილებს ევროკავშირის საქონლის წარმოშობის კრიტერიუმებს.

ფორმა A-ს მისაღებად წარსადგნი დოკუმენტებია:

1. ექსპორტიორის განცხადება;
 2. დეკლარაცია საქონლის წარმოშობისა და კუთვნილების შესახებ;
 3. კონტრაქტი (ხელშეკრულება);
 4. ანგარიშფაქტურა (ინვოისი).
- სერთიფიკატის მიღება შესაძლებელია სამინისტროს სა-

ზოგადოების მომსახურების ცენტრში.

ამრიგად, ქართულ პროდუქციას გზა სსნილი აქვს, დასავლეთის (და არა მარტო დასავლეთის) ბაზრებზე მაგრამ, ჩვენ ამ გზაზე წარმატებით ვერ მივდივარო, რადგან, ქვეყანა იმ სტანდარტებს ვერ აქმაყოფილებს, რასაც ევროპა მოითხოვს. საჭიროა ბიზნესმა ისტავლოს იმ ტექნიკური ნორმების დაქმაყოფილება, რაც მათ სჭირდებათ მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უპირატესობას ვერ მოიპოვებენ. ამისათვის აუცილებელია ქართულმა პროდუქციამ კონკურენცია გაუწიოს ევროპულ პროდუქტს, არა ევროპულ, არამედ ქართულ ბაზარზეც. ამის ნათელი მაგალითია ქართული ლუდის მწარმოებელი ფირმები „ყაზბეგი“ და „ნატახტარი“, რომლებმაც ლუდის მაღალი ხარისხით, მარკით, შეფუთვით, დიზაინით, რეკლამით არა მარტო დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ ბაზარზე, არამედ თითქმის განვითარებულ ბაზრიდან ჩეხეთის ლუდი. ანალიტიკური კონკურენციური ანობით სარგებლობს ახალი

ქართული პროდუქტი „ბარაზბო“, რომელიც წარმატებით იპყრობს ქართულ ბაზარს. ამრიგად, შესაძლებელია ვისაუბროთ მათ ექსპორტზეც.

იმისათვის, რომ ექსპორტის დირექტებია მიუახლოვდეს იმპორტის დირექტების საჭიროა ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეროვნული მრეწველობის განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. გარდა ამისა, აუცილებელია ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება. ეკონომიკური დიპლომატია, რაოთ დაძლევულ იქნას რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებული ეკონომიკური ბლოკადის ნეგატიური შედეგები.

თავთა პირტახია,

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ANOTATION

THE ANALYSIS OF FOREIGN TRADE OF GEORGIA

Tamta Pirtakhia

The analysis of foreign trade, the current stage is very important to develop a correct economic policy, which is the most important directions of present and near future of foreign trade. Unfortunately, the undesirable tendency of foreign trade is developing and this will negatively effect the country's economic development. In this regard, Foreign-Economic policy is-one of the first objectives of the export increase, its value closer to the import price, and will exceed them. To this end, the existing natural, material and labor resources rational use of national industry development, product quality improvement, introduction of modern technologies, new trade relations. Et the same time, export-import activities in the correct priority areas for research and creation of favorable conditions.

Business need to learn the technical standards to satisfy what they need on the world market exit. Otherwise, do not gain advantage. For this purpose it is necessary to Georgian products to compete with European products, not European, but also the Georgian markets. This is why we can then talk about their exports. To stimulate exports, it is essential protectionistical government policy, economic diplomacy, in order to be overcome by the Russian side of the economic blockade against the negative consequences. Following the reduction and contraband goods to the liquidation of vital importance in the development of the country, so carelessness and inventorying of Economic Analysis, which still exist in Georgia, the country's disastrous affect the progress of the case.

ეკონომიკური დოქტრინების კანონი

„მეცნიერების ისტორია შეიძლება აიღოს ან პიროვნების ირგვლივ ან პრობლემის ირგვლივ. ორივე პრინციპი თანაბრად კანონიერია. ნაშრომი, რომელსაც წარმოგიდგენთ, აგებულია მეტ-ნაყლებად ორივე პრინციპის გარშემო. ის, რასაც ეს ზიგნი ესროაფის, ეკონომიკური დოქტრინების პანთეონსაც შეიძლება შევადაროთ“ (გვ. 20, 1-ლი აბზ. და მე-2-ის დას.) - სათაური და აფტორის ეს პერიოდზე, ზუსტად ახასიათებს ნაწარმოებს, რომელიც სულ ერთი თვის ნინ დასტამბა გამომცემლობამ „ინოვაცია“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის (სხვა რეგალიებს აღარ ჩამოვთვლით), პროფესორ ავთანდილ სილაგაძის ეს სქელტანიანი (გვ. 612, ფ. -4) ნაშრომი: ეკონომიკური დოქტრინები, მისი ხელხვავიანი მეცნიერული მოღვაწეობის მორიგი, ძალიან მნიშვნელოვანი (ძვირფასი) საჩუქარია მეცნიერ-ეკონომისტების, სტუდენტების, პრაქტიკოსებისა თუ ამ თემატიკით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის.

ნაშრომში კომპლექსურადაა გამოკვლეული მსოფლიოში აღიარებული ყველა ის ეკონომიკური დოქტრინა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეკონომიკური მეცნიერებისა და ცალკეული ქვეყნების განვითარებაში. მასში გაანალიზებულია სხვადასხვა სახელმძღვანელო მთავარი თეორიული პრინციპის წარმოშობისა და განვითარების ეკოლოგიური პროცესი. მცირეოდენით, ისევ ავტორს თუ დავესესხები (გვ. 21, მე-4 და მე-5 აბზ.), „აქ შეკრებილი ნარკვევების საშუალებით მკითხველი თითქმის ყოველგვარი ფორმალური

ავთანდილ სტაგაჟი

ეკონომიკური დოქტრინები



თბილისი
2010

დამატებითი შრომის გარეშე გაეცნობა ეკონომიკის „კლასიკოსთა“ ცხოვრებას და ეკონომიკური კვლევების მნიშვნელოვან მიმართულებებს. ეს ნარკვევები აგრეთვე კარს გაუხსნის ეკონომიკით დაინტერესებულ არასპეციალისტებს ამ საქმეში გასარკვევად და უბიძგებს მას შემდგომი ნაბიჯებისთვის ეკონომიკის მიმზიდველ სამყაროში; სპეციალისტისთვის საინტერესო იქნება შეხედოს თავის გმირებს აღამიანური ცხოვრების მხრიდან. ნაშრომი შედგენილია ისეთნაირად, რომ მასში მოცემულია რეალობა-სა და თეორიას შორის კავშირები. ეს ისტორიული პორტრეტები მძებნელს კოორდინატული ბადის მაგივრობას გაუწევს, ხოლო გამოცდილს - მიაწვდის იდეებს და შემდეგი კვლევებისთვის წააქებებს“ (უკეთესად ვერც აღწერ ამ წიგნის ღირებულებას, ინტერესთა წრესა და დანიშნულებას).

მონათმფლობელური წარმოების წესის აღმოცენებით დამკვიდრდა ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი. აქედან იდეებს სათავეს საყურადღებო ეკონომიკური შეხედულებების

ჩამოყალიბება ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ქვეყნებში. ეკონომიკური დოქტრინების პანთეონის გაღრევა ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთ უძველეს (ძვ. წ-ით 21-ე ს.) ძეგლში „გერაკლეოპოლის მეფის დარიგებანი თავისი ვაჟის მერიკარისადმი“ ჩამოყალიბებული აზრის ვადმოცემით იხსნება.

ქსენოფონგით, პლატონით და არისტოტელით იწყება ეკონომიკა, როგორც მეცნიერება - აღნიშნავს ავტორი (გვ. 21-ე, ბოლო აბზ.). ქსენოფონგით, პლატონით და არისტოტელით იწყება ნაშრომში მეცნიერული ეკონომიკური აზრის საფუძვლიანი ანალიზი და დღევანდლობამდე - ფინანსური ბაზრის ანალიზით დაკავებული ნობელის პრემიის ლაურეატების, მათ შორის, ამერიკელი ეკონომისტის რობერტ მერგონის ფინანსურ ეკონომიკაში ფუძემდებლური წვლილის არსის აღწერითა და შეფასებით სრულდება. ამ უგარმაგარ სივრცეში წარმოდგენილია კაპიტალიზმამდელი ეპოქის ეკონომიკური ცნობიერების, საბოგადოების განვითარების პირველი დოქტრინის - მერკანტილიზმის, ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების, კლასიკური ფიზიკურაგების, ბრიტანული კლასიკური სკოლის ლირებულებისა და განაწილების, სახეცვლილი კლასიკური ლიბერალური დოქტრინების, კაპიტალიზმის პირველი სოციალ-კრიტიკოსების, კარლ მარქსის რევოლუციური დოქტრინის, ნეოკლასიციზმიდან დღევანდლობამდე შექმნილი სხვადასხვა მიმდევრობისა და მიმართულების შეხედულებების ავგორები, არსი, წარმატება-დამარცხების ნიშნები, მათი მნიშვნელობა, როლი და აღვილი.

ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რაც მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკურ პრინციპებშე ქართულ და უცხოურ წყაროებშია წარმოდგენილი, კომპაქტურად, ქრონოლოგიურად, თემატურად, გეოგრაფიული თუ სკოლის წარმომადგენელთა ნიშნით დალაგებულია, დამუშავებულია და თავმოყრილია ერთ წიგნში. ამდენად, ეს წიგნი პროგრესული ცოდნის საუნაზეცაა და ერთგვარი ისტორიაც ეკონომიკური მთავარი თეორიული პრინციპის წარმოშობისა და განვითარებისა.

ცხადია, აქ დაუნჯებულ აბრთაგან ნაწილი არასრულყოფილია და მათ მიმართ აღრევე შენელდა ინგერესი, ნაწილმა კი დატოვა წარუშლელი კვალი და ახლაც წარმატებით გამოიყენება ქვეყნის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის. ყველა შემთხვე-

ვაში, ისინი წარმოადგენენ „ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი ადამიანის გონებას შეუქმნია კაცობრიობის ისტორიის ნაწილების მეცნიერული ახსნისთვის“. მასში და ამ წიგნშე დაყრდნობით, მკვლევართა ახალი თაობა, აუცილებლად იპოვის აზრის ნაკადს, რომელზეც, შესაძლოა, ახალი მიმართულება აღმოცენდეს.

სამომავლოდ, ვინ, ან პრობლემის გადაწყვეტილი რომელი მიმართულება დაიმკვიდრებს ადგილს ეკონომიკური დოქტრინების პანთეონში, მნელი განსაჭვრეტია (ეს არცაა ამ პუბლიკაციის მიზანი და ინტერესი), მთავარი ისაა, რომ ეს პანთეონი აიგო, განსაზღვრულია მასში ბინადართა ადგილსამყოფელი, წარმოჩენილია არქიტექტორები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ უნიკალური ნაგებობის კონსტრუქციულ გადაწყვეტაში და კირისხურონიც - ვინც აგური მკვიდრად დააწყო.

ავტორის, მთავარი შემოქმედის, პროფესორ ავთანდილ სილაგაძის, თანაავტორების: თსე ასისტენტ-პროფესორის, ემდ თამარ ათანელიშვილის (თავები II-III), თსუ-ის დოქტორანტის ნოდარ სილაგაძის (თავები III, XXIX) ბეჯითი მეცანეობის გარდა, წიგნის მაღალი მეცნიერული ხარისხი განსაზღვრა სარედაქციო კოლეგიამაც, რომლის შემადგენლობაში არიან ცნობილი მეცნიერები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა; პროფესორები: რამაზ აბესაძე, რობერტ ასათიანი, თემურაბ ბერიძე, პაათა კოლუაშვილი, იაშა მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, კარლ დურწეკაია, ჯემალ ხარიბონაშვილი, მერაბ ხურილავა, მიხეილ ჯიბუტი. უნდა აღინიშნოს წიგნის მთავარი რედაქტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის ღვაწლიც.

წიგნის ბევრ სხვა ღირსებასა და, ასე ვთქვათ, რეალიზებულ ღირებულებათა შორის, ჩვენ გამოვარჩიეთ მხოლოდ ძალგედ მნიშვნელოვანი და გადაფურცლილითაც შესამჩნევი, ხოლო უფრო ფასეულს წიგნში მკითხველი თავად იპოვის!

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მკვლევართა ახალი თაობის, საერთოდ, ეკონომიკური პრობლემატიკით დაკავებულთა ფართო წრის ბიბლიოთეკას, ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა.

**02010 პარასკევა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი**

რ თ ც ე ნ ზ ი პ ა


წიგნზე: ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინ-გლისური-რუსული-ქართული).

შემდგენელი პროფ. ლამარა ქოქიაური. თბილისი, 2009.

ასე მორიდებულად სახელდება 2009 წლის მიწურულს დასტამბული, 1117 გვერდიანი, 30 800 ტერმინისგან შემდგარი ეს წიგნი და მისი შემდგანლის რეგალიები.

უფრო მეტი მოკრძალება ახლდა ამ წიგნის გამოჩენას: ყოველგვარი პომპებურობისა და ხმაურიანი წარდგენის გარეშე, მხოლოდ დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრემ გაიგო და ასევე, მოკრძალებულად გამოხატა შესაფერი შთაბეჭდილება - **ტიგანურია!** ერთის მხრივ, ეს არცაა გასაკვირი, საბოგადოება თითქოს შეეზვია ქალბატონ ლამარა ქოქიაურის ხელხვავიან მოღვაწეობას: წლის განმავლობაში მისი რამდენიმე სქელფანიანი სახელმძღვანელო, მეცნიერული ნაშრომი თუ პებლიკაცია ქვეყნდება. მეორეს მხრივ კი, უნდა ითქვას, რომ ასეთი „თავმდაბლობა“ და „გულცივი“ გამოხმაურება, ამ შემთხვევაში, უფრო უადგილოა, მე ვიტყოდი, უმაღურობაც კი, ვიდრე ეს ამ საჩუქარს შეეფერება.

წიგნის მნიშვნელობა და ღირსება იმსახურებს იმას, რომ მის შესახებ გაიგოს საბოგადოებამ, იცოდეს რა განძს ფლობს, აღინიშნოს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა და



ნიუ-იორკის აკადემიების ნამდვილი წევრის, ემდ, პროფესორ ლამარა ქოქიაურის დამსახურება და დვაწლი. ასეთი სქელფანიანი, საჭირო ენციკლოპედიური ტერმინოლოგია ხომ იშვიათად ქვეყნდება. ლ. ქოქიაურმა, მართლაც, მრავალწლიანი ტიტანური შრომის, უდიდესი ძალისხმევის ფასად თავი მოუყარა ფინანსების, ინვესტიციების და საბანკო საქმის ფაქტობრივად ყველა ტერმინს, შეარჩია, შეავსო, დააჯგუფა, შეაჯერა და ერთიან სისტემაში მოიყვანა ისინი, წარმოადგინა მათი შესატყვისები ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე. მასში ჩართულია, აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული პრაქტიკის, კომერციული და სამომზმარებლო კრედიტის, საერთო ეკონომიკის, სახსრების ელექტრონული გრანსფერების, ფონდების, ფინანსური სისტემის, კადრების მართვის, დამღვევის, საერთაშორისო საფინანსო და საბანკო ოპერაციების, ამ სფეროს კანონმდებლობის და რეგულირების, ფინანსური და საბანკო პროდუქტების მარკეტინგის, ანგარიშსწორების ავტომატიზებული სისტემის, ფასიანი ქაღალდების, უძრავი ქონების დაკრედიტების სფეროებში ხანგრძლივი პერიოდის

განმავლობაში დამკვიდრებული და ხმარებაში ახლად შემოსული ტერმინების სამენვანი მნიშვნელობები. აქევა ქართულ რეალობაში მყარად დამკვიდრებული სიმბოლოები, აკრონომები, აბრევიატურებიც. ამდენად, წიგნის უნიკალობა მხოლოდ სპეციალიტეტის ვიწრო ჩარჩოში ვერ თავსძება: მისი მოხმარების წრე და ინტერესთა სპექტრი ძალიან დიდია, მეცნიერული ღირებულება კი - უფრო მეტი.

ეს გამოცემა, ასე ვთქვათ, წინა სამზადისია აქ დარგობრივი ნიშნით თავმოყრილი ტერმინების ენციკლოპედიური განმარტებების - შემდგომში სამი სპეციფიკური ნაწილისგან - ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე, შემდგარი ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონის გამოცემისა. მხელია წინასწარ თქვა, რა ფორმით, რა მოცულობით, ან როდის განხორციელდება ეს ჩანაფიქრი, თუმცა, აქედანვე ნათლად იკვეთება ასეთი ნაშრომის მომზადებისა და გამოცემის აუცილებლობა. შემიძლია დავსძინო მხოლოდ ის, რომ თუ ფინანსებისა და კრედიტის სფეროში პირველ პროფესორ ქალბაგონს - ლამარა ქოქიაურს ასეთი აბრი გაუჩნდა, ის მას წარმატებით აასრულებს. ახალ შეხვედრამდე კი, უნდა შევნიშნოთ, რომ აწ უკვე განხორციელებული (გამოცემული) ნაშრომი არსებული სახითაც ეკონომიკურ სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქა წარმოუდგენელია ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო ურთიერთობების გარეშე. ეს უკანასკნელი ინფორმაციის უსაბლვრო მასივების, რისკების კასკადის, იდეების, პრინციპულად ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების უბარმაზარი სამყაროა, სადაც მხოლოდ ამ სფეროს არსის სწორი აღქმა, გულმოდგინე შესწავლა, საერთო ენის საფუძვლიანი ცოდნა და დაუნჯებული გამოცდილება იძლევა გადარჩენის (წარმატების) შანსს. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ვისაც ფინანსური, საკრედიტო და საინვესტიციო ურთიერთობების ლაბირინთთებში გაგნება სურს (კონკურენცუნარიანობის და ეფექტიანობის მისაღწევად კარგი განათლება სჭირდება), მას ეს სწორუპოვარი, სიტყვაუხვი მეგზური-პოლიგლოტი გულმხურვალებ წარუდღვება გასასვლელისკენ.

წიგნი თანაბრად მნიშვნელოვანია მკვლევარებისთვის - ვისაც სურს საჭირო ტერმინის გუსტი შესატყვისის მოძიება და ახალბედებისთვისაც - ვისაც გოგადი ახსნა-განმარტება უნდათ მიიღონ

პრობლემის აღქმა-გადაწყვეტის მიზნით. აქ თავმოყრილი ტერმინოლოგია დაეხმარება მეცნიერებს, პრაქტიკოსებს, სტუდენტებს და საერთოდ, ყველას, ვისაც ეკონომიკური, საკუთრივ, საფინანსო-საკრედიტო, საინვესტიციო ურთიერთობები აინტერესებს. ამ მხრივ ნაშრომი, მართლაც, სასარგებლო, უდიდესი საინფორმაციო წყაროა. საძიებო სისტემა მარტივი, ანბანური წესითაა გადაწყვეტილი. ტერმინების ანბანური წესი შენარჩუნებულია ჯერ პირველ, შემდეგ - მეორე, მესამე და ა.შ. ასოებამდე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის მაღალი მეცნიერული ხარისხი განსაბლვრა ავტორიტეტულმა სარედაქციო საბჭომაც, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილია ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან: იაკობ მესხია, გია მალაშვილი, გიგი გამსახურდია, გიორგი ცაავა, ნატო ბებიაშვილი, ნანა ასლამაზიშვილი, მაია თეთრუაშვილი, დალი სოლოდაშვილი. გამორჩეული, დიდია მეცნიერ რედაქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტის, პროფესორ ავთანდილ სილაგაძის როლიც, მაგრამ მთავარი შემოქმედი, იდეის ავტორი და გენერატორი ინვესტიციების და ინვესტიციონების, მთლიანად საინვესტიციო სფეროს და საქმიანობის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოს ვასილ ჩანგლაძის დირსეული მოწაფე, პროფესორი ლამარა ქოქიაური, მისი მრავალწლიანი შრომა და რუდენებაა.

ცხადია, ასეთი უბარმაზარი ნაშრომი ვერ იქნება დაბლვეული ხარვებებისგან, ყოველშემთხვევაში, კრიტიკულად განწყობილი ოპონენტი მასში ხეგატიურსაც „აღმოაჩენს“, თუმცა, არაუმტებელს, ვიდრე თავად ავტორ-შემდგენელს აქვს შენიშნული (და ხაზგასმულია შესავალში). ხარვებებში შეიძლება შევჩერდეთ, მაგრამ ეს, უფრო ნაყოფიერად, კულუარულ ურთიერთობაში ხერხდება. მართალი გითხრათ, შენიშნებები ყურადღების საჯაროდ გამახვილებაზე მეტად, ამ წიგნის ღირებულებების წარმოჩენა მივიჩნიე უფრო მნიშვნელოვან საქმედ. მე მხოლოდ რამდენიმე ასპექტი აღვნიშნე, რაც წიგნთან პირველსავე შეხებისას იგრძნობა. წიგნის სხვა დირსებებს გულმოდგინე მკითხველი უთუოდ შენიშნავს და დააფასებს.

ვფიქრობ, ასეთ გამობრწყინებას მეტი ყურადღება და მოფერება სჭირდება.

იური პაპაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

გამოიცემათ, თუ გსერთ იყოთ ნარმატებები!

5 მიზანი. რატომაც უდეა გამოიცემოთ
აცელითიკურ-პრაქტიკული ჟურნალი
„ბიზნესი და კანონმდებლობა“

- ◆ არ ჩამორჩეთ იმათ, ვინც უკვე გახდა ჩვენი ქურნალის ხელმომწერი, ისინი კი საკუთრივ ბევრი არიან.
- ◆ იცოდეთ, რა ხდება ჩვენს საქმიან სამყაროში. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ მოგანვდით ამომწურავ და ობიექტურ ინფორმაციას ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, საგადასახატო-საბაჟო, ბუღალტრული აღრიცხვებისა და სამართლებრივ პრობლემატიკაზე.
- ◆ გაიგებთ რა იქნება ხვალ, ამაზე ყოველ ნომერში საუბრობენ ჩვენი კომპეტენტური ექსპერტები.
- ◆ შეიტყობოთ, რა ხდება თქვენს კონკურენტებთან.
- ◆ ნება დაკარგავთ დროს „აღმოაჩინოთ“ ახალი ამერიკა. ისარგებლეთ მსოფლიოს გამოცდილებით. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ სისტემატურად მოგანვდით ინფორმაციებს თქვენთვის პრობლემატურ და საინტერესო საკითხებზე.




ბიზნესი - ეაზნე



INOVATSIJA
PUBLISHING HOUSE

2009



განვითარეთ „ბიზნესი და კანონმდებლობას“ ხელმომწერი?

- ◆ ისარგებლეთ ექსპერტთა უფასო კონსულტაციებით, შეღავათებით რეკლამისა და საიმიჯო სტატიების განთავსებისას.
- ◆ ფურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ ყოველთვიური გამოცემაა. გამოიცის 2004 ნოემბრი. ახლავს დამატება „ბიზნეს-მაცნე“.
- ◆ მთლიანი ჰაერი 120 ლარად.

დამატებითი ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით!

ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: 10-26-28; ტელ./ფაქსი: 98-39-30
email: inovacia@caucasus.net
ვებ-გვერდი: www.inovacia.ge